წლიწადი მეთერთმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

კვირა, 29 ნოემბერი 1931 წ. № 273 (3228)

საკოლმეურნეო აღრიცხვა და მოსავლის განაწილება ყურადღების ცენტრში

ჩვენში, საქართველოში საკმარისად ვერ აფასებენ კოლმეურნეობათა სამეურნეო - ორგანიზაციული განმტკიცების უდიდეს მნიშვნელობას. როგორც საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილებაშია აღნიშნული ამიერ - კავკასიაში და კერძოდ საქართველოში **„უმთავრესად ყურადღება მიაქციეს მუშაობის ტეხნიკურ მხარეს და ვერ უზრუნველჰყვეს გლეხობის (ღარიბი და საშუალო მასები) სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობა“**. საქართველოს კ. პ. (ბ) ძველი ხელმძღვანელობა, რომელმაც საკოლმეურნეო მშენებლობაში დაუშვა მემარჯვენე და „მომემარცხენო“ ოპორტუნისტული შეცდომები თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის დარგში მიღწეულ წარმატებების გამაგრებას და კოლმეურნეობათა სამეურნეო ორგანიზაციულ განმტკიცების კონკრეტულ ამოცანებს. ყურადღება არ ექცეოდა ისეთი კითხვების მოგვარებას, როგორიცაა: სანარდო სისტემის ფაქტიურად გატარება, აღრიცხვის მოწესრიგება, საკოლმეურნეო კადრების მომზადება, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება, „მომემარცხენო“ გათანაბრების წინააღმდეგ ბრძოლა, კოლმეურნეობათა მოსავლის და შემოსავლის სწორად განაწილება და სხვ.

საკოლმეურნეო მშენებლობის აქტუალური საკითხების შეუფასებლობამ აქა-იქ საგრძნობი ზიანი მიაყენა კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციულად განმტკიცების საქმეს. ახლად ჩამოყალიბებულ და ორგანიზაციულად განუმტკიცებელ კოლმეურნეობებში ადგილი აქვს კულაკური გათანაბრების პრაქტიკას, მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოსავალს და შემოსავალს ანაწილებენ არა გაწეული შრომის რაოდენობის და ხარისხის, არამედ სულადობის, მუშა-ხელის, კომლის და სხვა არა სწორი და მიუღებელი პრინციპების მიხედვით.

მთავარი ნაკლი რომელიც აბრკოლებს კოლმეურნეობათა სამეურნეო ორგანიზაციულ განმტკიცებას, არის საკოლმეურნეო აღრიცხვის მოუწესრიგებლობა. კოლმეურნეთა მასებს ჯერ კიდევ არ აქვთ მტკიცედ შეთვისებული, რომ „შემოსავლის კარგად განაწილება შეუძლებელია ისე, თუ ზუსტად არ იქნა აღრიცხული კოლმეურნეთა მიერ დახარჯული შრომა და მათ მიერ ფულით და ნატურით მიღებული ყველა ავანსები“ (საქ. მიწსახკომის და კოლმეურნცენტრის დადგენილებიდან).

აღრიცხვის მოწესრიგებას მნიშვნელობას სათანადოთ არ აფასებენ არა მარტო კოლმეურნეთა მმართველი ორგანოები, არამედ სათანადო ცენტრალური ხელმძღვანელი სამიწათმოქმედო და საკოლმეურნეო კოოპერატიული ორგანიზაციები (საქ. მიწსახკომი, კოლმეურნეობათა ცენტრი, ბაღბოსტანკავშირი და სხვ.). რას უნდა მიეწეროს, თუ არა აშკარა ოპორტუნისტულ თვითმდინარებას ის ფაქტი, რომ ზემოხსენებულ ორგანიზაციებს დღემდე არ შეუსრულებიათ საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 13 ნოემბრის დადგენილება კოლმეურნეობათათვის დასახმარებლად სოფლებში პასუხისმგებელ მუშაკების და მონანგარიშეების გაგზავნის შესახებ. (307 მონანგარიშედან გაგზავნილია მხოლოდ 46), საკოლმეურნეო აღრიცხვის მოწესრიგებას თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცევა. აგრეთვე რაიონის და სოფლის პარტიული, საბჭოთა და საკოლმეურნეო ორგანიზაციების მიერ. ეს მტკიცდება თუნდაც იქიდან, რომ ადგილების მიერ დღემდე სრულიად გამოუყენებელი არ არის საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრის მიერ რაიონებისათვის გადაგზავნილი 270.000 მანეთი, რომელიც საკოლმეურნეო კადრების (უმთავრესად მონანგარიშეების) გადასამზადებლად იყო დანიშნული.

აღრიცხვის მოუწესრიგებლობამ ხელი შეუწყო მოსავლის სულადობის მიხედვით განაწილებას. ბორჩალოს, ცაგერის, ხევის, წალკის, ხობის და სხვა რაიონებში მოსავალი ზოგიერთ კოლმეურნეობებში ნაწილდება მჭამელების მიხედვით. ქვემო - სვანეთის კოლმეურნეობებში ადგილი ჰქონდა მოსავლის განსაზოგადოებული ძროხების მიხედვით განაწილებასაც, ხოლო სამხრეთ - ოსეთის კოლმეურნეობათა საოლქო კავშირმა 42 კოლმეურნეობას „ნება დართო მოსავალი და შემოსავალი გაენაწილებიათ „თავიანთი შეხედულების“ თანახმად. ამას შედეგათ ის მოჰყვა, რომ აღნიშნულ კოლმეურნეობებში მოსავალი გაანაწილეს ისე, რომ არ გადაურიცხავთ არავითარი ფონდები და არც 1932 წლისათვის საჭირო სათესი მასალა.

კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების და განსაკუთრებით მოსავლის განაწილების საკითხისადმი მემარჯვენე ოპორტუნისტულ დამოკიდებულებას გადაჭრით ბოლო უნდა მოეღოს. სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა მტკიცედ უნდა შეიგნონ, რომ საკოლმეურნეო მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე **მთავარი** მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობათა სამეურნეო და ორგანიზაციულ განმტკიცებას და კოლმეურნეობათა მოსავლის და შემოსავლის **მხოლოდ** დახარჯულ შრომის რაოდენობის და ხარისხის მიხედვით განაწილებას.

აქედან გამომდინარე, ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ **კოლმეურნეობათათვის პრაქტიკული დახმარების აღმოჩენას აღრიცხვის მოწესრიგების და მოსავლის განაწილების საქმეში.**

მთავარი ცეცხლი მიმართული უნდა იქნას „მომემარცხენო“ გათანაბრების აღსაკვეთად. კოლმეურნეებმა მტკიცეთ უნდა დაიმახსოვრონ საბჭოების მე-6 საკავშირო ყრილობის დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია: „შემოსავლის (როგორც ფულადის, ისე ინდუსტრიალურის) განაწილებას კოლმეურნეობათა მიერ, არა დახარჯული შრომისა და ხარისხის, არამედ სულადობის მიხედვით ძალიან ხშირად ქადაგებენ კულაკები და კოლმეურნეობათა დანარჩენი მტრები, რომლებიც ცდილობენ ჩაშალონ საკოლმეურნეო საქმე. სხვისი შრომით ხელის მოთბობის ასეთ მოხალისეებს უაღრესად გადამჭრელი წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს და მიღებული იქნას ზომები მათი კოლმეურნეობიდან გამორიცხვამდეც კი. საკოლმეურნეო შემოსავლის განაწილება პრინციპის მიხედვით — **ვინც მეტს და უკეთ მუშაობს იგი მეტსაც ღებულობს, ხოლო ვინც არ მუშაობს ის არაფერს არ ღებულობს** — უნდა გადაიქცეს წესად ყველა კოლმეურნეებისა და კოლმეურნეობებისათვის“.

შავი ზღვის წითელი ესკადრა სოხუმში

სოხუმი, 27 ნოემბერი. 27 ნოემბერს დილით სოხუმის რეიდზე გაჩერდა შავი ზღვის ფლოტის ესკადრა. მოსულ წითელფლოტელებს საზეიმო შეხვედრა გაუმართეს პარტიულმა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა. ესკადრის პოლიტგანყოფილების უფროსის ამხ. **ზიუზჩენკოსაგან** მიღებული ცნობებით, ესკადრამ, რომელიც ამთავრებს თავის მორიგ სასწავლო-საბრძოლო მომზადებას, მოგვცა ბრძოლის უნარისა და გამძლეობის საუცხოვო მაჩვენებლები. განსაკუთრებით გამოაშკარავდა ეს აფხაზეთის ნაპირებთან, სადაც ესკადრას მოუსწრო ძლიერმა ღელვამ. ტალღა სწვდებოდა უდიდესი გემის „პარიზის კომუნის“ ბაქანსაც კი, მაგრამ ამას გავლენა არ მოუხდენია სასწავლო - საბრძოლო მომზადების გეგმის შესრულებაზე; არ ყოფილა მექანიზმების დაზიანების არც ერთი შემთხვევა. ესკადრას განზრახული აქვს დაჰყოს აფხაზეთის ნაპირებთან სამი დღე, რომ ამით გემების ეკიპაჟს საშუალება მიეცეს დაათვალიეროს ახალი მშენებლობანი და საწარმოები და მოხდეს თავიანთი საწარმოო გეგმების შესრულებიდან მიღებული გამოცდილების გაზიარება. (ადს)

ბათომის მშრომელები ემზადებიან შავი ზღვის ესკადრის შესახვედრად

ბათომი, 27 ნოემბერი. ბათომის ნავთსადგურში მოდის შავი ზღვის ესკადრა. ბათომის მშრომელები ენერგიულად ემზადებიან წითელი ფლოტის შესახვედრად. შეხვედრის დღეს, საღამოს 5 საათისათვის დანიშნულია ბათომის პროლეტარიატის მისასალმებელი დემონსტრაცია. მიღებული ცნობებით, ესკადრასთან ერთად მოელენ საქართველოს მთავრობის წევრები ამხ. ფილიპე მახარაძის მეთაურობით.

მუშათა კლუბები ემზადებიან სპეციალურად გამართულ საღამოებზე შეხვდნენ შავი ზღვის მეზღვაურებს. ბათომის ნავთსადგურში ესკადრის დგომის დროს სამხედრო გემებს ეწვევიან მუშათა ექსკურსიები. (ადს)

მრგვალი მაგიდის კონფერენციაზე

მაჰმადიანი დელეგატები მოითხოვენ ინდოეთის პასუხისმგებელი ცენტრალური მთავრობის შექმნას

ლონდონი. 27 ნოემბერი. ინგლის-ინდოეთის მრგვალი მაგიდის კონფერენცია დაიხურება 1 დეკემბერს. უკანასკნელი სესია გაგრძელდება სამ დღეს. მოელიან, რომ მაკდონალდი მთავრობის პოლიტიკის შესახებ ინდოეთის საკითხში განცხადებას გააკეთებს 1 დეკემბერს, ხოლო თემთა პალატა განიხილავს ამ განცხადებას ორი შემდგომი დღის განმავლობაში.

მაჰმადიანი დელეგატების გამოსვლა კომისიის სხდომაზე ინდოეთის ფედერალურად მოწყობის საკითხის შესახებ მოწმობს, რომ ისინიც, როგორც ინდოელები, კვლავ ეწინააღმდეგებიან ინგლისის მთავრობის განზრახვას—დაკმაყოფილდეს მხოლოდ ავტონომიის მინიჭებით ინდოეთის პროვინციებისათვის, მაჰმადიანი დელეგატები მოითხოვდნენ, რომ, პროვინციებისათვის ავტონომიის მინიჭებასთან ერთად, შეიქმნას პასუხისმგებელი ცენტრალური მთავრობა ინდოეთში.

მაჰმადიანი დელეგატები აღნიშნავდნენ აგრეთვე, რომ რაიმე რეფორმების გატარებამდე ინგლისის მთავრობამ უნდა მოაგვაროს საკითხი ნაციონალურ უმცირესობათა შესახებ (ადს).

ტიანძინში ბრძოლა განახლდა

იაპონელთა ახალი მოთხოვნილებები ხობეის მთავრობას

ტოკიო, 27 ნოემბერი. ტიანძინში კვლავ დაიწყო სამხედრო მოქმედება ჩინეთისა და იაპონიის ჯარებს შორის. ოფიციალური წყაროები ამტკიცებენ, რომ ჩინეთის ჯარმა, **ჩან-სუე-მინის** (ტიანძინის პოლიციის უფროსი) ბრძანებით, ყუმბარები დაუშინა იაპონიის ფრონტის მარცხენა ფრთას იაპონიის კონცესიის ტერიტორიაზე. იაპონიის ჯარმა უპასუხა ჩინეთის ჯარს. ბრძოლა გრძელდება.

იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, იაპონიის ტიანძინელი გენერალური კონსულის მოხსენების თანახმად, შეტაკებაში ჩინეთის მხრით მონაწილეობას იღებს მხოლოდ ჟანდარმერია, იაპონიის გარნიზონს, რომელიც 400 კაცისაგან შესდგება, ეშინია, რომ საქმეში ჩაერევა **ვან-ძუნ-ჩანის** (ხობის პროვინციალური მთავრობის თავმჯდომარე) რეგულიარული ჩინური ჯარი. კონსული მოითხოვს მაშველი ჯარის სასწრაფოდ გაგზავნას, აგრეთვე გემების გაგზავნას ქალებისა და ბავშვების ევაკუაციისათვის.

გაზეთების გადმოცემით, ჩინელების მიერ გასროლილი ყუმბარები ეცემოდა იტალიის კონცესიაში, რამაც აიძულა იტალიის გარნიზონი ყუმბარებითვე ეპასუხნა ჩინელებისათვის.

იაპონიის სამხედრო ლიდერების თათბირმა დაადგინა—გაგზავნოს ტიანძინში მე-10 დივიზია (ქალაქ ხინეძიდან), აგრეთვე ნაკრები ბრიგადა, რომელიც შესდგება სხვადასხვა დივიზიების ნაწილებისაგან (ადს).

დაწვრილებითი ცნობები ტიანძინის ბრძოლის შესახებ

შანხაი. 27 ნოემბერი. როგორც „ჩაინა პრეს“-ი იუწყება, იაპონიისა და ჩინეთის ჯარებს შორის მომხდარი შეტაკების წინ ტიანძინში ჩავიდა სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი ათასი იაპონელი პოლკოვნიკ **დეიახორის** მეთაურობით. იაპონელებმა თან წაიღეს ტყვიამფრქვევები. ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე იაპონიის რეზერვმა. ბრძოლამ გასტანა 15 საათს. ჩინელებს დიდი ზარალი მოუვიდათ. იაპონიის კონსულმა ტიანძინში ჩინეთის ხელისუფლებას წარუდგინა ულტიმატიური მოთხოვნა ჯარის გაყვანის შესახებ. ულტიმატუმში ნათქვამია, რომ თუ მოთხოვნა არ იქნება შესრულებული, აგრეთვე თუ არ შესწყდება ყოველგვარი ანტიიაპონური გამოსვლა, ეს მიჩნეული იქნება იაპონიის გამოწვევად (ადს).

იაპონელთა ხუთი მოთხოვნა ხობეის მთავრობის მიმართ

ტოკიო, 27 ნოემბერი. მინისტრთა საბჭოში სამხედრო მინისტრმა **მინამიმ** განაცხადა:

„იაპონიის ხელისუფლების პროტესტზე ტიანძინში მომხდარი ამბების გამო, **ჩან-სუე-მინის** შტაბმა უპასუხა, რომ ყუმბარები იაპონიის კონცესიაში შემთხვევით ეცემა, და სიტყვა მოგვცა, რომ შესწყვეტს სროლას, სროლა მაინც გრძელდება. ეს იმას ნიშნავს, რომ „შეგნებულად ხდება თავდასხმა იაპონიის კონცესიაზე. ეს თავდასხმა წინასწარ იყო მომზადებული“.

მინამიმ სთქვა, რომ იაპონიის ხელისუფლებამ ტიანძინში შემდეგი მოთხოვნები წარუდგინა ხობეის პროვინციის მთავრობის თავმჯდომარეს **ვან-შუ-ჩანს**:

1. სამხედრო მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტა.
2. ჩინეთის ჯარის გაყვანა იაპონიის კონცესიიდან 20 ჩინური მილის მანძილზე.
3. ჩინური პოლიციის ევაკუაცია იაპონიის კონცესიის ჩრდილოეთით მდებარე რაიონში.
4. ჩინეთის ჯარის გადაყვანის აკრძალვა ხობეის პროვინციაში.
5. ანტიიაპონური მოძრაობის აკრძალვა. (ადს).

ოკუპანტების ჯარის ნაწილები თავმოყრილია ციციკარის რაიონში

შანხაი, 27 ნოემბერი. ჩინეთის სააგენტოს გომინის გადმოცემით, იაპონიის ჯარის საოკუპაციო ნაწილები გაიგზავნენ ციციკარ-კომანის და ტაონან-ანანძის რკინის გზის რაიონებში. ციციკარის ქუჩებს ჯავშნიანი მანქანები იცავენ (ადს).

იაპონელთა ახალი ულტიმატუმი გენერალ მა-ს

შანხაი, 27 ნოემბერი. როგორც იუწყებიან, იაპონიის საოკუპაციო არმიის სარდალმა გენერალმა **ხონძიომ** გენერალ მა-სთან გაგზავნა კიდევ ერთი წარმომადგენელი, რომელსაც დაავალა: მოსთხოვოს გენერალ მა-ს—გადასცეს პროვინციალური მთავრობის საქმეები აღმოსავლეთის სამი პროვინციის განსაკუთრებული რაიონის მთავარმართებელს **ჩან-ძინ-გუის**, რომელსაც ამავე დროს ენიჭება ხეილუნძიანის პროვინციის გარნიზონის სარდლობა. გენერალმა მა-მ ხონძოს მოთხოვნა არ შეასრულა. (ადს).

იაპონელებმა დაიკავეს ჯასიანხის სადგური

შანხაი, 27 ნოემბერი. ჩინურ წყაროებიდან მიღებული ცნობებით, იაპონელებმა დაიკავეს ჯასიანხის სადგური, რომელიც ცინძინსა და გოუმანძს შორის მდებარეობს. (ადს)

ბეიპინში სამხედრო წესები გამოცხადდა

შანხაი, 27 ნოემბერი. გავრცელებული ხმების გამო, რომ ბეიპინში ჩავიდნენ სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი სამხედრო პირები, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქალაქში სამხედრო წესები გამოაცხადა და აკრძალა ქუჩებში მიმოსვლა საღამოს ექვსი საათის შემდეგ (ადს).

იაპონია მესამე მხარის ჩარევის წინააღმდეგია

ტოკიო, 27 ნოემბერი. საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საფრანგეთის ელჩმა ტოკიოში — მატელმა, **ბრიანის** დავალებით, **სიდეჰარას** გადასცა ჩინეთის წინადადება ძინჯოუს რაიონში ნეიტრალური ზონის დაწესების შესახებ. საგარეო საქმეთა მინისტრის აზრით, იაპონია მზადაა მიიღოს ჩინეთის წინადადების პირველი ნაწილი, რომელიც ეხება ჩინეთის ჯარის ევაკუაციას ძინჯოუს რაიონიდან, მაგრამ იგი გადაჭრით ეწინააღმდეგება იმას, რომ მესამე მხარე იქნას ჩაბმული წესრიგის დასამყარებლად მანჯურიის რომელიმე ნაწილში (ადს).

იაპონიის არმია ძინჯოუსაკენ მიიწევს.

ბეიპინი, 27 ნოემბერი. იაპონიის არმია სინმიანის დაპყრობის შემდეგ თანდათან მიიწევს ძინჯოუსაკენ (ადს).

ბრძოლა ბაიხუნის რაიონში

ტოკიო, 27 ნოემბერი. გაზეთ „ასახი“-ს მუკდენიდან ატყობინებენ, რომ დილის 10 საათზე ბაიხუნის რაიონში (ძინჯოუს ჩრდილო-აღმოსავლეთით) იაპონიის ჯარმა ბრძოლის შემდეგ აიძულა ჩინეთის ჯავშნიანი მატარებელი უკან დაეხია. იაპონიის ჯარი გაემართა დაკუმანის აღმოსავლეთით და უკვე ჩაება ახალ ბრძოლაში ჩინეთის პოლკთან (ადს).

იაპონიის სამხედრო წრეები ავრცელებენ ახალ პროვოკაციულ ხმებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

ბეიპინი, 27 ნოემბერი. თეთრგვარდიელთა გაზეთმა „ხარბინსკოე ვრემია“-მ, რომელსაც იაპონელები სცემენ ხარბინში, 22 ნოემბერს მოათავსა ცნობა ვითომ ხარბინში აღმოჩენილი ტერორისტების შეთქმულების შესახებ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვინმე ჩინელი ჩანი „საბჭოთა სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს“ აგენტების მონაწილეობით. გაზეთის სიტყვით, შეთქმულება ვითომ მიზნად ისახავდა თავდასხმის მოწყობას იაპონიის დაწესებულებებზე. უცხოელთა და ჩინელთა წრეებში „ხარბინსკოე ვრემია“-ს შენიშვნა მიაჩნიათ იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ იაპონიის ზოგიერთი სამხედრო წრეები ამზადებენ პროვოკაციას იმ მიზნით, რომ შექმნან საბაბი იაპონიის ჯარის წინ წაწევისათვის ჩრდილოეთ მანჯურიაში, კერძოდ, ხარბინის დასაპყრობად.

აღნიშნავენ, რომ ასეთივე მანევრი გამოყენებულ იქნა ციციკარის დაკავების დროს. რამდენიმე კვირის განმავლობაში იაპონიის გაზეთები ავრცელებდნენ ყალბ ინფორმაციას გენერალ მა-სათვის იარაღის მიწოდების შესახებ საბჭოთა კავშირიდან. ეხლა სრულიად არაა საეჭვოდ მიაჩნიათ, რომ გენერალ მა-ს იარაღს აწვდიდენ დაირენიდან, ხარბინში ამჟამად მეორდება იგივე მანევრი. სრულიად საიმედო წყაროებიდან ვიცით, რომ ამ პროვოკაციების ერთ-ერთ ორგანიზატორად ითვლება მთელ ხარბინში კარგად ცნობილი იაპონელი აგენტი, თეთრგვარდიელი მარტინოვი (ადს).

ამ უკანასკნელმა ამ დღეებში მიაწოდა ყუმბარები ორ თეთრგვარდიელს კოჟენკოსა და სიმონენკოს იმისათვის, რომ მათ ეს ყუმბარები შეეგდოთ იაპონიის სამხედრო მისიის წარმომადგენლისა და იაპონური გაზეთის „ხარბინსკოე ვრემია“-ს რედაქტორის ისავას ბინაში. ყუმბარები შეაგდეს ბინაში, მაგრამ გაუგებარი მიზეზით ისინი არ აფეთქებულა. ამგვარად, „ხარბინსკოე ვრემია“-მ, როცა იგი ათავსებდა შენიშვნას, საიდანაც მოყვანილი იყო ცნობა შეთქმულების აღმოჩენის შესახებ, ამით გასთქვა პროვოკაციის მზადება სახელდობრ, მზადება იაპონიის დაწესებულებებზე თავდასასხმელად, რასაც აწყობდენ იაპონიის აგენტები“ (ადს).

საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობა

რეპარაციების საკითხში საფრანგეთის პოლიტიკა უცვლელია

პარიზი, 27 ნოემბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება პრემიერ **ლავალის** გამოსვლის შესახებ დეპუტატთა პალატაში პასუხით შეკითხვაზე საგარეო პოლიტიკის შესახებ.

საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის შესახებ ლავალმა განაცხადა:

„ჩვენ ვერ დავეთანხმებით რეპარაციების ახალ მოწესრიგებას, თუ იგი არ იქნება განსაზღვრული დეპრესიების პერიოდით და ისიც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეპარაციების შემცირებას მოჰყვება სამხედრო ვალების სათანადოთ შემცირება. საფრანგეთი მტკიცედ დაიცავს იმ პრინციპს, რომელიც საფუძვლად დაედო გერმანიის მიერ გადასახადთა აუცილებელი ნაწილის გასტუმრებას, და არ დასთანხმდება კერძო ვალების უპირატესობის აღიარებას რეპარაციებთან შედარებით“.

ლავალმა გაიხსენა რეპარაციების საზღვთო ხასიათი და განაცხადა, რომ ადვილად შეიძლება ლაპარაკი გერმანიის მიერ სახელმწიფო და კერძო ფინანსების გაუფრთხილებლად წარმოების შესახებ.

„ბრიუნინგმა,—განაცხადა ლავალმა,—თვითონ აღიარა ეს. ჩვენ ვართ გერმანიის კრედიტორები და გვაქვს უფლება ვიყოთ სასტიკნი. ვალების გადახდა სესხის საშუალებით, ქარხნების მოწყობა, მრეწველობის რაციონალიზაციის გატარება, ქალაქების გამშვენიერება სესხის საშუალებით და შემდეგ, გადახდის ვადის დადგომის დროს თავის თავის არ შემძლედ გამოცხადება, ასეთია გერმანიის მოქმედების ხაზი“ (ადს).

საბჭოთა ხე-ტყის შეტანა

ჩრდ.-ამერიკის შეერთ. შტატებში ნებადართულ იქნა

ვაშინგტონი, 26 ნოემბერი ფინანსთა სამინისტრომ ნება დართო შეტანილ იქნას ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებულ შტატებში საბჭოთა ხე-ტყე არხანგელსკის რაიონიდან (დღემდე საბჭოთა ხე-ტყის შეტანა აკრძალული იყო იმ ცრუხმების საფუძველზე, რომელთა მიხედვით თითქო „დაპატიმრებულთა შრომას“ იყენებდნენ ჩრდილოეთის რაიონების საბჭოთა ხე-ტყის მრეწველობაში).

სამინისტროს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მას შემდეგ, როცა „ამტორგ“-ის (ამერიკა-საბჭოთა სავაჭრო პალატა) წარმომადგენლებმა დაამტკიცეს, რომ საბჭოთა ხე-ტყის მრეწველობაში „დაპატიმრებულთა შრომას“ არ იყენებენ (ადს).

უმუშევართა დემონსტრაციები ინგლისში

დახმარების მოსპობის წინააღმდეგ

ლონდონი, 27 ნოემბერი. ინგლისში ყველგან იმართება უმუშევართა მასიური დემონსტრაციები. დემონსტრანტები პროტესტს აცხადებენ დახმარების შემცირებისა და მოსპობის წინააღმდეგ. დემონსტრაციების დროს ხშირად ხდება შეტაკება პოლიციასთან (ადს).

ლონდონი, 27 ნოემბერი. დღეს კიდევ ჰქონდა შეტაკება უმუშევრებსა და პოლიციას შორის ლონდონის ერთ რაიონში—შეფერდბუშში. შეტაკების საბაბად გადაიქცა პოლიციის ბრძანება, რომლის ძალითაც აკრძალულია მიტინგების მოწყობა შრომის ბირჟებისა და იმ კომიტეტების წინ, სადაც უმუშევრებს დახმარებას ურიგებენ უმუშევრობის გამო. პოლიციასთან მომხდარი შეტაკების დროს უმუშევრები ისროდნენ ბოთლებსა და აგურებს. შეტაკების დროს დაიჭრა 100 კაცზე მეტი. დემონსტრაციების ზოგიერთი მონაწილე სერიოზულად დაშავდა. მოხდა მრავალი დაპატიმრება. დაპატიმრების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, საპოლიციო უბნების წინ გაიმართა უმუშევართა ახალი დემონსტრაციები (ადს).

გერმანიაში

უმუშევრობა იზრდება

ბერლინი, 26 ნოემბერი. ეხლახან გამოქვეყნებული ოფიციალური სტატისტიკური ცნობების მიხედვით, 15 ნოემბრისათვის აღრიცხვაზე აყვანილ უმუშევართა რიცხვმა გერმანიაში მიაღწია 4.844.000 კაცს, ე. ი. 15 დღის განმავლობაში უმუშევართა რიცხვი გადიდდა 220.000 კაცით.

ბერლინში 15 ნოემბრისათვის უმუშევართა რიცხვმა მიაღწია 530.000-ს. სხვანაირად რომ ვსთქვათ, ბერლინის ყოველი მერე მცხოვრები (ყველა მცხოვრებლების, მათ შორის ბავშვების, ჩათვლით) უმუშევართა (ადს).

საბჭოთა კავშირის დასაცავად

ახალი ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ

პარიზი, 26 ნოემბერი. როგორც „ლუმანიტე“ იუწყება, სენ-მორის (პარიზის განაპირა უბანი) მუშათა მიტინგმა იაპონიის საელჩოს პარიზში მიმართა დეპეშით, სადაც მუშები ენერგიულ პროტესტს აცხადებენ ომში საბჭოთა კავშირის პროვოკაციულად ჩათრევის წინააღმდეგ. მუშები აღნიშნავენ, რომ **„პასუხისმგებლობა შედეგებისათვის დაეკისრება არა მარტო იაპონიას, არამედ აგრეთვე საფრანგეთსა და ინგლისს, რომლებიც მხარს უჭერენ იაპონიის პროვოკაციულ მოქმედებას“**.

კომუნისტური პარტია აწყობს მიტინგებს მთელს საფრანგეთში საბჭოთა კავშირის დასაცავად. (ადს).

პრაღა, 26 ნოემბერი. ჩეხო-სლოვაკიის პარლამენტის სესიის გახსნაზე კომუნისტურმა ფრაქციამ სასწრაფო შეკითხვით მიმართა საგარეო საქმეთა მინისტრს ბენეშს იმ ომის შესახებ, რომელიც ემუქრება საბჭოთა კავშირს იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრით.

კომფრაქციის წარმომადგენელმა მიუთითა საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პოლიტიკაზე და მსოფლიო პროლეტარიატის მზადყოფნაზე დაიცვას საბჭოთა კავშირი საფრთხის დროს. იგი შეეკითხა მინისტრს, როგორ ასაბუთებს ის იმ ანტისაბჭოთა პოლიტიკას, რომელსაც ანხორციელებენ საფრანგეთთან და სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან ერთად. კომფრაქციამ მოითხოვა სამხედრო მასალის ექსპორტის დაუყოვნებლივ შეწყვეტა და ყველა თეთრ გვარდიელების გადასახლება ჩეხო-სლოვაკიიდან. (ადს).

მასიური თვითმკვლელობები

ჩეხო-სლოვაკიის გლეხებს შორის

პრაღა, 26 ნოემბერი. კომუნისტურ პრესაში გამოქვეყნებულია მთელი რიგი ფაქტები, რომლებიც მოწმობენ გადასახადების გადამხდელ ფართო მასების სიღატაკის არაჩვეულებრივ ზრდას.

სასოწარკვეთილებამდე მისული გლეხები, წვრილი ვაჭრები და ხელოსნები თავს იკლავენ. არაჩვეულებრივი ძალით ავიწროებენ სასამართლოს აღმასრულებლები გლეხობის საშუალო ფენას, რის ნიადაგზედაც ადგილი აქვს თვითმკვლელობის მასიურ შემთხვევებს (ადს).

საბჭოთა კავშირში

— მევენახეობის უდიდესი საბჭოთა მეურნეობა შავი ზღვის სანაპიროებზე.

— „ცენტროსოიუზ“-ი ანხორციელებს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დირექტივას მუშათა მომარაგების გაუმჯობესების შესახებ.

ლაგოდეხის რაიონის დაჯილდოება

ყვითელი თამბაქოს აღების სამაგალითოდ ჩატარებისათვის

მოსკოვი, 27 ნოემბერი. „სადოგოროდცენტრ“-ის გამგეობამ, რომელმაც მხედველობაში მიიღო, რომ საქართველოს რესპუბლიკის ლაგოდეხის რაიონმა სამაგალითოდ ჩაატარა და დაამთავრა ყვითელი თამბაქოს აღება, საჭიროდ სცნო ამ რაიონის დაჯილდოება. ჯილდოს რაოდენობა და მისი გაცემის ვადა ცალკე იქნება დაწესებული. (ადს)

„ცენტროსოიუზ“-ი ანხორციელებს საკ. კ.პ. (ბ) ცეკას დირექტივას

მუშათა მომარაგების გაუმჯობესების შესახებ

მოსკოვი, 27 ნოემბერი. საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის დირექტივების რაც შეიძლება სრულად და სწრაფად განხორციელებისა და ცენტრალურ კომიტეტის გადაწყვეტილებებში აღნიშნული დეფექტების აღმოფხვრის მიზნით, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობის გარდასაქმნელად ამხ. სტალინის ექვსი მითითების საფუძველზე, „ცენტროსოიუზ“-ის პრეზიდიუმმა დაადგინა—გახსნას 1932 წლის შემოდგომიდან ქალაქების მუშათა რაიონებში და საფაბრიკო-საქარხნო მუშებით დასახლებულ ადგილებში 10.000 ახალი საპროდუქტო მაღაზია. ბოსტნეულით, პურით, თამბაქოს ნაწარმოებით და სხვა პროდუქტებით ვაჭრობისათვის მუშათა რაიონებში უნდა გაიხსნას 50.000-მდე წვრილი სავაჭრო დახლი და ფარდული. მუშებით დასახლებულ დიდ შენობებთან 1932 წლის დამლევისათვის მოეწყობა 20.000 დუქანი და განმანაწილებელი ჯიხური, შაქრის და სხვ. გასასყიდათ. ყველა მუშათა დახურული კოოპერატივები მოვალენი არიან განახორციელონ წინასწარი დაკვეთების სისტემა და მოაწყონ დიდ ქალაქებში საქონლის მიტანა მომხმარებლის ბინაზე. სოფლის რაიონებში 1932 წ. გაიხსნება 5.000 სასოფლო დუქანი, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციის ბოსტნეული კულტურების ფართობი გადიდდება 480.000 ჰექტარამდე, რაც 30 პროცენტით აღემატება შარშანდელ ფართობს.

სამომხმარებლო კოოპერაციის ფერმებში მოწველი ძროხების რიცხვი აყვანილი იქნება 600.000 სულამდე. სამომხმარებლო კოოპერაციის მეურნეობებში დედა-ღორების რიცხვი გადიდდება 200 ათას სულამდე. 10 მილიონი მანეთი მოხმარდება ხელოვნური ტბებისა და წყალსაცავების მეურნეობის განვითარებას. ყველა მუშათა დახურულ კოოპერატივებს, სატრანსპორტო სამომხმარებლო საზოგადოებებს, მუშათა ცენტრალურ კოოპერატივებს, ქალაქის სამომხმარებლო საზოგადოებებს და „ვსეკოოპიტი“-ს სასადილოებს და ტრესტებს უნდა მიეჩინოთ რაიონები ბოსტნეულის, ხილის, რძის პროდუქტების, კვერცხებისა და შინამრეწველ. ნაწარმის დასამზადებლად. საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის შემდგომი განვითარებისათვის „ვსეკოოპიტ“-ი მოვალეა ა.-წ. მეოთხე კვარტალში უზრუნველჰყოს 67 ფაბრიკა-სამზარეულოს ამუშავება. ფასების ზრდასთან საბრძოლველად და ფასების სისტემატიურად შემოწმების მიზნით ყველა სავაჭრო ორგანიზაციებში უნდა მოეწყოს სპეციალური ბრიგადები (ადს).

ახალი დანიშვნები

მოსკოვი, 27 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ცაკმა დაადგინა დაამტკიცოს ამხ. პაულინუშკინი, მარკევიჩი, ოდინცევი და ცილკო საბჭოთა კავშირის მიწსახკომის მოადგილეებად (ადს).

ხუთწლედი შესრულდა 3 წელს და 56 დღეში

მოსკოვი, 27 ნოემბერი. პეტროვსკის სახელობის ბაგირის სახელმწიფო ქარხანამ (ხარკოვში) საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს—ამხ. სტალინს გაუგზავნა პატაკი მავთულ-ბაგირის საამქროს მიერ ხუთწლიანი გეგმის 3 წელიწადსა და 55 დღეში შესრულების შესახებ. ამ გამარჯვებას სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მუშებმა და ტეხნიკურმა პერსონალმა მიაღწიეს დამატებითი კაპიტალების დაბანდების გარეშე. (ადს).

მევენახეობის უდიდესი სანიმუშო საბჭ. მეურნეობა

დონის როსტოვი, 27 ნოემბერი. შავი ზღვის ნაპირზე საბჭოთა მეურნეობა „ჯემანტი“ ხდება მევენახეობის მსოფლიოში უდიდეს სანიმუშო მეურნეობად. საბჭოთა მეურნეობის ვენახები მომავალ წელს დაიჭერენ 11.000 ჰექტარ ფართობს. საბჭოთა მეურნეობაში აგებული იქნება ღვინის ელევატორი (ადს).

საბჭოთა პირველი საგლომერაციო ფაბრიკის აგება

რიკოვო, 27 ნოემბერი. რიკოვის სახელობის ქარხნის მუშათა კოლექტივის საერთო ძალღონით ამას წინად დამზადებულ იქნა საბჭოთა პირველი ჩამსხმელი მანქანა. ეს უდიდესი ნაბიჯია უცხოეთის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების გზაზე.

ეხლა რიკოველები ხელს ჰკიდებენ მეორე საპასუხისმგებლო საქმეს—საკუთარი ძალებით და საბჭოთა მასალისაგან აგონ საბჭოთა პირველი სააგლომერაციო ფაბრიკა, რომელიც შეადუღებს ბრძმედის წარმოების ნარჩენებს, რაც გაადიდებს თუჯის გამოღონობაზე და გააუმჯობესებს მის ხარისხს. საქარხნო ორგანიზაციებმა გამოაცხადეს თავი მობილიზებულად საგლომერაციო ფაბრიკის აგებისათვის (ადს).

მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და საბჭ. კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილება

მოსკოვი, 27 ნოემბერი. მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების გაერთიანებისა და სხვა სისტემების („სოიუზსახარ“-ის გამოკლებით) საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გამოკვლევამ, რომელიც შემმოწმებელმა კომისიებმა ჩაატარეს, გამოაშკარავა აღმაშფოთებელი უყაირათობა და შეუწყნარებლად დანაშაულებრივი დამოკიდებულება სახელმწიფო ქონებისადმი:

ა) უმსგავსოდ დიდია დანაკარგი მოსავლის აღების, გალეწვისა და გადატანის დროს;

ბ) არ სწარმოებს პურის ნამდვილი აღრიცხვა;

გ) პურს ხარჯავენ სრულიად უკანონო ნორმების მიხედვით, რომლებიც მთელ რიგ შემთხვევებში თითქმის ორჯერ აჭარბებენ ქალაქად პირველ ხარისხოვანი საწარმოებისათვის დაწესებულ ნორმებს;

დ) მოსავალს ფაქტიურზე ნაკლებს აჩვენებენ და პურის რესურსების ნამდვილი რაოდენობა არასწორად შეაქვთ პურ-ფურაჟის ბალანსში;

ე) სახელმწიფოსათვის მარცვლის ჩაბარების ვალდებულებას საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები უყურებდნენ, როგორც მეორეხარისხოვან ამოცანას, რომლის შესრულება შეიძლება გადაიდოს თავიანთი მეურნეობის საჭიროების სრულ დაკმაყოფილებამდე;

ვ) მიწის დამუშავების ხარისხი სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი, საბჭოთა მეურნეობებში არსებულ მაღალ ტეხნიკას ეს მეურნეობანი სრულიად არასაკმაოდ იყენებენ მოსავლიანობის გასადიდებლად.

სახკომსაბჭოს და ც. კ-ის მითითებათა დარღვევის ყველა ამ ფაქტებს ადგილი აქვთ საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობაში, იმ ცალკე საბჭოთა მეურნეობების გამოკლებით, რომელთა ხელმძღვანელნიც ბოლშევიკურად აწარმოებენ ბრძოლას საბჭოთა მეურნეობების განმტკიცებისა, სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმის შესრულებისა და საწარმოო მუშაობის ხარისხისათვის.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. საქმის უყაირათოდ წარმართვისა და საბჭოთა მეურნეობებში პურის ჩაბარების მოწყობის უუნარიანობისათვის, რის შედეგად მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების გაერთიანების მთელმა რიგმა საბჭოთა მეურნეობებმა თვითნებურად შეამცირეს მათთვის დაწესებული პურის ჩაბარების გეგმები და უყაირათოდ გაანიავეს სახელმწიფო პური,— მოიხსნას ამხ. გერჩიკოვი მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების გაერთიანების თავმჯდომარის თანამდებობიდან.

2. წინადადება მიეცეს საბჭოთა კავშირის მიწსახკომს — დაადოს ადმინისტრატიული სასჯელი მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების გაერთიანების სისტემის, მეთესლეობისა და სხვა ტრესტების მუშაკებს, რომელთა მუშაობაში შემმოწმებელმა კომისიებმა აღმოაჩინეს უყაირათობა და პურის ჩაბარებისათვის ბრძოლის უუნარობა.

3. საბჭოთა მეურნეობების მიერ სურსათის და საკვების ხარჯვა დაწესებულ ნორმებზე გადაჭარბებული რაოდენობით ჩაითვალოს სისხლის სამართლის დანაშაულად.

4. თვითეულ საბჭოთა მეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობის და ტრესტის დირექტორისაგან დამოუკიდებლად, დაინიშნოს საბჭოთა კავშირის მიწსახკომის სპეციალური კონტროლიორი, რომელიც უშუალოდ დაემორჩილება საბჭოთა კავშირის მიწსახკომს და რომელსაც მოვალეობად დაეკისროს აღრიცხვის საქმის შემოწმება საბჭოთა მეურნეობაში და ყოველდღიური მეთვალყურეობა საბჭოთა მეურნეობის პროდუქციის სწორად შენახვის, სურსათის და საკვების ხარჯვის ნორმების დაცვის და საბჭოთა მეურნეობის მიერ სახელმწიფოს წინაშე პურის ჩაბარების ხაზით მისთვის მიცემულ ვალდებულებათა შესრულების საქმეში.

კონტროლიორებს ენიჭებათ უფლება შეაჩერონ ადმინისტრაციის უკანონო განკარგულებანი.

5. წინადადება მიეცეს საბჭოთა კავშირის მიწსახკომს — ორი თვის ვადაში დაამთავროს მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების რეორგანიზაცია, სახკომსაბჭოს და ც. კ-ის მიერ დამტკიცებულ საბჭოთა კავშირის მიწსახკომის 25 აგვისტოს გადაწყვეტილების საფუძველზე, და გადამჭრელი ბრძოლა აწარმოოს ამ გადაწყვეტილებისათვის გვერდის ავლის ყოველგვარ ცდასთან.

6. მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების რეორგანიზაციის განხორციელების დროს გათვალისწინებულ იქნას, რომ მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში მუშაობის გასაუმჯობესებლად უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს საბჭოთა მეურნეობის ახლანდელი „უბნის“ გადაქცევა საბჭოთა მეურნეობის სრულუფლებიან განყოფილებად, რომელსაც სათავეში ეყოლება სპეციალური მმართველი, ეყოლება აგრონომიული, ტეხნიკური და მუშათა პერსონალის მუდმივი შემადგენლობა, ექნება მანქანებისა და იარაღის მუდმივი შემადგენლობა და რომელიც თავის საწარმოო მუშაობას ააგებს სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, ამავე დროს რჩება საბჭოთა მეურნეობის მთლიანი ხარემონტო ბაზა და მომარაგების აპარატი, ხოლო საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ინარჩუნებს მთელი საბჭოთა მეურნეობის საწარმოო რესურსების (მანქანები და სხ.) გამოყენების უფლებას.

7. საბჭოთა მეურნეობის განყოფილებათა მმართველების კადრების განმტკიცების მიზნით დაწესდეს, რომ საბჭოთა მეურნეობის განყოფილებათა მმართველების დანიშვნა და გადაყენება საბჭოთა მეურნეობის დირექტორს შეუძლია მხოლოდ ტრესტის დასტურით.

8. წინადადება მიეცეს საბჭოთა კავშირის მიწსახკომს — გაატაროს მსგავსი ღონისძიებანი მეთესლეობის ტრესტებში, სამრეწველო საბჭოთა მეურნეობების ტრესტში და სხვა ტრესტებში, რომლებიც საბჭოთა მეურნეობებიც სასაქონლო მარცვლეულს ამზადებენ.

9. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა შემდეგში სასტიკად იხელმძღვანელონ ც. კ-ის და სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული წესრიგით, რომლის მიხედვითაც საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორების მოხსნა და დანიშვნა ხდება მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა კავშირის მიწსახკომის თანხმობით.

10. დაევალოს „პრავდა“-ს, „იზვესტია“-ს, „სოციალისტიჩესკოე ზემლედელიე“-ს და ადგილობრივ პრესას — სისტემატიურად გააშუქონ, გააკრიტიკონ და წაახალისონ ცალკე საბჭოთა მეურნეობების მუშაობა ისევე, როგორც ეს ამ ჟამად ხდება ქარხნების და ფაბრიკების მიმართ.

11. მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების გაერთიანების თავმჯდომარედ დაინიშნოს ამხ. იურკინი.

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი (სკრიაბინი)
საკ. კ.პ.(ბ) ც. კ.-ის მდივანი **ი. სტალინი**

ბამბა

ალაზნის საბჭოთა მეურნეობას ნოემბრის მეორე ნახევარში არც ერთი ცენტნერი ბამბა არ აუკრეფია

დაჩქარებულ ტემპებით გავაძლიეროთ ბამბის აკრეფა

25 ნოემბრის ცნობების მიხედვით ბამბის აკრეფა-დამზადების მიმდინარეობის შესახებ ადგილებიდან მიღებული ცნობები საკმაოდ არადამაკმაყოფილებელ სურათს იძლევა. ამ რიცხვისათვის მთელს საქართველოში აკრეფილი იყო 35.312 ცენტნერი ბამბა, რაც რესპუბლიკური გეგმის 66,4 პროცენტს შეადგენს.

დამახასიათებელია ის მდგომარეობა, რომ ბამბის აკრეფის საქმეში კვლავ მეტად **არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს საბჭოთა მეურნეობების ხაზით**. აკრეფის გეგმა საქართველოს მებამბეობის საბჭოთა მეურნეობებს შესრულებული აქვთ მხოლოდ 30,1 პროცენტით. განსაკუთრებით ჩამორჩენილია ალაზნის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 24,8 პროცენტით. მებამბეობის ძირითად რაიონების მიხედვით კი ყველაზე უფრო ჩამორჩენილია სიღნაღის რაიონი (52,6 პროცენტით).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უკანასკნელი წვიმიანი ამინდების შემდეგ მებამბეობის რაიონებში ადგილი აქვს ერთგვარ დემობილიზაციურ განწყობილებას. ნაცვლად იმისა, რომ წვიმიანი ამინდები გამოეყენებიათ მუშა-ხელის მომარაგების და აკრეფა-დამზადების ტეხნიკურ-ორგანიზაციულ საკითხების მოსაგვარებლად—ვხვდებით ამ მიმართულებით მუშაობაზე თითქმის სავსებით ხელის აღების ფაქტებს იმ მოტივით, რომ „წვიმებია და მუშაობა შეუძლებელი ხდებაო“.

შემჩნეულია ისიც, რომ **ყარაიას** და **სიღნაღის** რაიონში ამ უკანასკნელ ხუთდღიურების განმავლობაში გამომუშავების ნორმები საგრძნობლად შეამცირეს. ბორჩალოს რაიონში (გიაურარხის საბჭოთა მეურნეობა) არის შემთხვევები, როდესაც ერთი მუშა-ხელი დღეში ბამბას კრეფს მხოლოდ 1-დან 8 კილომდე, მაშინ, როდესაც გამომუშავების ნორმა ითვალისწინებს 40-45 კილო ბამბის აკრეფას დღეში.

ეს გარემოება ამტკიცებს, რომ ზოგან ადგილობრივი ორგანიზაციები თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ისეთ საკითხებს როგორიცაა: მუშა-ხელის და საწარმოო საშუალებათა სრული დატვირთვით გამოყენება, სოცშეჯიბრების და დამკვრელობის საფუძველზე გამომუშავების დამკვრელი ნორმების დაწესება, შრომის ნაყოფიერების აწევა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესება.

ყველა ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებას ახლავე უნდა მიექცეს მებამბეობის რაიონების მთელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღება, გადაჭრით უნდა ვებრძოლოთ თვითმდინარების განწყობილებას, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ უკანასკნელი ხელსაყრელი ამინდები ბამბის აკრეფის ტემპების გასაძლიერებლად. კოლმეურნეობებმა უნდა დაძრან ბამბის ახალი წითელი ქარავნები.

ამავე დროს ყურადღება უნდა მიექცეს **კერძო სექტორს**. ღარიბი და საშუალო გლეხობის მიერ ბამბის აკრეფა დამზადების გეგმის შესრულებასთან ერთად უნდა ვაწარმოოთ გადამწყვეტი ბრძოლა იმისათვის, რომ კულაკობამ დაუყოვნებლივ შეასრულოს ბამბის აკრეფა ჩაბარების მტკიცე დავალებანი.

ჩვენს განკარგულებაში მეტად მცირე დრო დარჩა. მხოლოდ ნამდვილი ბოლშევიკური ტემპების აღებით შეიძლება ბამბის აკრეფის საქმეში ჩამორჩენის დაუყოვნებლივ ლიკვიდაცია.

ბამბის საბჭოთა მეურნეობებში მდგომარეობა კვლავ უცვლელია

მებამბეობის საბჭოთა მეურნეობები ბამბის აკრეფის საქმეში ისევ დემობილიზაციურ განწყობილებას მიეცნენ, ისინი არავითარ ზომებს არ ღებულობენ ბამბის აკრეფა - ჩაბარების ტემპების გასაძლიერებლად.

27 ნოემბრისათვის საბჭოთა მეურნეობებს აკრეფილი ქონდათ სულ 1.245 ტონა ბამბა, — შესრულებული იყო გეგმის 30,1 პროც.: აქედან **ყარაიას** საბჭოთა მეურნეობას აკრეფილი აქვს 165 ტონა, რაც გეგმის 85,1 პროც. შეადგენს; **ბორჩალოს** რაიონის საბჭოთა მეურნეობებს — 198 ტონა, ანუ გეგმის 50,3 პროცენტი და **ალაზნის** საბჭოთა მეურნეობებს მხოლოდ 882 ტონა—გეგმის 24,8 პროცენტი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ალაზნის საბჭოთა მეურნეობას უკანასკნელი კვირის განმავლობაში სრულიად არ უწარმოებია ბამბის აკრეფა და მუშა-ხელიც აღარა ყავს მეურნეობაში. ამ გარემოებას საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელობა იმითი ხსნის, რომ დიდი ავდრების გამო ბამბის ნათესებში ტალახი სდგას და მუშაობა შეუძლებელია. ეს ამხანაგები ამ გარემოებას გულდამშვიდებით შესცქერიან და საჭირო ზომებს არ ღებულობენ მუშა - ხელის მოსაგროვებლად, რომ გამოდარებისთანავე გაასკეცებული ენერგიით შეუდგეთ ბამბის აკრეფას.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაში იმყოფებიან ბორჩალოს და ყარაიას რაიონების საბჭოთა მეურნეობებიც. ამ დემობილიზაციურ განწყობილებას გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო. საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა ყოველგვარი ზომა უნდა იხმარონ მუშა-ხელის საკმაო რაოდენობით გამოსაძებნათ, რათა უახლოეს დღეების განმავლობაში აუკრეფელი არ დარჩეს არც ერთი კილოგრამი ბამბა.

შესყიდულია 6781 ტონა ბამბა

ამიერ - კავკასიის მებამბეობის კომიტეტის ცნობით, 27 ნოემბრისათვის ამიერ - კავკასიაში შესყიდული იყო სულ 115.775 ტონა ბამბა შესრულებული იყო გეგმის 53.5 პროცენტი. აქედან **აზერბეიჯანში** შესყიდული იყო 91.876 ტონა ბამბა. (გეგმის—58,4 პროც., **სომხეთში** — 9,631 ტონა, ანუ გეგმის 37,4 პროცენტი, **საქართველოში** — 6.781 ტონა — გეგმის 72,1 პროც.

25 ნოემბრისათვის ამიერ - კავკასიის ურწყავ რაიონებში შესყიდული იყო სულ 658 ტონა ბამბა, შესრულებული იყო გეგმის 52,7 პროცენტი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში 27 ნოემბრისათვის — 6.829 ტონა (გეგმის 31 პროცენტი).

რაიონების მიხედვით ბამბის შესყიდვა საქართველოში შემდეგ სურათს გვაძლევს:

ბორჩალოს	4.200	73,2.
ლიუქსემბურგის	117	50,9.
ყარაიას	1.630	69,5.
სიღნაღის	430	52,6.
გარე-კახეთის	40	47,6.
გურჯაანის	464	138,5.

როგორც მოყვანილი ციფრები გვიჩვენებს, ბამბის შესყიდვის ტემპი უკანასკნელ დღეების განმავლობაში მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს.

ეს გარემოება განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს **ლიუქსემბურგის, სიღნაღის და გარე - კახეთის** რაიონების შესახებ, რომელიც ჯერჯერობით [illegible] აქვთ შესრულებული. ბამბის შესყიდვის საერთო ტემპის გაძლიერებასთან ერთად დასახელებულმა რაიონებმა განსაკუთრებული ზომები უნდა მიიღონ, რომ ჩამორჩენა დაკვრითი წესით გამოასწორონ და ბამბის შესყიდვის კამპანია, სხვა რაიონებთან ერთად, წარმატებით დაამთავრონ.

რამდენი აკრეფილი ბამბა

საქართველოს მიწსახკომის ცნობით, 25 ნოემბრისათვის აკრეფილი იყო 84.341 ცენტნერი ბამბა, რაც **შეადგენს წლიური გეგმის 61,5 პროცენტს.**

კოლმეურნეობებში აკრეფილია 35.312 ცენ. (გეგმის 66,4 პროც.) საბჭოთა მეურნეობებში 12.635 ცენ. (გეგმის 30,8 პროც.), ინდივიდუალურ მეურნეობებში (ღარიბ - საშუალო გლეხებში) 32.664 ცენ. (გეგმის — 85,8 პროც.) და კულაკურ - შეძლებულ მეურნეობებში 3.723 ცენ. (მტკიცე დავალების 83,8 პროც.).

რაიონების მიხედვით ბამბის აკრეფა შემდეგ სურათს გვაძლევს:

ბორჩალოს	44.966	75,1
ყარაიაზის	16.855	74,9
სიღნაღის	13.483	33,4
გარე-კახეთის	396	48,3
ლიუქსემბურგი	1.671	92,8
გურჯაანი	4.440	132,5
ქუთაისი	670	93,1
სამტრედიის	165	32,4
მარტვილის	195	30,5
ვანის	1.500	77,7

ამრიგად ბამბის აკრეფის საქმეში ყველაზე წინ მიდის **გურჯაანის** რაიონი, რომელსაც 25 ნოემბრისათვის ბამბის აკრეფის გეგმა შესრულებული ქონდა — 132,5 პროცენტით. სამარცხვინოდ ჩამორჩნენ: **მარტვილის** (30,5 პროც.), **სამტრედიის** (32,4 პროც.) და **სიღნაღის** რაიონები (33,4 პროც.).

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ბამბის აკრეფა საბჭოთა მეურნეობაში, რომლებსაც ბამბის აკრეფის გეგმა 25 ნოემბრისათვის შესრულებული ქონდათ — 30,8 პროცენტით.

საჭიროა დაუყოვნებლივ მოხდეს გარდატეხა ბამბის აღების საქმეში; საბჭოთა მეურნეობებმა ამ მხრივ თავი უნდა დააღწიონ სამარცხვინო ჩამორჩენას. კულაკურ - შეძლებულ მეურნეობები უნდა ვაიძულოთ დაუყოვნებლივ შეასრულონ მტკიცე დავალებები.

—ლი.

ბამბა აუკრეფავი რჩება

(გურჯაანი)

მიუხედავათ იმისა, რომ გურჯაანის რაიონში ბამბის აკრეფის წლიური გეგმა გადაჭარბებით იქნა შესრულებული, დღემდე ბამბა კიდევ ბევრ ალაგას აუკრეფავია. რაიონული ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაციები დემობილიზაციურ განწყობილებას მიეცნენ და აღარ ღებულობენ გადამწყვეტ ზომებს გაშლილი ბამბის აკრეფის ირგვლივ კოლმეურნეების და ღარიბ - საშუალო გლეხების მჭიდროთ დარაზმვისათვის.

გურჯაანის რაიონში (კარდენახი, ბაკურციხე, ვეჯინი და სხვა სოფლებში) ბამბა გაშლილია, აკრეფაზე კი თავს არ იწუხებენ იმ მოტივით, რომ წვიმებია და სხვ.

ამ დემობილიზაციურ განწყობილებებს გადაჭრით უნდა მოეღოს ბოლო, ხელსაყრელი ამინდები ბამბის აკრეფისათვის მაქსიმალურად უნდა იქნას გამოყენებული, არც ერთი კილოგრამი ბამბა არ უნდა დარჩეს აუკრეფავი.

ვალ. ჩიქოვანი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სომხეთის 11 წლისთავი

საქართველოს მშრომელთა მხურვალე, ძმური სალამი საბჭოთა ჰაიასტანს!

საბჭოთა სომხეთის სამეურნეო-კულტურული ზრდა ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებაა

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციას

სოციალისტური მშენებლობის გამარჯვებათა 11 წელი

სომხეთის მუშები, კოლმეურნეები, ღარიბი და საშუალო გლეხები დღეს ზეიმობენ თავიანთი გამარჯვების თერთმეტი წლისთავს.

დღეს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მრეწველობის მრავალი ათასი მუშა მწყობრი რიგებით გაივლის ქუჩაში კომპარტიის დროშით, რათა მოახდინონ თავიანთი რევოლუციონური ნებისყოფის დემონსტრაცია სოციალიზმის მშენებლობის ხელმძღვანელების—კომუნისტური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე.

დარაზმულად გამოვლენ სოციალისტურ მინდვრებზე მომუშავე კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დამკვრელნი, რომელნიც, ერთხმად რა სოფლის ღარიბ და საშუალო მასებს, სხვადასხვა რაიონებში ასეული ტრაქტორებით აპობენ ივენი მინდვრების მკერდს, რათა დაგვანახონ სოფლის მეურნეობის შრომის პროდუქციის ზრდა, მისი ეკონომიური ბაზის განმტკიცება და თავიანთი მუშაობის შეუდარებელი უპირატესობა ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა წინაშე.

ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონებში—ფაბრიკებსა და ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობების კლუბებში და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების გარაჟებში, სამკითხველოებში და კოლმეურნეობათა წითელ კუთხეებში



სომხეთის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ა. ანანიანი

—დამკვრელების, სოციალიზმის მშენებლობის ამ მოწინავე მებრძოლების, მრავალათასიანი არმია დღეს წარადგენს სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მის მიერ მიღწეულ წარმატებათა ანგარიშს.

ყველგან მოეწყობიან დამკვრელთა ახალი არმიები, რომელნიც უფრო შეამჭიდროებენ სოციალისტური მშენებლობის ფრონტის გმირთა რიგებს და უფრო მეტ ენერგიას და გაქანებას მისცემენ ჩვენი ბოლშევიკური შეტევის ტემპებს, ჩვენი ეკონომიკის რეკონსტრუქციის საქმეს.

ჩვენი გამარჯვების ზეიმის დღეს, როდესაც სოციალისტური მშენებლობის გმირები, რომელნიც გაერთიანებულნი არიან ურყევი ნებისყოფით და თავიანთი საქმის საბოლოო გამარჯვების რწმენით, ცხადყოფენ თავიანთი ძალების დარაზმულობას,—ამ დღეს თავიანთ სიძლიერეს გვიჩვენებენ ჩვენი ქვეყნის მშენებლობის პროცესში მყოფი და დამთავრებული ახალი გუმბერაზებიც—ძორაგესი, ცემენტმშენი და ქიმმშენი.

იქ, ლორის ხეობებში, სადაც თერთმეტი წლის წინად გაისმოდა დაშნაკ-მაუზერისტების და მენშევიკ-გვარდიელების თოფების ტკაცა-ტკუცი და ზარბაზნების გუგუნი, რაც ყოველივეს სპობდა და ანადგურებდა—სწორედ ამ ადგილას სომხეთის მუშების და საუკეთესო სპეციალისტების ხელით და თბილისის 26 კომუნარის სახელობის ქარხნის მუშების ძალღონით აგებული იქნა ძორაგესი—ჩვენი ქვეყნის მრეწველობის სიამაყე, რომელიც სიცოცხლეს აძლევს ალავერდის თუჯის და კარაკლისის ქიმიურ მრეწველობას.

11 წლის წინად დაშნაკელმა ბაშიბუზუკებმა და მუსავატელმა ბეკებმა „მგლის კარებთან" დახოცეს მრავალი ათასი უდანაშაულო სომეხი და თურქი გლეხი. დაშნაკელთა მახვილისაგან გაქცეული მრავალი ათასი მშრომელი თურქის სიცოცხლე შთანთქა არაქსის წყალმა.

ამ „მგლის კარებთან" სომეხი და თურქი (ნახიჩევანელი) მუშების მიერ ახლა აშენებულია მშვენიერი მუშური ქალაქი, რომლის ცენტრშიაც ამჟამად წამოჭიმულია ცემენტმშენის ქარხანა—ჩვენი ახალი მრეწველობის მეორე გუმბერაზი.

კარაკლისი, რომელიც დაშნაკური მთავრობის დანაშაულებრივი პოლიტიკის წყალობით გადაქცეული იყო სომეხ და თურქ მშრომელთა სისხლისმღვრელი შეტაკებათა სარბიელად, ახლა ისე გარდაიქმნა, რომ ვერ იცნობთ. ქიმმშენს, რომელიც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მსხვილ საწარმოს წარმოადგენს და რომელიც ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვითაა აგებული, ახლა უჭირავს ამ ქალაქის ნახევარზე მეტი. მისხანის საბადოები თავიანთი გამოულეველი სიმდიდრით, ქიმმშენის კომბინატთან ერთად, კარაკლისს გადააქცევენ სომხეთის მესამე სამრეწველო ცენტრად.

კანაკირჰესი, რომელიც ამ სამ გუმბერაზთან ერთად შენდება, აგრეთვე მთელი რიგი ახალი სამრეწველო საწარმონი ძირფესვიანად სცვლიან ჩვენი ქვეყნის სახეს და ჩვენს მცირემიწიან ჩამორჩენილ გლეხურ ქვეყანას ხდიან ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, სოციალისტური სექტორის უმაგალითო განვითარებისა და განმტკიცების ზეგავლენით, სულ ერთიანად იცვლება.

საბჭოთა სომხეთის მუშებმა და მშრომელებმა დიდი ხანია დაივიწყეს მესვეურ დაშნაკების მიერ თერთმეტი წლის წინად დატოვებული განადგურებული და განიავებული ქვეყანა, მკვდრებისა და მრავალი ათასი ობლის ქვეყანა. დღეს ჩვენი მტრებიც კი იძულებულნი არიან სცნონ ის უდიდესი წარმატებანი, რომლებსაც ჩვენ მივაღწიეთ ისტორიაში უნახავი და უმაგალითო ტემპებით სოციალისტურ სამშობლოში—საბჭოთა სომხეთში.

საბჭოთა კავშირი და მასთან ერთად საბჭოთა სომხეთიც უკვე დიდი ხანია გადაიქცნენ ისეთ ადგილად, სადაც ჩამოდიან ევროპის მუშების მრავალრიცხოვანი დელეგაციები, სხვადასხვა სპეციალისტები და მეცნიერები, რათა ნახონ ჩვენი მშენებლობა და უშუალოდ დარწმუნდნენ ჩვენს მიღწევებში. უკან დაბრუნების შემდეგ, ისინი იქ მოუთხრობენ და სწერენ სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგებში ჩვენ მიერ მიღწეულ წარმატებებსა და გამარჯვებებზე.

დაშნაკებს და მათ ბატონ-პატრონებს კაპიტალისტებს არა ერთხელ უწინასწარმეტყველებიათ საბჭოთა ხელისუფლების დაცემა და დაღუპვა. მაგრამ ეკონომიურად ჩვენ უფრო ვმაგრდებით, მუშათა კლასი დღითი-დღე უფრო ძლიერდება და საბჭოთა ხელისუფლება გადაიქცა ყველაზე მძლავრ სახელმწიფოდ მსოფლიოში.

ჩვენი დღევანდელი ზეიმი ხდება იმპერიალისტური სახელმწიფოების შავ დღეებს: „იქ, კაპიტალისტებთან, ადგილი აქვს დაბნეულობას და მდგომარეობის გაუარესების პერსპექტივას, აქ, საბჭოთა კავშირში—საკუთარი ძალებისადმი რწმენა და მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების პერსპექტივა" (სტალინი).

ჩვენმა სინამდვილემ, ჩვენი მიღწევების მეტად მეტყველმა ფაქტებმა სავსებით დაადასტურეს პარტიის ბელადის ეს ისტორიული დიაგნოზი.

საერთაშორისო ბურჟუაზია სისხლით იცლება, მისი ეკონომიური სიძლიერის საძირკველი უაღრესად შერყეულია და იგი დაუცხრომლად დაეძებს გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან. საერთაშორისო ბურჟუაზია ყველგან გადავიდა გააფთრებულ შეტევაზე მუშათა კლასისა და კოლონიების წინააღმდეგ, იგი ამზადებს ახალ იმპ. ომებს და პირველ რიგში—ომს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ამას ნათლად ადასტურებს ის ამბები, რომლებიც ხდება შორეულ აღმოსავლეთში—მანჯურიაში.

ჩვენი გამარჯვების დღევანდელი ზეიმის დღეს ჩვენ უფრო მტკიცედ უნდა გავსწიოთ წინ სოციალისტური მშენებლობის გზით, დავრაზმოთ ჩვენი ბოლშევიკური ძალები, მედგრად გადავლახოთ ყველა სიძნელეები, რათა წარმატებით განვახორციელოთ მესამე, გადამწყვეტი წლის სამრეწველო-საფინანსო გეგმები და ამჟამად, იდეალურად შევიდეთ ჩვენი ხუთწლედის მეოთხე, უკანასკნელ წელში. ეს იქნება ჩვენი პასუხი იმპერიალისტური ქვეყნების ყველა ბნელ ზრახვებსა და ცდებზე ჩვენს წინააღმდეგ.

„ჩვენ წინ უნდა გავსწიოთ ისე, რომ მთელ მსოფლიოს მუშათა კლასს, რომელიც ჩვენ შემოგვცქერის, შეეძლოს სთქვას, აი, ჩემი მოწინავე რაზმი, აი, ჩემი დამკვრელი ბრიგადა, აი, ჩემი მუშური ხელისუფლება აი, ჩემი სამშობლო. ისინი თავიანთ საქმეს—ჩვენს საქმეს—კარგად აკეთებენ. მხარი დავუჭიროთ მათ კაპიტალისტების წინააღმდეგ და გავშალოთ მსოფლიო რევოლუციის საქმე" (სტალინი).

ჩვენი ძალების დემონსტრაციის ლოზუნგად დღეს უნდა იყოს ამხ. სტალინის ექვსი პირობა, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 31 ოქტომბრის დადგენილება ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მოხსენებათა გამო. ამ გადაწყვეტილებათა ზუსტად შესრულება უზრუნველჰყოფს ჩვენ ახალშენებათა-გუმბერაზთა მანქანების შეუფერხებელ მუშაობას, მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმების შესრულებაში ჩვენი საწარმოების ჩამორჩენის ლიკვიდაციას ამ უკანასკნელ თვეს, სამრეწველო-საფინანსო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით განხორციელებას და კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო ბაზის განმტკიცებას.

სომხეთის სახკომსაბჭ. თავმჯდომარე ამხ. ტერ-გაბრიელიანი

წინ, ახალ-ახალი გამარჯვების მისაღწევად სოციალიზმის მშენებლობის ფრონტზე!

შეუპოვრად და დაუზოგავად ვიბრძოლოთ ყველა სახის და ჯურის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, დაშნაკების, კულაკების და ნეპმანების წინააღმდეგ, რომელნიც ცდილობენ წინ აღუდგნენ სოციალიზმის მშენებლობის ძლევამოსილ მსვლელობას.

წინ, სომხეთის ბოლშევიკური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლენინური ხელმძღვანელობით, ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში!

სომხეთის ცაკის თავმჯდომარე
ა. ანანიანი.

საბჭოთა სომხეთის მე-12 წლის მიჯნაზე

დღეს საბჭოთა სომხეთის მუშათა კლასი, კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები დღესასწაულობენ დაშნაკების ბატონობისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლების დიად დღეს.

საბჭოთა სომხეთის მშრომელმა მასებმა განვლეს მიჩქეფარე და შემოქმედებითი მუშაობის სრული 11 წელი, სოციალიზმის მშენებლობის საქმეში მძლავრი ენტუზიაზმის 11 წელი.

11 წლის წინად საბჭოთა სომხეთი წარმოადგენდა დანგრეულ, გაძარცულ, გაღატაკებულ და დამშეულ ქვეყანას.

ყოველდღიურმა შეტაკებამ ერთა შორის და დაშნაკების ომებმა მეზობელ ერებთან სომხეთის აყვავებული სოფლები და ქალაქები ნანგრევებად აქციეს

ეხლა, 12 წლის თავის მიჯნაზე, საბჭოთა სომხეთი, მთელი ამიერ-კავკასიის ფედერაციის მშრომელი მასების გაერთიანებული ძალღონით და საბჭ. თა კავშირის ძმური დახმარებით, წარმოადგენს აღორძინებულ და რეკონსტრუქციის პერიოდში შესულ აყვავებულ ქვეყანას, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს სოციალისტურ მშენებლობას სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

საბჭოთა სომხეთის მშრომელი მასები საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-11 წლის თავს ხვდებიან საწარმოო ძალების სწრაფი ზრდის გაშლილი ფრონტით. შეიქმნა და ფართოვდება მძლავრი იაფი ჰიდრო-ენერგეტიული ბაზა საბჭოთა სომხეთის ყველა საწარმოო ძალების განვითარებისათვის. აშენდა და ამუშავდა ჰიდროელსადგურები ერევანში, ლენინაკანში; ამ სადგურების სიმძლავრე უდრის 6.580 კილოვატს (პირველი რიგის). ამჟამად ხდება მათი გაფართოება 5.200 კილოვატით. შენდება მძლავრი ჰიდროელსადგურები—ძორაჰესი—22.000 კილოვატი და კანაკირჰესი—42.000 კილოვატი, რომლებიც მთელ რევოლუციას მოახდენენ სომხეთისა და ამიერ-კავკასიის ფედერაციის მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში.

მთელ რიგ სოფლებში აშენდა და შენდება წვრილი ელსადგურები, რომლებიც ანათებენ სომხეთის საბჭოთა სოფლებს.

იაფი ჰიდროენერგეტიული ბაზის, მთამადნეულის და არამადნეულის უდიდესმა მარაგმა და სოფლის მეურნეობის სიმდიდრემ საუკეთესო პირობები შექმნა მრეწველობის განვითარებისათვის. გაჩნდა ახალი სამრეწველო კერები: არტიკ-ტუფი, რომელსაც, როგორც იაფი და მსუბუქი საშენი მასალის მომწოდებელს, საკავშირო მნიშვნელობა აქვს, ანიპემზა,-რომელიც ამზადებს მრავალ ათას ტონა პემზას საბჭოთა მრეწველობისა და ექსპორტისათვის, ბამბაკის გრანიტის კარიერები და სხვ.

ფართოდ ვითარდება კაფანისა და ალავერდის სპილენძის საბადოების რეკონსტრუქცია და ხელახლა მოწყობა, რათა გადიდებულ იქნას სპილენძისა და სხვა ფერადი ლითონების ამოღების გადიდება.

ლენინაკანი გადაქცეულია საბჭოთა სომხეთის ერთ-ერთ უდიდეს სამრეწველო პროლეტარულ ცენტრად. იქ თავმოყრილია მძლავრი საფეიქრო, ბამბის საქსოვი ფაბრიკები, რომლებთაც დიდი მუშაობა გააჩაღეს კვალიფიციური მუშა-ხელის მოსამზადებლად ადგილობრივი მოსახლეობიდან.

მთელ სომხეთში ფართოდ არის გაშლილი კომუნალური და სხვა მშენებლობა და ამ დარგში, როგორც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს თავის დადგენილებაში, საბჭოთა სომხეთმა მიაღწია საგრძნობ წარმატებებს როგორც მშენებლობის მასშტაბის, ისე ხარისხის მხრივ.

მშრომელმა მასებმა გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ფრონტზე. მოეწყო მთელი რიგი დარგობრივი საწარმოო საბჭოთა მეურნეობანი. წარმატებით მთავრდება დაქუცმაცებულ წვრილ გლეხურ მეურნეობათა კოლექტივიზაცია. კოლმეურნე გადაიქცა სოფლის მეურნეობის ცენტრალურ ფიგურად და სოფლად საბჭოთა ხელისუფლების მთავარ დასაყრდენად. წარმატებით ვითარდება კლასობრივი ბრძოლა და ხდება კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე.

სომხეთის მშრომელმა მასებმა ფართოდ გაშალეს მუშაობის სოციალისტური მეთოდები—სოციალისტური ბუქსირები. საბჭოთა და სხვა ორგანიზაციების მუშაობა, გააძლიერეს მათი ხელმძღვანელი გავლენა სოფლად და ახორციელებენ საკოლმეურნეო მოძრაობაში მიღწეულ წარმატებათა საორგანიზაციო-სამეურნეო და პოლიტიკურ განმტკიცებას.

წარმატებამ სოციალისტური ინდუსტრიის დარგში საშუალება მისცა საბჭოთა სომხეთს შეექმნა სოფლის მეურნეობისათვის მტკიცე ტეხნიკური ბაზა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სახით, რომელთა რიცხვი სომხეთში 1931 წელს უდრის 4-ს, 1932 წელს მოეწყობა სამი სხვა სამანქანო-სატრაქტორო სადგური.

ფართოდ არის გაშლილი სარწყავი არხები, რომელთა მეოხებითაც შესაძლებელი გახდა დღემდე უდაბნოდ ქცეული მიწების დიდი ფართობის დამუშავება და მათზე ბამბის გაშენება.

ამხ. სტალინის ექვსი ისტორიული მითითების გადაჭრით განხორციელება წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის ზოგიერთ დარგში არსებული ჩამორჩენის ლიკვიდაციის გზას, ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის პროგრამის და ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში, ხოლო გადამწყვეტ დარგებში—3 და 2 ნახევარ წელიწადში 100 პროცენტით შესრულების გზას.

საბჭოთა სომხეთის სწრაფმა სამეურნეო პოლიტიკურმა ზრდამ გამოიწვია კულტურული მშენებლობის უმაგალითო ზრდა.

თუ ცარიზმისა და დაშნაკების ბატონობის დროს მეტად მცირე პროცენტმა იცოდა წერა-კითხვა სომხეთში და ყოველ რაიონში მხოლოდ ორი-სამი სკოლა არსებობდა, ეხლა საბჭოთა სომხეთის მე-11 წლის თავზე წერა-კითხვა იცის მოსახლეობის 65—70 პროცენტმა, ხოლო 1932 წლისათვის ამოცანად არის დასახული წერა-კითხვის უცოდინარობის სავსებით მოსპობა მთელ სომხეთში და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების შემოღება.

ამჟამად სომხეთში არის რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი, უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებელი და ტეხნიკუმი, რომლებიც ამზადებენ სოციალიზმის მშენებელთა კადრებს.

ხარჯები სახალხო განათლებაზე წლითი-წლობით იზრდება.

თუ დაშნაკების ბატონობის დროს სომხეთში გამოდიოდა მხოლოდ ერთი პატარა გაზეთი, რომლის ტირაჟი 3 ათასს არ აღემატებოდა, ეხლა ქალაქებში გამოდის 6 გაზეთი და რაიონებში—17—149 ათასი ცალი ტირაჟით.

ფართოდ არის გაშლილი როგორც მოსწავლეთა. ისე საბჭოთა სომხეთის მშრომელი მასების მომარაგება სახელმძღვანელოებით და პოლიტიკურ-ეკონომიური შინაარსის წიგნებით მშობლიურ ენაზე.

სომხურ ენაზე გამოდის ლენინის თხზულებათა სრული კრებული და კარლ მარქსისა და ენგელსის ცალკე შრომები.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს განვითარდა ფართოდ სომხური თეატრი—დრამა და ოპერა. გაჩნდნენ სომეხი პროლეტარული დრამატურგები და მწერლები. საბჭოთა სომხეთის ყველა მივარდნილ კუთხეში არსებობს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელი, რომლებიც ავრცელებენ მშრომელთა მასებში საბჭოთა კულტურას.

საბჭოთა სომხეთის არსებობის 11 წელი არის მრავალი ერით დასახლებულ ქვეყანაში სწორი ლენინური ნაციონალური პოლიტიკის პრაქტიკულად განხორციელების 11 წელი.

თუ დაშნაკური პარტია სისტემატიურად ახორციელებდა ეროვნულ უმცირესობათა ჩაგვრის ველურ ალვირახსნილ პოლიტიკას და არც ერთი სკოლა არ არსებობდა ეროვნულ უმცირესობათათვის, სამაგიეროდ ეხლა საბჭოთა სომხეთში ყოველ ეროვნებას საშუალება აქვს თავის მშობლიურ ენაზე მიიღოს სწავლა-განათლება სკოლებში.

ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის დარგში, კულტურული მშენებლობისა და ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განვითარების დარგში მიღწეულ უდიდეს წარმატებათა ფონზე საბჭოთა სომხეთი წარმოადგენს ამიერ-კავკასიის ფედერაციის სიძლიერის ერთ-ერთ მთავარ ბურჯს, „ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუშს, რაც წარმოუდგენელი იყო ბურჟუაზიის ბატონობის დროს და შეუძლებელი ბურჟუაზიული წყობილების პირობებში" (ლენინი).

ლენინური ნაციონალური პოლიტიკის გაუხრელად გატარება და შეურიგებელი ბრძოლა დიდმპყრობელურ შოვინიზმთან, როგორც მთავარ საფრთხესთან ნაციონალურ საკითხში, ადგილობრივ ნაციონალიზმთან და მისდამი შემრიგებლობასთან უფრო მეტად განამტკიცებს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმურ თანამშრომლობას, დააჩქარებს ფორმით ნაციონალურ და შინაარსით სოციალისტურ კულტურათა განვითარებას, უზრუნველჰყოფს სომხეთის, საქართველოს და აზერბეიჯანის რესპუბლიკების სამეურნეო ინიციატივისა და თვითმოქმედების ფართოდ გაშლას და მით განამტკიცებს ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამეურნეო-პოლიტიკურ სიძლიერეს.

საბჭოთა სომხეთის მშრომელი მასების 11 წლის განმავლობაში ყოველდღიურად და ყოველ საათობით გამარჯვება სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში შედეგია საკ. კ. პ. (ბ) იმ ლენინური ცენტრალური კომიტეტის ბოლშევიკური ხელმძღვანელობის, რომელსაც მეთაურობს ამხ. სტალინი, შედეგია შეურიგებელი ბრძოლისა პარტიის გენერალური ხაზისათვის და მემარჯვენე ოპორტუნიზმის, როგორც მთავარი საფრთხის, „მემარცხენე" გადახვევების, ლენინიზმის ყოველგვარი დამახინჯების და მათდამი შემრიგებლობის წინააღმდეგ.

საბჭოთა სომხეთს შეუსრულდა 11 წელი მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის დიქტატურა შევიდა თავისი არსებობის მე-15 წელიწადში იგი ძლევამოსილად ამთავრებს ხუთწლიან გეგმას ოთხ წელიწადში და სოციალისტური ეკონომიკის საძირკველს.

იგი ძლევამოსილად ამთავრებს უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ელემენტების ნაშთებთან, იგი ადგენს მეორე ხუთწლიან გეგმას და ემზადება სოციალისტური მშენებლობის ახალი გუმბერაზული გაშლისათვის, იგი გადაიქცა საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის უძლეველ ციხე-სიმაგრედ.

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას!

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და პარტიის ბელადს ამხ. სტალინს!

გ. მუსაბეკოვი.

მისალმებები სომხეთის მშრომელთ

საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტისაგან

ერევანი, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი საბჭოთა სომხეთის თერთმეტი წლისთავზე სომხეთის კომუნისტური პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის სახით მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უგზავნის საბჭოთა სომხეთის ყველა მუშებს, კოლმეურნეებს, ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებს და ყველა მშრომელთ.

საბჭოთა სომხეთის მუშათა კლასმა და მშრომელებმა, რომელნიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განუხრელად ახორციელებდნენ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, იბრძოდენ პარტიის გენერალური ხაზიდან გადახრების წინააღმდეგ, ანადგურებდენ კონტრრევოლუციონურ დაშნაკიზმს და გადაჭრით ებრძოდენ ნაციონალიზმს, გადამწყვეტ წარმატებებს მიაღწიეს საბჭოთა სომხეთის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის და კულტურული მშენებლობის საქმეში.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა სომხეთის კომპარტია, რომელიც სათავეში უდგას მუშათა კლასისა და მშრომელთა ფართო მასებს, განუხრელად განახორციელებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლენინურ დირექტივებს და ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მითითებებს, შეასრულებს მის წინაშე დასმულ უდიდეს ამოცანებს მთელს ფრონტზე შემდგომი გაშლილი სოციალისტური შეტევის საქმეში.

საბჭოთა სომხეთი ამიერ - კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის მოძმე ერებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული განამტკიცებს ამიერ - კავკასიის ფედერაციის სამეურნეო - პოლიტიკურ ძლიერებას, ფართოდ გაშლის თვითმოქმედებას და სამეურნეო ინიციატივას და სოციალისტური ხუთწლედის მეოთხე უკანასკნელ წელს კიდევ უფრო მნიშვნელოვან გამარჯვებებს მიაღწევს.

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!

გაუმარჯოს სომხეთის კომპარტიას და მის მებრძოლ შტაბს — ცენტრალურ კომიტეტს!

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტი

საქ. კ. პ. (ბ ცეკასაგან

საბჭოთა სომხეთის მშენებლებს

11 წლის თავზე საქართველოს ძმური კომპარტიისაგან ბოლშევიკურ სალამს უგზავნის საბჭოთა სომხეთის მშენებლებს.

საბჭოთა სომხეთის უდიდესი წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე წარმოადგენენ ა.-კ. ფედერაციის სიამაყეს და მოწმობენ სომხეთის კომპარტიის მიერ აღებულ ნამდვილ ბოლშევიკურ ტემპებს.

საბჭოთა სომხეთი, რომელიც თავისი არსებობის მე-12 წელში შედის, კომპარტიის ხელმძღვანელობით და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ამხ. სტალინის მითითებათა საფუძველზე მიაღწევს უფრო მეტ წარმატებებს და ძლევამოსილად და ამთავრებს სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის აგებას.

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს!

გაუმარჯოს ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მშრომელთა ძმურ ერთობას!

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) და მის ბელადს ამხ. სტალინს!

ლ. ბერია

ა.-კ. ცაკის პრეზიდიუმისაგან

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის სახელით მივესალმებით საბჭოთა სომხეთის მშრომელებს მისი არსებობის 11 წლის თავის დღეს.

საბჭოთა სომხეთის მუშათა კლასმა და მშრომელმა გლეხობამ, დაამხვრიეს რა კაპიტალის ლაქიები, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტები—დაშნაკების კონტრრევოლუციონური ხელისუფლება, ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განვლილ 11 წლის მანძილზე უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. პროლეტარიატის კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში, კულაკობის წინააღმდეგობის გადაჭრით დაძლევით, მიუხედავად ყველა ჯურის მემარჯვენე და „მემარცხენე" ოპორტუნისტების და შოვინისტების მტკიცებისა, სომხეთი მეფის თვითმპყრობელობის, ხოლო შემდეგ საერთაშორისო იმპერიალიზმის ყოფილი კოლონიიდან გადაიქცა სოციალიზმის მშენებელ ქვეყნად, რომელიც წარმოადგენს ნაციონალური პოლიტიკის ლენინური გატარების ნიმუშს, ნაციონალური მშვიდობიანობის ნიმუშს, რაც შეუძლებელია ბურჟუაზიის არსებობის დროს და ბურჟუაზიული წყობილების პირობებში!

ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა სომხეთის მშრომელები, რომელნიც შედიან საბჭოთა სომხეთის არსებობის მე-12 წელიწადში, უფრო მეტად განამტკიცებენ თავიანთ ქვეყნის სიძლიერეს, შეურყევლად ლენინური პარტიის დროშის ქვეშ, ამხ.სტალინის ექვსი მითითების მთლიანად და ბოლშევიკურად შესრულებისა და ცხოვრებაში გატარების ლოზუნგით განახორციელებენ საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 31 ოქტომბრის დადგენილებას და დარაზმავენ მშრომელთა ფართო მასებს იმისათვის, რომ იბრძოლონ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის პროგრამის სრული რეალიზაციისათვის ხუთწლედის უკანასკნელ მეოთხე წელიწადში დარაზმულად შესვლისათვის ორ ფრონტზე გაშმაგებული ბრძოლით.

გაუმარჯოს სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიდ კავშირს!

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და პარტიის ბელადს ამხ. სტალინს!

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
გ. სულთანოვი.

საქართველოს ცაკისაგან

სომხეთის ცაკის თავმჯდომარეს

თერთმეტი წლის წინად სომხეთის მშრომელებმა დაამხეს მათთვის საზიზღარი კაპიტალიზმის აგენტების, მაუზერისტ დაშნაკების ბატონობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. სისხლიანი დაშნაკების მოკლე ხანს ბატონობის დროს მთელი სომხეთი წარმოადგენდა სომხეთში მოსახლე ერთა შორის სისხლისმღვრელი ომებისა და ამიერ-კავკასიის ერთი ერის მეორე ერზე წაქეზების ასპარეზს, ამან რამდენიმე ათასი მშრომელის სიცოცხლე შეიწირა და სრულიად გაანადგურა სახალხო მეურნეობა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ სომხეთში მტკიცე საძირკველი ჩაუყარა ძმურ ერთობას და სოლიდარობას და შექმნა პირობები სავსებით განადგურებული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და სომხეთის სწრაფი კულტურულ-სამეურნეო განვითარებისათვის სოციალისტურ საფუძველზე, ამასთან უმაგალითოდ გაიზარდა დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი სკოლების რიცხვი, და აყვავდა ნაციონალური ხელოვნება და კულტურა. სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 11 წელი შესრულდა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელში, როცა დიდი საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელები მთელი ძალღონით იბრძვიან სოციალისტური მშენებლობის გზაზე არსებული ყველა სიძნელეთა გადასალახავად. ამ ისტორიული მომენტში სომხეთის მშრომელებს უკავიათ ერთ-ერთი პირველი ადგილი.

საქართველოს ცაკი დარწმუნებულია, რომ სომხეთის მშრომელები მთელი ამიერ-კავკასიის მშრომელებთან ერთად შეასრულებენ სოციალიზმის მშენებელთა უდიდეს მოვალეობას.

გაუმარჯოს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თერთმეტი წლის თავს!

გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს!

საქართველოს ცაკის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტისაგან

ერევანი, სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ-ს სომხეთის კ. პ. (ბ) ერევნის კომიტეტს.
ერევნის ქალაქის საბჭოს.

თბილისის კომიტეტი საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის და თბილისის პროლეტარიატის სახელით საბჭოთა სომხეთის მე-11 წლის თავზე თქვენის სახით მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უგზავნის სომხეთის ყველა მუშებს, კოლმეურნეებს და ღარიბ-საშუალო გლეხთა მასებს.

სომხეთის კომპარტიის ხელმძღვანელობით, პარტიის გენერალური ხაზის და მისი ლენინური ნაციონალური პოლიტიკის მტკიცედ გატარების საფუძველზე, ორ ფრონტზე შეურიგებელ ბრძოლაში, სომხეთის მშრომელებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციის და კულტურული მშენებლობის საქმეში.

თბილისის ორგანიზაცია გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სომხეთის კომპარტია, მისი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის—სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ერევნის კომიტეტის სახით, პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მითითებათა და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების მოხსენებათა გამო 31 ოქტომბერს მიღებულ გადაწყვეტილებათა ბოლშევიკური რეალიზაციის საფუძველზე, უზრუნველჰყოფს სომხეთის ს. ს. რესპუბლიკის სოციალისტური მშენებლობის ახალ წარმატებებს, აზერბეიჯანის და საქართველოს ბოლშევიკებთან ერთად ამიერ-კავკასიის ფედერაციის დიქტატურის ციხე-სიმაგრის შემდგომში განმტკიცებით.

გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთის თერთმეტი წლის თავს!

გაუმარჯოს სომხეთის კომპარტიას და მის ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას—სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ერევნის კომიტეტს!

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ სამხარეო კომიტეტის განახლებულ ხელმძღვანელობას!

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიას და მის ნაცად ბელადს ამხ. სტალინს!

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი მელაძე.

ალავერდის სპილენძის ქარხანა

ნოემბრის მეორე დეკადაში საქ. მრეწველობის მუშაობა გაუარესდა

„წინადადება მიეცეს ა.-კ. სამხარეო კომიტეტსა და ნაცკომპარტიების ც. კ-ებს უმოკლეს ვადაში უზრუნველჰყონ ც. კ-ის დირექტივების შესრულება პარტიულ - მასიური მუშაობის სიმძიმის ცენტრის საამქროსა და ბრიგადაში გადატანის შესახებ და შეარჩიონ ამისათვის საამქრო და საბრიგადო ხელმძღვანელი აქტივის მტკიცე კადრები. დაევალოს ამიერ-კავკ. სამხარეო კომიტეტსა და ნაცკომპარტიების ც. კ-ებს მოაწყონ ამიერ-კავკასიაში მუშების მასიური მოძრაობა სოციალისტური შეჯიბრების უმაღლესი ფორმებისათვის — სამეურნეო ანგარიშის ბრიგადებისათვის, ცვლის შემხვედრი გეგმებისათვის და სხვა".

(საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილებიდან)

საქართველოს მრეწველობამ შეანელა ტემპები

ნოემბრის მეორე დეკადაში საქართველოს მრეწველობაში კიდევ უფრო გაძლიერდა ის ჩამორჩენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა თვის დასაწყისიდან. განსაკუთრებით ჩამორჩენ—26 კომუნ. სახელობის და სუხიშვილის სახ. ლითონის ქარხნები, ტყავის მრეწველობა, თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკა, და ორჯონიკიძის სახელობის მექანიკური ქარხანა.

მარგანეცის მრეწველობა კვლავ წინ მიდის

მარგანეცის მრეწველობა კვლავ დამაკმაყოფილებლად მუშაობს და გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს. ნოემბრის მეორე დეკადის განმავლობაში ამოღებული იქნა 19.014 ტონა გასარეცხი მადანი, ანუ თვიური დავალება შესრულდა 42.9 პროცენტით.

სულ თვის დასაწყისიდან ამოღებულია 32.652 ტონა გასარეცხი მადანი, რითაც თვიური დავალება შესრულებულია 73,7 პროცენტით, თვიური გეგმის თანახმად, ნოემბრის განმავლობაში ამოღებული უნდა იქნეს სულ 44.292 ტონა გასარეცხი მადანი.

მარგანეცის მრეწველობამ ნოემბრის განმავლობაში უნდა მოგვცეს აგრეთვე 6.256 ტონა ჩვეულებრივი (საექსპორტო) მადანი. მეორე დეკადის განმავლობაში ამოღებული იქნა 2.296 ტონა ჩვეულებრივი მადანი, ანუ თვიური დავალება შესრულდა 36,6 პროცენტით. თვის დასაწყისიდან 20 ნოემბრამდე ამოღებულია 3.946 ტონა ჩვეულებრივი (საექსპორტო) მადანი, რაც თვიური დავალების 63 პროცენტს უდრის.

ნოემბრის საწარმოო გეგმით გათვალისწინებულია 25.041 ტონა მადნის გარეცხვა. აქედან მეორე დეკადაში გარეცხილ იქნა 14.486 ტონა. ანუ თვიური დავალება შესრულდა 57,8 პროცენტით, თვის დასაწყისიდან სულ გარეცხილია 24.115 ტონა მადანი, თვიური დავალება შესრულებულია 96.3 პროცენტით.

ლითონის მრეწველობის მუშაობა

საქართველოს ლითონის მრეწველობიდან ვერც ერთმა ქარხანამ ვერ შეასრულა საწარმოო დავალება. მნიშვნელოვნად ჩამორჩა წინა თვეებში ყველაზე უფრო დაწინაურებული სპილენძის სატკეცი ქარხანაც.

სპილენძის სატკეცმა ქარხანამ ნოემბრის პირველი ორი დეკადის განმავლობაში გამოუშვა 30,2 ტონა სპილენძის ფურცლები, მთელი თვის განმავლობაში ქარხანამ უნდა მოგვცეს 54 ტონა სპილენძის ფურცლები. აქედან მეორე დეკადაში ქარხანამ შესძლო 13,9 ტონა პროდუქციის გამოშვება, რაც თვიური გეგმის 25,7 პროცენტს უდრის. ორივე დეკადის განმავლობაში კი ქარხანამ თვიური დავალება შესრულა 55,9 პროცენტით ანუ 10,7 პროცენტის ჩამორჩენილობით.

26 კომუნარის სახელობის ქარხანამ ვერც ერთი პროდუქციის გამოშვების მხრივ ვერ მოგვცა დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები. ქარხანამ ნოემბრის განმავლობაში უნდა გამოუშვას 820 ტონა ლითონის კონსტრუქციები, 310 ცალი სასწორი და 80 ტონა წყალსადენის ნაწილები.

ფაქტიურად ნოემბრის მეორე დეკადის განმავლობაში გამოშვებულია 131,7 ტონა ლითონის კონსტრუქციები, რაც თვიური დავალების 16,1 პროცენტს უდრის. ამავე დეკადაში გამოშვებული იქნა 28 სასწორი, რაც თვიური დავალების 9 პროცენტს შეადგენს. ნოემბრის პირველ დეკადაში სასწორების გამოშვება არ სწარმოებდა. ფაქტიურად ორივე დეკადის განმავლობაში სასწორების გამოშვების თვიური დავალება შესრულებულია მხოლოდ 9 პროცენტით.

ნედლი მასალის უქონლობის გამო, ნოემბრის მეორე დეკადაში არ ჰქონია ადგილი წყალსადენის ნაწილების დამზადებასაც. თვის დასაწყისიდან გამოშვებულია 1,5 ტონა წყალსადენის ნაწილები მაშინ, როდესაც გამოშვებული უნდა იყოს 53 ტონა. თვიური დავალება ორივე გავლილი დეკადის განმავლობაში შესრულებულია 1,9 პროცენტით.

ლითონის კონსტრუქციების გამოშვების თვიური გეგმა ორივე დეკადაში შესრულებულია 22,5 პროცენტით, ანუ ნაცვლად 540 ტონა კონსტრუქციებისა, გამოშვებულია მხოლოდ 184,7 ტონა.

ორჯონიკიძის სახელობის მექანიკურმა ქარხანამ ნოემბრის განმავლობაში უნდა მოგვცეს 280.000 მანეთის საერთო პროდუქცია. აქედან მეორე დეკადის განმავლობაში მიღებულია 17.900 მანეთის პროდუქცია, ანუ თვიური დავალება შესრულებულია 6,4 პროცენტით. ორივე განვლილი დეკადის განმავლობაში (1-ლიდან 20 ნოემბრამდე) ქარხანამ გამოუშვა 38.300 მანეთის საერთო პროდუქცია, რაც თვიური გეგმის 13,7 პროცენტს უდრის. თვიური საწარმოო გეგმის შესრულებაში ორჯონიკიძის სახელობის ქარხანა 20 ნოემბრისათვის ჩამორჩენილი იყო 52,9 პროცენტით.

სუხიშვილის სახელობის ქარხანამ ორივე დეკადის განმავლობაში თუჯის ჩამოსხმის გეგმა შეასრულა 23,1 პროცენტით, საწარმოო გეგმის თანახმად ნოემბერში ქარხანამ უნდა მოგვცეს 77 ტონა თუჯი. აქედან მეორე დეკადის განმავლობაში ჩამოსხმულია 14,4 ტონა (თვიური დავალების 18,7 პროცენტი), ხოლო ორივე განვლილი დეკადის განმავლობაში 21,6 ტონა თუჯი.

ნოემბრის განმავლობაში აღნიშნულმა ქარხანამ უნდა გამოუშვას 2.000 ელექტრონის უთო. მეორე დეკადის განმავლობაში გამოშვებული იქნა 378 უთო, ხოლო სულ ორივე დეკადის განმავლობაში 478 ცალი უთო. ელექტრ. უთოების გამოშვების თვიური გეგმა 20 ნოემბრისათვის შესრულებული იყო 23,9 პროცენტით.

სუხიშვილის სახელობის ქარხნის სამუშაო გეგმის მთავარ ნაწილს შეადგენს ლურსმნების გამოშვება. ნოემბრის განმავლობაში აღნიშნულმა ქარხანამ უნდა მოგვცეს 122,1 ტონა ლურსმანი. მეორე დეკადის განმავლობაში ქარხანამ შესძლო მხოლოდ 25.1 ტონა ლურსმნის გამოშვება, რაც თვიური გეგმის 20,1 პროცენტს შეადგენს. ორივე განვლილი დეკადის განმავლობაში ქარხანამ გამოუშვა 43.1 ტონა ლურსმანი, რაც თვიური გეგმით 35.3 პროცენტს უდრის.

ტყავის მრეწველობის მუშაობა არაა დამაკმაყოფილებელი

ტყავის მრეწველობიდან ყველაზე მეტი ჩამორჩენა მოგვცა ტყავის მეორე ქარხ. მართალია, აღნიშნულმა ქარხანამ წლიური საწარმოო გეგმა უკვე შეასრულა ათი თვის განმავლობაში (1-ლი ნოემბრისათვის), მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ქარხანამ თითონ იკისრა საზოგადოებრივი ბუქსირის წესით დახმარება გაეწია ტყავის პირველი ქარხნისათვის და ნოემბრის განმავლობაში გადაემუშავებინა 7.440 ცალი წვრილი ტყავი,—გამოვა, რომ ქარხანამ ოდნავ დამაკმაყოფილებლადაც ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. მეორე დეკადაში ქარხანამ გამოუშვა 260 ცალი წვრილი ტყავი, რაც თვიური დავალების 3,5 პროცენტს შეადგენს. ორივე დეკადის განმავლობაში კი გამოშვებულია 825 ცალი ტყავი, ანუ თვიური გეგმა შესრულებულია 11,1 პროცენტით.

ტყავის პირველმა ქარხანამ 20 ნოემბრისათვის თვიური საწარმოო გეგმა ნაცვლად 66,7 პროცენტისა შეასრულა 26,7 პროცენტით. ნოემბრის განმავლობაში აღნიშნულმა ქარხანამ უნდა გამოუშვას 15.500 ცალი მსხვილი ტყავი. აქედან მეორე დეკადაში გამოშვებულია 3.240 ცალი, ხოლო ორივე დეკადაში კი 4.135 ცალი მსხვილი ტყავი.

თექის ფაბრიკამ ნოემბრის განმავლობაში უნდა მოგვცეს 28.800 კილოგრამი პროდუქცია, აქედან ორივე დეკადის განმავლობაში მოცემულია 17,217 კილოგრამი თექა, ანუ თვიური დავალება შესრულებულია 59,8 პროცენტით.

ფეხსაცმელების პირველმა ფაბრიკამ თვიური დავალების—122.400 წყვილი ფეხსაცმელის ანგარიშში, ორივე განვლილი დეკადის განმავლობაში მოგვცა 52.970 წყვილი ფეხსაცმელი. ანუ საწარმოო დავალება ნაცვლად 66,7 პროცენტისა, შესრულა 43,3 პროცენტით.

ფეხსაცმელების მეორე ფაბრიკამ საწარმოო დავალება გადაჭარბებით შეასრულა. ნოემბრის განმავლობაში ფაბრიკამ უნდა გამოუშვას 25.698 წყვილი ფეხსაცმელი. აქედან მარტო მეორე დეკადაში მოცემულია 10.714 წყვილი ფეხსაცმელი ანუ თვიური დავალების 41,7 პროცენტი, ხოლო ორივე განვლილ დეკადაში—19.863 წყვილი ფეხსაცმელი, რაც თვიური დავალების 77,3 პროც. უდრის.

ქიმკომბინატმა უნდა გააძლიეროს მუშაობა

ქიმკომბინატის საწარმოებმა ნოემბრის ორი დეკადის განმავლობაში ვერ მოგვცეს საწარმოო გეგმების შესრულების დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები. კერძოთ, თაბაშირ-ალებასტრის წარმოებას 20 ნოემბრისათვის თვიური საწარმოო დავალება შესრულებული ჰქონდა 23,8 პროცენტით. წარმოებამ ნოემბერში უნდა მოგვცეს 34.000 კილოგრამი თაბაშირი, 150.000 კილოგრამი დამწვარი ალებასტრი, 60.000 კილოგრამი ტალკი და 8.500 ცალი ალებასტრის ფირფიტა.

ფაქტიურად ორი დეკადის განმავლობაში მოცემულია 8.080 კილოგრამი თაბაშირი, 108.000 კილოგრამი დამწვარი ალებასტრი, რაც თვიური დავალების 72 პროცენტს უდრის, 5.280 კილოგრამი ტალკი, ანუ თვიური საწარმოო დავალების 8,8 პროცენტი და 2.871 ცალი ალებასტრის ფიცარი, რაც თვიური დავალების 33,8 პროცენტს შეადგენს.

გეგმა ვერ შეასრულა აგრეთვე ქიმკომბინატის წებოს ქარხანამაც. ნოემბრის განმავლობაში ქარხანამ უნდა გამოუშვას 10.000 კილოგრამი წებო. აქედან ორი განვლილი დეკადის განმავლობაში მიღებულია მხოლოდ 2.040 კილოგრამი წებო, რაც თვიური დავალების 24,4 პროცენტს უდრის.

ქიმიო-ფარმაცევტიულმა წარმოებამ, რომელიც აგრეთვე ქიმკომბინატის სისტემაში შედის, ნოემბერში უნდა მოგვცეს 63.300 მანეთის საერთო პროდუქცია. მეორე დეკადის განმავლობაში მიღებულია 29.800 მანეთის პროდუქცია, ხოლო ორივე დეკადაში კი 49.400 მანეთის საერთო პროდუქცია. ქიმიო-ფარმაცევტიულმა წარმოებამ, რომელიც ამზადებს სხვადასხვა მედიკამენტებსა და პრეპარატებს, 20 ნოემბრისათვის თვიური საწარმოო დავალება შეასრულა 87 პროცენტით.

სამკერვალო მრეწველობის მუშაობა გაუმჯობესდა

თბილისის პირველმა სამკერვალო ფაბრიკამ ნოემბერში უნდა მოგვცეს 2.786.200 მანეთის საერთო პროდუქცია. აქედან ორი განვლილი დეკადის განმავლობაში მიღებულია 1 627.800 მანეთის პროდუქცია, ანუ თვიური დავალება შესრულებულია 58,4 პროცენტით.

თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკა

თბილისის მეორე სამკერვალო ფაბრიკამ ნოემბერში უნდა გამოუშვას 984.400 მანეთის საერთო პროდუქცია, აქედან ორ განვლილ დეკადაში მიღებულია 569.700 მანეთის პროდუქცია, ანუ თვიური საწარმოო დავალება შესრულებულია 59,1 პროც.

ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკამ ნოემბერში უნდა გამოუშვას 451.700 მანეთის საერთო პროდუქცია. ორივე განვლილ დეკადაში ფაბრიკას მოცემული ჰქონდა 241.900 მანეთის საერთო პროდუქცია, რაც თვიური საწარმოო დავალების 53,6 პროცენტს უდრის.

ბათომის სამკერვალო ფაბრიკამ 20 ნოემბრისათვის თვიური საწარმოო გეგმა დამაკმაყოფილებლად შეასრულა. მთელი თვის განმავლობაში ფაბრიკამ უნდა გამოუშვას 321.900 მანეთის საერთო პროდუქცია, აქედან ორ განვლილ დეკადაში გამოშვებულია 206.600 მანეთის პროდუქცია. რაც თვიური დავალების 64,2 პროცენტს უდრის.

საერთოდ, საქართველოს სამკერვალო ტრესტის ყველა წარმოებებს ნოემბერში ეტყობათ მუშაობის გამოცოცხლების ტენდენცია.

თბ. სატრიკოტაჟო ფაბრიკამ უნდა გააძლიეროს ტემპები

თბილისის სატრიკოტაჟო ფაბრიკამ ნოემბრის განმავლობაში უნდა მოგვცეს 10.080 წყვილი აბრეშუმის ჩულქები. მეორე დეკადის განმავლობაში ფაბრიკამ გამოუშვა 1.060 წყვილი ჩულქი, ანუ თვიური გეგმის 10,5 პროცენტი. სულ ორივე განვლილ დეკადაში გამოშვებულია 4.970 წყვილი ჩულქი, რაც თვიური საწარმოო დავალების 49,3 პროცენტს შეადგენს.

ფაბრიკამ გადაჭარბებით შეასრულა აბრეშუმის შარფების გამოშვების გეგმა. თვიური საწ. დავალების თანახმად, ნოემბერში უნდა იქნეს გამოშვებული 2.110 ცალი აბრეშუმის შარფი, აქედან 20 ნოემბრისათვის უკვე გამოშვებული იყო 1.594 ცალი შარფი, რაც თვიური დავალების 75,5 პროცენტს უდრის.

უკანასკნელ ხანებში ფაბრიკამ შეასუსტა ბრძოლა საწარმოო გეგმის შესრულებისათვის. ფაბრიკის სამკუთხედმა უნდა მიიღოს გადამწყვეტი ზომები მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დ. ნ.

ԿԵՑՑԵ ԽՈՐՀՐԴԱՅԻՆ ՀԱՅԱՍՏԱՆ*)

1920 წლის 29 ნოემბერს სომხეთის მუშებმა და გლეხებმა რუსეთის პროლეტარიატის დახმარებით ერთხელ და სამუდამოდ დაამხეს დაშნაკელების კონტრ-რევოლუციონური მთავრობა, დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება და ბოლო მოუღეს ნაციონალ-შოვინისტების—დაშნაკელების შოვინისტურ ვაკხანალიას.

დანგრეული, მოშლილი და მიწასთან გასწორებული სახალხო მეურნეობა, საერთო რღვევა, მშრომელთა ფართო მასების მასიური გაღატაკება, სიღარიბე, შიმშილი, ეროვნული შუღლი და მორალურ-პოლიტიკური ჩაგვრა,—აი რა იყო ის „მემკვიდრეობა", რომელიც თავის შემდეგ დასტოვა სომხეთის ბურჟუაზიის ხელისუფლებამ მისი მორჩილი დაშნაკელების სახით.

ამ 11 წლის წინად იმ კონტრ-რევოლუციონური დაშნაკელების, მენშევიკებისა და მუსავატელების შოვინისტური პოლიტიკა, რომლებმაც ცარიზმისაგან გადმოიღეს ნაციონალური პოლიტიკის უფრო შავბნელი მხარეები, იწვევდა სისხლის ღვრას, მრავალი ათასის ლტოლვას, აჩენდა ქვრივებს და ობლებს.

კაპიტალისა და მტაცებელი იმპერიალისტების ლაქიებმა—დაშნაკებმა, მუსავატელებმა და მენშევიკებმა, რომლებსაც მხარს უჭერდნენ ყველა ჯურის ინტერვენტები, ველური და თავშეუკავებელი პარპაშის დროს, მოაწყვეს სისხლიანი ორგია მთელს ამიერ-კავკასიაში.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც დაამყარეს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებმა, მოუღო ბოლო ნაციონალისტების ამ სისხლიან საქმეს. მას შემდეგ ერთხელ და სამუდამოდ დამყარდა დაურღვეველი ნაციონალური მშვიდობიანობა, არ დარჩენილა სისხლიანი პოლიტიკის ნასახიც კი.

მას შემდეგ განვლო 11 წელმა, შეუპოვარი და თავდადებული ბრძოლის 11 წელმა, საბჭოთა ხელისუფლების იმ ბრწყინვალე გამარჯვების 11 წელმა, რომელიც მიღწეულ იქნა მტკიცე ნაციონალური მშვიდობიანობის საფუძველზე.

საბჭოთა სომხეთის მუშებმა, კოლმეურნეებმა და მშრომელმა მასებმა ამ 11 წლის განმავლობაში არა თუ აღადგინეს იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებისაგან დანგრეული სახალხო მეურნეობა, არამედ რევოლუციამდე დამონებული სომხეთი მისი პრიმიტიული მეურნეობით გადააქციეს ისეთ ქვეყნად, სადაც სწრაფ ტემპებით იზრდება მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, სადაც გადავიდნენ ახალ ტეხნიკურ საფუძველზე და მიდიან მექანიზაციის გზით, ისეთ ქვეყნად, სადაც ფორმით ნაციონალურმა და შინაარსით სოციალისტურმა, კულტურამ თავის განვითარებაში მიაღწია ბრწყინვალე შედეგებს, ისეთ ქვეყნად, სადაც განუწყვეტლივ უმჯობესდება მუშათა კლასის მატერიალური და საყოფაცხოვრებო მდგომარეობა.

ელექტრო-ენერგიის გიგანტი „ძორაჰესი", კანაკირჰესი, ერევნისა და ლენინაკანის ჰიდრო სადგურები, საფეიქრო გიგანტები—ლენინაკანის საფეიქრო ფაბრიკა, „არმშენ"-ი. არტიკ-ტუფი, კაფანის სპილენძის ჩამომსხმელი ქარხნები, აზოტური სასუქების ქარხანა კარაკლისში, გოგირდმჟავა და შაბიამნის ქარხნები ალავერდში. გოგირდ-ალმადანის ქარხანა ტანზუტში, ცემენტის ქარხანა დავალუში. მექანიკური, საპნის ხახარში. ბამბის საწმენდი, საკონსერვო, სამკერვალო სართავ-საქსოვი ქარხნები და ფაბრიკები და ბევრი სხვა სამრეწველო საწარმოები, შირაქის, სარდარაბადის, ეჩმიაძინის და სხვა არხები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები უმაღლესი სასწავლებლები, უმაღლესი ტეხნიკური სასწავლებლები, ინსტიტუტები და სხვა კულტურული დაწესებულებები—აი, მოძმე ხალხთა შემოქმედებითი ენერგიის, საწარმოო ენტუზიაზმის და ინტერნაციონალური თანამშრომლობის ნაყოფი პროლეტარიატის დიქტატურის დროშის ქვეშ, აი, საბჭოთა სომხეთის კულტურული და სამეურნეო ბოლშევიკურ მიღწევათა გზა.

მეფის ყოფილი კოლონია, საბჭოთა სომხეთი აშენებს სოციალისტურ მრეწველობას. ხდება ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. ბოლშევიკური ტემპებით წლითი-წლობით იზრდება მრეწველობაში კაპიტალის დაბანდება. იმ რესპუბლიკანური მრეწველობის კაპიტალის დაბანდება, რომელსაც ჰგეგმავს მხოლოდ სომხეთის ს.მ.უ. საბჭო, ხუთწლედის დამლევისათვის შეადგენს 80.477.500 მანეთს, ამ მრეწველობის საერთო პროდუქცია—90 მილიონ მანეთს, მათ შორის ახალი მშენებლობის—17,240 ათას მანეთს, და ეს იმ დროს, როდესაც 1919 წელს სამრეწველო პროდუქციის საერთო თანხა ძლივს აღწევდა 2 მილიონ მანეთამდე. ასეთია ბოლშევიკური სტატისტიკა, პარტიის გენერალური ხაზისა და ლენინური ნაციონალური პოლიტიკის რკინისებური სტატისტიკა.

ოქტომბერმა ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელებს მიანიჭა თავისუფალი კულტურულ-სამეურნეო და პოლიტიკური განვითარების სრული უფლება და გაუკაფა გზა თავისუფალი ნაციონალური თვითგამორკვევისაკენ ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკებთან და ჩვენი დიდი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან ძმურ კავშირში.

მეფის იმპერიალიზმის მიერ დამონებული შორეული განაპირა მხარეს—საბჭოთა სომხეთს, სადაც არ იყო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, ამჟამად აქვს 8 უმაღლესი სასწავლებელი, რომელთაგან 2 ამიერ-კავკასიის უმაღლესი სასწავლებელია. მშრომელი მასების თავისუფალი შემოქმედების პირობებში აყვავდა და განმტკიცდა საბჭოთა სომხეთის ნაციონალური ლიტერატურა და ხელოვნება.

ასეთია შედეგები. ეს შედეგები წარმოადგენენ საბჭოთა სომხეთის ინდუსტრიალიზაციის გზაზე შეუჩერებელი განვითარების შედეგს, მუშათა კლასის რიცხვობრივი ზრდისა და შეკრების, აგრეთვე მუშათა მასების კეთილდღეობის განუწყვეტლივი გაუმჯობესების შედეგს, სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის აგრარული ქვეყნიდან აგრარულ-ინდუსტრიალურ ქვეყნად გადაქცევის და შემდეგში მისი ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად გადაქცევისათვის საჭირო პირობების მომზადების შედეგს.

მტკიცე ნაციონალური მშვიდობიანობა იყო და არის ის საფუძველი, რომელზედაც საბჭოთა სომხეთის მუშები, კოლმეურნეები და მშრომელები უდიდესი ტემპებით ანვითარებენ სოციალისტურ მშენებლობას. სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 11 წელი არის ჩვენი პარტიის ლენინური ნაციონალური პოლიტიკის და პროლეტარიატის დიქტატურის პრაქტიკულად განხორციელების 11 წელი. საბჭოთა სომხეთმა ყველა წარმატებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში მიაღწია სწორი ნაციონალური პოლიტიკის მეოხებით. საბჭოთა სომხეთის მშრომელების გამარჯვება—ამიერ-კავკასიის ფედერაციის ყველა მშრომელების გამარჯვებაა.

საბჭოთა სომხეთი, რომელიც წარმოადგენს მოწინავე რაზმს ამიერ-კავკასიის ძმური რესპუბლიკების ეროვნული მშვიდობიანობისა და მეგობრული თანამშრომლობისათვის ბრძოლაში,—რესპუბლიკების, რომლებმაც გააერთიანეს თავიანთი ძალღონე სოციალიზმისათვის საბრძოლველად,—დღითი-დღე აძლიერებს ამიერ-კავკასიის ფედერაციის ნაციონალური მშვიდობიანობის ამ „ნიმუშს", რომელიც წარმოუდგენელია ბურჟუაზიის დროს და შეუძლებელი ბურჟუაზიული წყობილების დროს" (ლენინი).

სომხეთის გასაბჭოების 11 წლის თავს დღესასწაულობთ უდიდესი სოციალისტური მშენებლობის პერიოდში, როდესაც საბჭოთა სომხეთის მუშები, კოლმეურნეები და მშრომელი მასები ამიერ-კავკასიის და საბჭოთა კავშირის ძმურ რესპუბლიკებთან ერთად გადამწყვეტ შეტევას აწარმოებენ კაპიტალისტური ელემენტების ნაშთების წინააღმდეგ ქალაქად და სოფლად და ახორციელებენ გაშლილ სოციალისტურ იერიშს.

საბჭოთა სომხეთის პროლეტარები, კოლმეურნეები და მშრომელი მასები ძმური კავშირის უფრო მეტად განმტკიცებით და ამიერ-კავკასიის ფედერაციის პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების გადიდებით, მტკიცედ და მხნედ შედიან უდიდესი სოციალისტური მშენებლობის მე-12 წელიწადში.

ეჭვს გარეშეა, რომ საბჭოთა სომხეთი, თავისი ც. კ-ს, საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და საკავშირო კ. პ. (ბ) ც. კ-ს ხელმძღვანელობით, უფრო მეტ წარმატებებს მიაღწევს „როგორც გაქანებაში, ისე მშენებლობის ხარისხში" და იბრძოლებს ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების, პირველ ყოვლისა კი ამიერ-კავკასიის ფედერაციის ძლიერების განმტკიცებისათვის, სოციალისტური მშენებლობის შემდგომი გამარჯვებისათვის, პარტიის გენერალური ხაზისა და ლენინური ნაციონალური პოლიტიკისათვის.

მხურვალე ბოლშევიკური სალამი საბჭოთა სომხეთის პროლეტარებს, კოლმეურნეებს და მშრომელებს მისი არსებობის 11 წლის თავზე!

სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 11 წლის თავი არ არის მარტო საბჭოთა სომხეთის მუშების, კოლმეურნეების და მშრომელი მასების დღესასწაული, ეს არის საბჭოთა ამიერ-კავკასიის ყველა ეროვნებათა მშრომელების დღესასწაული, ეს არის მთელი საბჭოთა კავშირის დღესასწაული.

წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ჩვენი პარტიის ბელადის ამხ. სტალინის მითითებათა განუხრელად გატარებით!

გაუმარჯოს წითელი და მშვენიერი ჰაიასტანის მუშების, კოლმეურნეების, მოჯამაგირეების და ღარიბ-საშუალო გლეხების ალტყინებას და ენტუზიაზმს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში!

შეურიგებელი ბრძოლით მემარჯვენე გადახრის, როგორც მთავარი საფრთხის, „მემარცხენეობის" და მათდამი შემრიგებლობის ყოველგვარ გამოხატულებათა წინააღმდეგ, დაუნდობელი ბრძოლით დიდმპყრობელურ შოვინიზმსა და ადგილობრივ ნაციონალიზმთან, რომელიც წყალს უშვებს ინტერვენციის წისქვილზე, საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და საკ. კ. პ. (ბ) ლენინური ც. კ-ის ხელმძღვანელობით, კიდევ მეტ წარმატებებს მივაღწევთ ამიერ-კავკასიის ფედერაციის და მისი განუყრელი ნაწილის—საბჭოთა სომხეთის განმტკიცების საქმეში.

მირ ბაშირ კასუმოვი.

---

*) გაუმარჯოს საბჭოთა სომხეთს

ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობა

მოითხოვს მშრომელთა ფართო მასების განსაკუთრებულ ყურადღებას

„უზრუნველყოფილ იქნას საქართველოში ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხნის დამთავრება დანიშნულ ვადაზე—ე. ი. 1932 წლის მარტისათვის"

(საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილება)

უდიდესი მთელს მსოფლიოში, პირველი საბჭოთა კავშირში

მეტალურგია და, კერძოდ, რკინის მეტალურგია წარმოადგენს ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების ქვაკუთხედს. მეტალურგიის განვითარების გარეშე შეუძლებელია საწარმოო საშუალებათა წარმოების განვითარება, რაც საბჭოთა კავშირისათვის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შეადგენს. საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი ბოლშევიკური ტემპებით ანხორციელებს ლოზუნგს — „საბჭოთა კავშირი გადავაქციოთ ლითონის მრეწველობის მოწინავე ქვეყნად". მეფის რუსეთს თითქმის უკანასკნელი ადგილი ეჭირა ლითონის მოხმარებაში. **საბჭოთა კავშირს კი ოქტომბრის რევოლუციის მეხუთმეტე წელში ლითონის მოხმარებაში უკვე მეორე ადგილი უჭირავს.** პირველი ადგილი ჯერ-ჯერობით ეკუთვნის შეერთებულ შტატებს, რომელიც კატასტროფიული სისწრაფით ჰკარგავს თავის პოზიციებს, ამას თვალსაჩინოდ ამტკიცებს შემდეგი ციფრები: იმ დროს, როცა შ. შტატებში 1913 წ. ფოლადის საშუალო თვიური გამოდნობა შეადგენდა 2.651.000 ტ., 1931 წ. იგი უდრის 758.000 ტონას. საბჭოთა კავშირში კი ფოლადის გამოდნობა 1931 წ. სექტემბერში უდრიდა 437.000 ტონას. **1929 წ. სექტემბერთან შედარებით ფოლადის გამოდნობა 1931 წ. სექტემბერში** იძლევა ზრდას; შეერთ. შტატებისთვის — 34, გერმანიისთვის — 46, ინგლისისთვის — 47, საფრანგეთისთვის— 84, და **საბჭოთა კავშირისათვის 108 პროცენტით.**

სურათზე: შუაში მშენებლობის მთავარი ინჟინერი **პეცი**, მარცხნივ—ინჟ. **მასხულია**, მარჯვნივ ინჟ. **ნიჟარაძე**

საბჭოთა მანქანათმშენებლობის გიგანტური ზრდა უდიდეს მოთხოვნილებებს აყენებს მაღალხარისხოვან ფოლადზე.

მაღალხარისხოვანი ფოლადის წარმოების განვითარებისათვის ხელის შეწყობა — ასეთია ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხნის ერთ-ერთი ამოცანა.

რა არის ფერო-მარგანეცი?

ყველა იმ ფერო-შენადნობებიდან, რომლებიც იხმარება მეტალურგიაში მაღალხარისხოვანი ფოლადის მისაღებად (ფერო-სილიციუმი, ფერო-ხრომი, ფერო-ვოლფრამი*), მთავარი ადგილი უჭირავს ფერო-მარგანეცს ანუ ფერო-მანგანს, რომელშიც მარგანეცის შემადგენლობა 80 პროცენტს უდრის (ე. წ. „სტანდარტული ფერო-მარგანეცი"). ჭიათურის ჩვეულებრივი მადანი, როგორც ცნობილია, 48—50 პროც. მარგანეცს შეიცავს. მაშასადამე, საჭიროა მისი განთავისუფლება მინარევებიდან და ჟანგბადისგან, რომელთანაც იგი შეერთებულია, (მადანში მარგანეცი არის მარგანეცის ორჟანგის MnO_2-ის სახით). რომ მივიღოთ ფერო-მარგანეცი, გამოსადეგი ფოლადის წარმოებაში, ამისათვის კი მარგანეცის ორჟანგი უნდა აღვადგინოთ მეტალურ მარგანეცის მდგომარეობამდე. ჟანგბადის წართმევის (მარგანეცის მეტალურ მდგომარეობამდე აღდგენილის) როლს თამაშობს ქვანახშირი, რომელიც იერთებს ჟანგბადს: მარგანეცის ორჟანგი+ნახშირბადი = მარგანეცი + ნახშირჟანგი $MnO_2+2C=Mn+2CO$ რკინა-მარგანეცის მისაღებათ მარგანეცს უმატებენ რკინას.

მარგანეცისა და რკინის მადანშიც არის უცხო მინარევები (სილა, თიხა, გოგირდი), რომლებიც მათ უნდა მოაცილონ. ამისათვის ღუმელში ჰყრიან კირქვას, რომელიც მათ იერთებს, წარმოიშობა ე. წ. წიდა, რომელიც უფრო მსუბუქია, ვიდრე ფერო-მარგანეცი და ამიტომ ზევით რჩება (ფერო-მარგანეცი და წიდა ერთმანეთს არ უერთდება), უფრო მძიმე ფერო-მარგანეცი კი ღუმელის ფსკერზე გროვდება.

დამკვრელი მუშა ბრიგადის ხელმძღვანელი **ლ. კანდელაკი** და დამკვრელი ელტეხნიკოსი **გოგი ჩხეიძე**

ერთ ტონა ფერო-მარგანეცის მისაღებათ საჭიროა შემდეგი მასალა:

მარგანეცის მადანი (50 პროცენტიანი)	2,3—2,4 ტონა
კოქსი	0,8 „
კირქვა	0,5 „
რკინა	0,3—0,5 „

გარდა ამისა, ვინაიდან ჩვენში ფერო-მარგანეცი მიღებული იქნება ელექტრო-ღუმელებში, ამიტომ საჭიროა 30—50 კილოგრამი ელექტროდი და 4.000 კილოვატსაათი ელექტრო-ენერგია.

ინტერესს მოკლებული არ იქნება, მოვიყვანოთ ციფრები იმის დასახასიათებლად, თუ როგორ იზრდებოდა მარგანეცის მოხმარება ფოლადის წარმოების ზრდის პარალელურად: 1905 წ. ფოლადის მსოფლიო წარმოება უდრიდა 44.295.000 ტონას, მარგანეცის მსოფლიო მოხმარება კი —1.464.369 ტონას. 1913 წ. კი შესაფერი ციფრები უდრიდა — 75.000.000 და 2.806.918 ტონას, 1928 წ. კი — 107.881.000 და 2.665.700 ტონას.

ფერო-მარგანეცის წარმოების მნიშვნელობა

ფერო-მარგანეცის წარმოების მსოფლიო ცენტრებს ელექტროდნობის პროცესის შემოღებამდე წარმოადგენდენ ინგლისი, ამერიკა, საფრანგეთი, გერმანია და ნორვეგია. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ არც ერთ ამ სახელმწიფოთაგანს არ მოეპოვება მარგანეცის საკმაო საკუთარი ბუდობები. მარგანეცისა და ფერო-მარგანეცის თითქმის მთელი წარმოება ამ ქვეყნებში დაყრდნობილია უცხოეთიდან შემოტანილ მადანზე (მაგალითად, ნორვეგიის ფერო-მარგანეცის წარმოება დაყრდნობილია აფრიკიდან — 7.000 მილის მანძილიდან მოტანილ მარგანეცზე და ინგლისის კოქსზე).

საქართველო ამ მხრივ მდიდარი ქვეყანაა. ჩვენ მოგვეპოვება მსოფლიოში უმდიდრესი მარგანეცის ბუდობები საუკეთესო ხარისხის მადნით (48—50 პროც. ჩვეულებრივ მადანში), მძლავრი მარაგი იაფი ჰიდრავლიური ენერგია. ეს ორი ძირითადი ელემენტი ფერომარგანეცის წარმოების მოსაწყობათ მდებარეობს მისაწვდომ გზებზე (ახლო რკინისგზიდან და ნავთსადგურებიდან). გარდა იმისა, რომ ფერო-მარგანეცის წარმოების ორგანიზაციას გვიკარნახებს ფოლადის მრეწველობის განვითარების ინტერესები, თავისთავად, ფერომარგანეცის ექსპორტი გაცილებით რენტაბელურია, ვიდრე მარგანეცის. ამას ამტკიცებს იმავე ნორვეგიის მაგალითი: ნორვეგია დიდძალ ფულს იღებს შორ მანძილიდან მოტანილი და ინგლისურ კოქსზე დამზადებულ ფერომარგანეცზე, ჩვენ კი მარგანეცის დიდი მარაგი მოგვეპოვება, კოქსიც გვაქვს, გვაქვს აგრეთვე იაფი ჰიდროენერგია. ამგვარად ფერომარგანეცის ექსპორტი უცხოეთის ვალიუტის დაგროვების თვალსაზრისით, გაცილებით ხელსაყრელია ვიდრე მარგანეცის. ამას ემატება კიდევ ის გარემოება, რომ ფერო-მარგანეცის ქარხნის აგებით საძირკველი ეყრება წარმოების ახალ კერას, მუშათა ახალი მრავალრიცხოვანი ფენების ჩაბმას მრეწველობაში და მთელი მხარის კულტურულ-ეკონომიურ წინსვლას.

დამკვრელი მუშა **მიხ. გვალია** და დამკვრ. კომკავშირელი **ჩიქვილაძე**

ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხანა ყველაზე მძლავრი ქარხანა იქნება მთელ მსოფლიოში

ფერო-მარგანეცის წარმოების ორგანიზაცია საქართველოში წარმოადგენს ერთ-ერთ რგოლს ლენინური ნაციონალური პოლიტიკისას, რომელსაც ატარებს კომუნისტური პარტია და, რომელიც მდგომარეობს მეფის დროს ჩამორჩენილ და ყაჩაღური ექსპლოატაციის ობიექტად გადაქცეულ „განაპირა რაიონების" ინდუსტრიალიზაციაში; საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებიდანვე მიექცა სერიოზული ყურადღება ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა მიზანშეწონილ და გეგმიან გამოყენებას, კერძოდ ჭიათურის მრეწველობის რაციონალურად მოწყობას. იმ ხელსაყრელმა პირობებმა, რომელიც საქართველოში არსებობს ფერო-მარგანეცის წარმოებისათვის, წარმოშვეს აზრი ჩვენში მრეწველობის ამ ახალი დარგის მოსაწყობათ.

ჯერ კიდევ 1924 წ. აპრილში საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით მუშაობა დაიწყო ფერომარგანეცის კომისიამ, რომელსაც დავალებული ჰქონდა ფერო-მარგანეცის წარმოების პირობების შესწავლა და ორგანიზაცია. ფერო-მარგანეცის კომისიამ მეტად მდიდარი მასალა შეკრიბა (ადგილობრივ და უცხოელ სპეციალისტთა მონაწილეობით) ყველა იმ ელემენტების შესახებ, რომლებიც საჭიროა ფერომარგანეცის წარმოების ორგანიზაციისათვის (მარგანეცის მადანი, ელექტრო-ენერგია, კოქსი და სხვ.) და შეარჩია რამდენიმე ადგილი ფერო-მარგანეცის ქარხნის მოსაწყობათ. ეს მასალები საფუძვლად დაედო ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმას ფერო-მარგანეცის წარმოების დარგში. ამავე მასალების მიხედვით მარგანეცის მრეწველობის საპროექტო ბიურომ პროფ. **გრიგოროვიჩის** მონაწილეობით ფერომარგანეცის ქარხნის მოსაწყობათ ყველაზე ხელსაყრელად სცნო ზესტაფონის რაიონი (ქ. ზესტაფონიდან დასავლეთით 1,5 კილომეტრის მანძილზე).

ქარხნის პროექტი საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ მიწოდებულ მასალების მიხედვით შედგენილია ცნობილ გერმანულ ფირმის „სიმენსი და ჰალსკე"-ს მიერ. ფირმის მიერ წარმოდგენილი საესკიზო პროექტი წარსულ წელს დამტკიცებულ იქნა სათანადო საკავშირო ორგანოებში. პროექტის ცალკე ნაწილები კი საბოლოოდ დასამუშავებლად გადაეცა საკავშირო გაერთიანებებს.

უკანასკნელად დამტკიცებული გეგმით ქარხნის აგება დაჯდება 10.438.000 მანეთი. პირველ რიგში დადგმული იქნება უცხოეთში დამზადებული სამი ელექტრო-ღუმელი. ქარხნის წარმოების უნარიანობა განსაზღვრულია 150.000 ტონა ფერო-მარგანეცით. აქედან პირველი რიგის ქარხანამ 1932 წ. უნდა მოგვცეს 25-30000 ტ. ფ. მარგ., 1933 წ. 50.000 ტ. მეორე რიგის ქარხანამ კი — 100.000 ტონა. საბოლოოდ ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხანაში დადგმულ უნდა იქნას 18 ელექტრო-ღუმელი, რომლებმაც წლიურად უნდა მოგვცეს 250.000 ტონა ფერო-მარგანეცი. ამრიგად, **ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხანა არის ყველაზე მძლავრი მთელს მსოფლიოში.** მოწყობილობის ნაწილი დაკვეთილი აქვს თვით სიმენს—ჰალსკეს ფირმას, ნაწილი კი—საბჭოთა კავშირის ქარხნებს.

⁂

ახლა ზესტაფონთან იშლება მთელი ქალაქი, რომელიც მალე დაჩრდილავს ძველ ზესტაფონს. ეს არ არის გადამეტება. ღამით 1½ კილომეტრის მანძილზე დასავლეთით 20 ჰექტარის არეზე გაჩირაღდნებულია არე-მარე. მუშაობენ დღისით, მუშაობენ ღამით, მუშაობს 900 კაცი, რომ დროზე იქნას დამთავრებული ახალი სამრეწველო გიგანტის მშენებლობა. სდგას რკინის ხლართებში და ხარაჩოებში მომწყვდეული საქარხნო კორპუსი, ფუსფუსებენ გარშემო ადამიანები და სართულზე აჰყავთ სართული; იქვე გვერდში, სახელოსნოში მზადდება საჭირო მასალები მშენებლობისთვის, გობორებით კი, გორაკის ფერდობზე ღრღნიან კლდოვან ნიადაგს, ამზადებენ ორმოებს ბუნკერებისთვის, აქ მოადგებიან ვაგონები ჭიათურის მადნით, დაიცლებიან; შემდეგ კი ამ მადანს მიაწოდებენ ელექტრო-ღუმელებს. ზევით პლატოზე უკვე შენდება პატარა ქალაქი, შენდება გეგმით, სწორი ქუჩებით, ხეივნებით. აქ არის მუშათა სახლები, სამმართველოს შენობა, კლუბი, ლაბორატორია, აბანო, სამრეცხაო. ზესტაფონთან ქარხანა დაკავშირებულია ფართო ლიანდაგიანი ხაზით. ასეთივე ხაზით დაუკავშირდება ქარხანა მთავარ მაგისტრალს რიონის მიმართულებით. ჭიათურის ვიწროლიანდაგიანი რკინისგზა პირდაპირ მიდის ფერო-მშენის ტერიტორიაზე: მთავარი ხაზის გასწვრივ, მაღლობზე კლდოვანი ნიადაგი გამოღრღნეს ბურღებით, დინამიტით, გაასწორეს და-მოამზადეს ყრილი შპალების და რელსების დასაგებათ.

ზაჰესისა და რიონჰესის მხრიდან მინდვრებით და მთებით გაჭიმულია რკინის ანძების უსასრულო ლენტი. ამ ანძებზე გაბმული ელექტრო-მავთულებით ერთმანეთს დაუკავშირდება ზაჰესისა და რიონჰესის ენერგია. მძიმედ მქშინავ, მაზუთში და მჭვარტლში გასვრილ ორთქლმავლების მაგიერ ივლიან სუფთა, მძლავრი ელექტრომავლები. ელექტროენერგიათ გადაქცეული თეთრი ნახშირი ათასეულ კილოვატსაათებს მისცემს ფერო-მარგანეცის ქარხნის ელექტრო-ღუმელებს, სადაც ჭიათურის შავი ქვა გადაიქცევა ძვირფას რკინა-მადნად, საბჭოთა ფოლადის მრეწველობის განვითარებისათვის, გადაიქცევა საექსპორტო პროდუქტად.

ვეუფლებით უცხოეთის ტეხნიკას

ჩვენ მძიმე პირობებში გვიხდება მუშაობა, მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს დაგროვილი აქვთ სამრეწველო გიგანტების მშენებლობის ათეული წლების გამოცდილება, სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესების ღრმა ცოდნა. მთელი რიგი ტექნოლოგიური პროცესები ცალკე კაპიტალისტური ფირმების საიდუმლოებას შეადგენს. ხშირია შემთხვევა, როცა ჩვენ უცხოეთში გვიდგენენ მშენებლობის პროექტებს, მოწყობილობასაც გვაძლევენ (რადგან, საბჭოთა კავშირი წესიერად და დროზე ასრულებს თავის საკრედიტო ვალდებულებებს), მაგრამ წარმოების მოწინავე წესების გაცნობაზე კი უარს გვეუბნებიან, ამ წესებს, [illegible] ხშირად გვიმალავენ.

და აი ჩვენ გვიხდება შენება და სწავლა, დაჟინებით ძებნა წარმოების ახალი, რაციონალური წესების და მეთოდების, დაუღალავი მუშაობა საცდელ ლაბორატორიებში, ინსტიტუტებში უცხოეთის კაპიტალისტების საწარმოო საიდუმლოებათა გამოსააშკარავებლად, მათ გამოსაყენებლად სოციალისტური მშენებლობის ინტერესებისათვის. ახალ, სოციალისტურ ტეხნიკის შექმნასთან ერთად, ჩვენ ბოლშევიკური სიმტკიცით ვღრღნით, ვხსნით საიდუმლოებათა კვანძს, ვეუფლებით უცხოეთის ტეხნიკას, იქაურ ტეხნოლოგიურ პროცესებს. ბევრი, აქამდე საიდუმლოებით მოცული საწარმოო ხერხები დავამუშავეთ საკუთარი ძალებით და საკუთარი საშუალებებით; ბევრში კიდეც გავუსწარით მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს. საბჭოთა ტეხნიკურმა ინტელიგენციამ, საბჭოთა მეცნიერებმა დაამტკიცეს, თუ რა მძლავრ იარაღს წარმოადგენს მეცნიერება და ტეხნიკა კაპიტალისტურ ხუნდებისაგან განთავისუფლებულ, სოციალიზმის მშენებელ პროლეტარიატის ხელში.

⁂

მაღალხარისხოვანი ფოლადის დამზადებაც უცხოეთის კაპიტალისტების საიდუმლოებას წარმოადგენდა. ფოლადის ხარისხისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მინარევებს, რომელიც მასშია. მათ დამუშავებას ჩვენ უნდა დავუფლებოდით, ამ ხერხებს ვეუფლებით კიდეც, მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტები თვალის ჩინივით უვლიან თავიანთ საწარმოო საიდუმლოებათ.

ასე იყო, მაგალითად, ჩელიაბინსკში, სადაც ეწყობოდა ფერო-ნადნობთა წარმოება. უცხოელი პროფ. **არნდტი**, მსოფლიოში უდიდესი სპეციალისტი ფერონადნობთა*) დამზადების დარგში, სიამოვნებით დასთანხმდა ჩვენში ფერო-ნადნობების წარმოების მოწყობის პირობების შესწავლაზე, მაგრამ მან **კატეგორიული უარი სთქვა ამ მხრივ კაპიტალისტური ფაბრიკა-ქარხნების გამოცდილების გადაცემაზე საბჭოთა სპეციალისტებისათვის. ეს მას აკრძალული ჰქონდა მრეწველების მიერ.** მაგრამ პროფ. **არნდტის** სურვილის წინააღმდეგ საბჭოთა მუშები დაეუფლენ ფერო-ნადნობთა დამზადების საიდუმლოებას. ქარხნის ჯერ კიდევ დაუმთავრებელ შენობაში დასდგეს საიდანღაც მოტანილი მანამდე უპატრონოდ მიგდებული სიმენსის ღუმელი. დაარქვეს მას „ღუმელი № 7". ასე მოეწყო ფერო-ნადნობთა „საცდელი ლაბორატორია". ჩვენი საუკეთესო სპეციალისტები პროფ. გრიგოროვიჩი და მაქსიმენკო (ორივე ჩვენი ფერომშენის კონსულტანტია) თვალყურს ადევნებდნენ ამ ღუმელის მუშაობას. ბევრი შრომა, ბევრი ენერგია დახარჯეს ჩვენმა ახალგაზრდა სპეციალისტებმა, ბევრი უძილო ღამეები გაათენეს მათ, რომ გამოერკვიათ საიდუმლოება, რომელსაც მალავდა პროფ. არნდტი და **მათ გაიმარჯვეს, საიდუმლოება გამოირკვა. მიღებულ ფერო-ნადნობთა ღირსება** არ ჩამოუვარდებოდა უცხოეთისას, ცალკე შემთხვევებში კიდეც სჯობნიდა მას. საბჭოთა ტეხნიკამ და მეცნიერებამ მოიპოვა მორიგი გამარჯვება. უცხოეთის ტეხნიკური დახმარების გარეშე ჩვენ მივიღეთ საბჭოთა ფერო-ნადნობი.



შენდება მუშათა სასადილოს ახალი შენობა

⁂

ასეთივე ბრძოლა საბჭოთა ფერომარგანეცისათვის გადაიტანეს ჩვენმა ახალგაზრდა სპეციალისტებმა განსვენებულ პროფ. გ. ნიკოლაძის მეთაურობით. ისინი იბრძოდენ საბჭოთა ფერო-მარგანეცის დამზადების ყველაზე უფრო იაფ და რაციონალურ ხერხების და წესების შესამუშავებლად.

ფერო-მარგანეცის ქარხნის აგებასთან დაკავშირებით საჭირო იყო მთელ რიგ საკითხების გამორკვევა:

1. რა მასალა იქნას გამოყენებული აღმდგენელათ: კოქსი, თუ ტყიბულის ქვანახშირი;
2. რა შედეგს იძლევა სხვადასხვა ხარისხის მარგანეცის გამოყენება ფერო-მარგანეცის მისაღებათ;
3. რა სჯობს შავი ქვის და რკინის მადნის გასანთავისუფლებლად მინარევებიდან — კირი, თუ კირქვა.
4. რა სახით უნდა იქნას შეყვანილი რკინა ფერო-ნადნობში: სუფსის რკინა-მაგნიტიან სილის, ჩათახის მადნის თუ სხვ. სახით;
5. რა რაოდენობის ელექტროენერგია უნდა დაიხარჯოს გამოდნობის სხვადასხვა ხერხების გამოყენების დროს და სხვა.

ამ საკითხების დასამუშავებლად თბილისში მოეწყო ფერო-მარგანეცის საცდელი გამოდნობა საქარხნო წესით. ჩვენ აქ არ შეუდგებით იმ მძიმე პირობების აღწერას („ქარხნის" მოუწყობლობა, გამოუცდელი მუშა-ხელი), რომელშიც უხდებოდა მუშაობა საბჭოთა ფერო-მარგანეცის ენტუზიასტებს (პროფ. გ. ნიკოლაძე, ინჟ. ი. ნიჟარაძე, ტეხნიკოსი ი. ლორთქიფანიძე და სხვ.), მოკლედ ავღნუსხავთ მხოლოდ ზოგიერთ იმ დასკვნებს, რომლებიც გამოტანილ იქნა ჩატარებული ცდების შედეგათ:

დადებითი შედეგები გამოიღო მუშაობამ ტყიბულის ნახშირზე. ეს გარემოება ამცირებს ფერო-მარგანეცის თვითღირებულებას, ადიდებს მოთხოვნილებას ტყიბულის ქვანახშირზე, გვაძლევს უდიდეს ეკონომიას.

გამოირკვა აგრეთვე, რომ კირქვის გამოყენება (გამომწვარი კირის ნაცვლად) არა თუ არ აუარესებს წარმოების პირობებს, არამედ ერთგვარ უპირატესობასაც იძლევა.

ტყიბულის ქვანახშირის გამოყენების დროს ელექტრო-ენერგიის ხარჯვა ტონა ფერო-მარგანეცზე საშუალოდ უდრიდა 3.400 კილოვატსაათს (3200 კილოვატ-საათი გარეცხილი მარგანეცის ხმარების დროს, 3.600 კ. ს.—გაურეცხავის ხმარების დროს) იმ დროს, როცა სიმენსის ფირმას კოქსით გამოდნობის დროს ტონა ფერო-მარგანეცზე საშუალოდ ნავარაუდევი ჰქონდა [illegible]900 კილოვატ-საათი.

ამრიგად ახალგაზრდა საბჭოთა სპეციალისტების ბრძოლა საბჭოთა ფერო-მარგანეცისათვის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ეს ცდები დღესაც გრძელდება, მათი მიზანია მარგანეცის მადნის უტილიზაციის პროცენტის გადიდება, რაც საგრძნობათ შეამცირებს ფერო-მარგანეცის თვითღირებულებას.

მეტი ყურადღება ფერო-მარგანეცის გიგანტის მშენებლობას

უნდა აღინიშნოს, რომ **აქამდე ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობა მიმდინარეობდა საქართველოს მშრომელი მასების ფართო ყურადღების გარეშე.** სათანადო ორგანიზაციებიც არ იწუხებდნენ თავს მშენებლობის გეგმების ვადაზე და ხარისხით შესრულების უზრუნველსაყოფად. ამის შედეგია ის გარღვევები, რომლებიც მშენებლობას აქვს ცალკე უბნებზე. მთავარი, რაც აბრკოლებს მშენებლობას, ეს არის საამშენებლო მასალების და მუშახელის (განსაკუთრებით კვალიფიციური მუშა-ხელის — დურგლების, მებეტონეების და სხვ.) ნაკლებობა. საამშენებლო მასალებით მომარაგება მშენებლობაზე მოუგვარებელია. 2.700 კუბ. მეტრი დახერხილ ხე-ტყის მაგიერ მშენებლობისათვის გამოყოფილ იქნა 1000 კ. მ. რგვალი ხე-ტყე, 3.215 კუბომეტრის მაგიერ — 1000 კ. მ., საარმატურო რკინა 212 ტონას მაგიერ—50 ტ. სახერხავი რკინა გამოთხოვილი იყო 10 ტონა, მშენებლობას დღემდე არ მიუღია არც ერთი ტონა.

წესიერად ვერ არის დაყენებული აგრეთვე მშენებლობისთვის ნახაზებისა და გეგმების მიწოდება. ამის გამო სადუმელე კორპუსის აგების დაწყება დაგვიანდა.

საამშენებლო მასალების ნაკლებობამ და გეგმა-ნახაზების თავის დროზე მიუღებლობამ გამოიწვია ის, რომ სადუმელე კორპუსის აგების გეგმა 1-ლ ნოემბრისათვის 80-ის მაგიერ შესრულებული იყო მხოლოდ 48—50 პროც., ბუნკერებისა კი — 90-ის მაგიერ 60 პროც.

გეგმების დროზე მიუწოდებლობის შედეგია ისიც, რომ მშენებლობა ვერ ახერხებს ფინანსიურ ასიგნობათა მთლიანად გამოყენებას.

უკანასკნელად გაუმჯობესდა მუშათა კვების საქმე. მაგრამ კვლავ ცუდათ დაყენებული არის სამრეწველო საქონლის მიწოდება, მუშები იმასაც კი ვერ იღებენ, რასაც მომხმარებლებს აწვდიან სასოფლო კოოპერატივები. მშენებლობის კოოპერატივი ვერ იღებს საქონლის საკმაო რაოდენობას, ამის გამო, კოოპერატივის პირადი შემადგენლობის შენახვაზე მიდის 6 პროც. ნაცვლად 3 პროც.-ისა. ადგილი აქვს კურიოზებსაც. ამას წინად კოოპერატივს მუშა-მოსამსახურეებისათვის დასარიგებლად გამოუგზავნეს... ბავშვების ფეხსაცმელები; ამჟამად **მშენებლობა საფრთხეშია: არ არის საარმატურო რკინა, ხე-ტყე.**

საქ. კ. პ. (ბ) ცეკა თავის 31 ოქტომბრის დადგენილებაში იძლევა მტკიცე დავალებას:

„...უზრუნველყოფილ იქნას ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხნის ვადაზე — ე. ი. 1932 წ. მარტისათვის დამთავრება".

ეს დავალება გვაკისრებს — გავაძლიეროთ ყურადღება ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობისადმი, ბოლო მოუღოთ იმ შეფერხებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მშენებლობის მომარაგებაში საამშენებლო მასალებით და მუშა-ხელით. **მიმდინარე წლის უკანასკნელი კვარტალის დარჩენილი დრო გამოყენებული უნდა იქნას გადამწყვეტი გარდატეხის მოსახდენათ ქარხნის მშენებლობის საქმეში, მუშაობის ბოლშევიკურად გარდასაქმნელად ამხ.** სტალინის მითითებათა საფუძველზე, მშენებლობის მუშათა მასის და ადმინისტრატიულ-ტეხნიკურ პერსონალის ყურადღების დასარაზმავად მშენებლობის გეგმების შესრულების გარშემო. ხელმძღვანელმა სამეურნეო ორგანოებმა ყველა ზომები უნდა მიიღონ მშენებლობის გეგმის შესრულების, ქარხნის მოწყობილობის დროზე მიღების და დადგმის უზრუნველსაყოფათ. ცეკავშირმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესოს ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა მომარაგება.



დაწინაურებული დამკვრელი მუშა **ცარციძე** და დამკვრელი მუშა **ვანო კახაძე**

უნდა შევქმნათ ყველა პირობები ცეკას 31 ოქტომბრის დირექტივის ყოველ მიზეზს გარეშე შესასრულებლად.

ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხანა მზად უნდა იყოს 1932 წ. მარტისათვის.

შ. წულაძე.



ასეთი იქნება ფერო-მარგანეცის ქარხანა დამთავრების შემდეგ

---

*) ფერუმ ნიშნავს რკინას.

*) ფერო ნადნობები (ფერო-სილიციუმი, ფერო-ქრომი, ფერო-ვოლფრამი) წარმოადგენენ აუცილებელ პროდუქტს მაღალხარისხოვან ფოლადის დასამზადებლად. ფერო-ნადნობები ამდენ ხანს შემოგვქონდა უცხოეთიდან, ვიხდით მასში ვალიუტას. ჩელიაბინსკის ფერო-ნადნობების ქარხანა კი მარტო 1932-33 წ. დაგვიზოგავს 75 მილიონ ოქროს მანეთს.

ფერო-მარგანეცის ქარხნის მშენებლობა

ნელი ტემპით მიმდინარეობს

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

ზესტაფონში ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლობა გამოცხადებულია დამკვრელ მშენებლობად. ამ ქარხნის ვადაზე დამთავრებას აქვს დიდი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის სამთო და მეტალურგიულ ინდუსტრიის განვითარების საქმეში.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილებაში, საქ. კომპარტიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დასახულია ის, რომ **„ფერო-მარგანეცის მშენებლობის ხაზით უზრუნველყოფილ იქნას საქართველოში ზესტაფონის ფერო-მარგანეცის ქარხნის დამთავრება დანიშნულ ვადაზე ე. ი. 1932 წლის მარტისათვის".** ეს დადგენილება არის მოქმედების ბოლშევიკური პროგრამა, რომლის შესრულებისათვის საჭიროა მთელი ძალების მაქსიმალური მობილიზაცია.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ძველი ხელმძღვანელობის და ზესტაფონის რაიკომის უყურადღებობის გამო, ამ უდიდესი მნიშვნელობის ქარხნის მშენებლობისადმი ადგილი ჰქონდა აშკარა ოპორტუნისტულ დამოკიდებულებას. ამ მდგომარეობას უნდა მოეღოს ბოლო და უახლოეს ხანში, როგორც ამას გაზ. „კომუნისტი" მიუთითებდა, ამ ქარხნის მშენებლობა უნდა მოექცეს ზესტაფონის პარტიული ორგანიზაციის ყურადღების ცენტრში; დღემდე მოხდა თუ არა საჭირო გარდატეხა იმ მიმართულებით, რომ უზრუნველყო საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის მითითების განაღდება მშენებლობის 1932 წ. მარტისათვის დამთავრების შესახებ? გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 მარტის გადაწყვეტილების განაღდებისათვის ზესტაფონში არაფერი არაა გაკეთებული. მუშა-ხელის მოზიდვისათვის, საამშენებლო მასალების მომარაგებისათვის და ამხ. სტალინის ექვს მითითების გასატარებლად სათანადო ზომები მიღებული დღესაც არ არის.

ქარხნის მშენებლობაზე ყველა კვარტალების გეგმები გარღვევებით დამთავრდა. მაგ. 1931 წლის მესამე კვარტალის გეგმა მშენებლობის ყველა ობიექტებზე შესრულდა 56,78 პროცენტით; ოქტომბერში კი შესრულდა: ქარხნის ღუმელების შენობის აგების გეგმა — 68,25 პროც., ბუნკერების მშენებლობის გეგმა — 94,30 პროც., საკანალიზაციო ქსელის მშენებლობის — 135 პროცენტით, ბინათმშენებლობის — 100 პროც., ვიწრო ლიანდაგის ხაზის სამუშაოების — 80 პროცენტით, ელსადგურის მშენებლობის—100 პროცენტით. მშენებლობის ყველა ობიექტებზე ოქტომბრის გეგმა შესრულებულია 75,7 პროცენტით. ჯერ კიდევ არ არის გამორკვეული ნოემბრის პირველი და მეორე დეკადის გეგმების შესრულების შედეგები, რაც სააღრიცხვო აპარატის მუშაობის სისუსტეს უნდა მიეწეროს.

მშენებლობის ძირითადი სამუშაო-ქარხნის აგებაა. ამ დარგში გასულ კვარტალში ყველაზე მეტ გარღვევებს ჰქონდა ადგილი. მესამე კვარტალის გეგმა მშენებლობის ამ მთავარ ობიექტზე შესრულდა მხოლოდ — 29,5 პროცენტით, მასთან დაკავშირებულ ბუნკერების მშენებლობის გეგმა კი — 46,2 პროც., მესამე კვარტალში, ქარხნის აგების გეგმის შეუსრულებლობა უმთავრესად აიხსნება რკინისა და ხე-ტყის მასალის ნაკლებობით, რის გამო მთავარი სამუშაოები რამდენიმე დღით იყო შეჩერებული.

მეოთხე კვარტალის დასაწყისში ეს მდგომარეობა გაგრძელდა და შეჩერდა ბეტონის ჩასხმაც. მეოთხე კვარტალში გეგმით მშენებლობას უნდა მიეღო დახერხილი ხე-ტყის მასალა — 2300 კუბ. მეტრის რაოდენობით, ფაქტიურად კი მიიღო მხოლოდ 75 კუბ. მეტრი. რგვალი ხე უნდა მიეღო—3475 კუბ. მეტრი. სმუს-მა ეს რიცხვი შეამცირა 1500 კუბ. მეტრით. დარჩენილ 1975 კუბ. მეტრიდან, მშენებლობამ მიიღო 75 კუბ. მეტრი რგვალი ხე.

ხარისხოვანი რკინა არმატურისათვის გეგმით მშენებლობას უნდა მიეღო 657 ტონა. მიღებულია 200 ტონა. მისაღებია კიდევ 457 ტონა. თუ ხე-ტყის და რკინის მიღების მშენებლობისათვის მიწოდების საქმე არ მოგვარდება, მაშინ საფრთხეში ვარდება 1932 წლის პირველი მარტისათვის ქარხნის სამი ღუმელის ამუშავების გეგმა. სმუს-მა ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

ზესტაფონის პარტიულმა კომიტეტმა, დაეყრდნო რა მასალების მომარაგების დარგში ოპორტუნისტულ თვითდინებას, შექმნა ქარხნის მშენებლობის გეგმების ჩაშლის აშკარა საფრთხე.

კერძოდ, რკინის გზის ვიწრო ლიანდაგის გაყვანა მშენებლობაზე გვიანდება.



მუშათა სახლი

რკინის გზის ხაზის გაყვანის საქმე (შორაპნიდან ქარხნის მშენებლობის ადგილამდე) პირველ ხანებში ჩაშლის წინაშე იყო; მესამე კვარტალში მიწის სამუშაოების და ქვის მოტეხის გეგმა აქ შესრულდა 61,5 პროცენტით. ოქტომბერში კი —80 პროცენტით.

მუშა-ხელის ორგანიზაციულ შეგროვებას აქ არ ექცევა სათანადო ყურადღება, მშენებლობას თავიდანვე არ ყოფნიდა მუშა-ხელი, ადგილი ჰქონდა მუშათა ცვალებადობას და სხვ. სარაიონო პარტიულმა კომიტეტმა და რაიკოლმეურნეობის კავშირმა ამ საქმეში გამოიჩინეს აშკარა ოპორტუნიზმი და, არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი მუშახელით მშენებლობის უზრუნველსაყოფათ არ გადადგეს. ვერც სარაიონო გაზეთმა **„მშრომელთა ენტუზიაზმმა"** გაშალა ამ მხრივ საჭირო მუშაობა. მუშათა მომარაგების საქმე მშენებლობაზე მოუგვარებელია. კოოპერაციამ დღემდე ვერ გარდაქმნა მუშაობა. ქარხნის მშენებლობაზე კოოპერაციამ უვარგისი ხელმძღვანელობის გამო, მარტო საზამთროებში გასულ ზაფხულზე იზარალა 10.000 მანეთი.



დამკვრელი ბრიგადის ხელმძღვანელი **მახოლინი** და დამკვრელი მუშა კომკავშირელი **გამეზარდაშვილი**

ადგილობრივი კოოპერატივი საქონლის ფასებს სწორად არ აწესრიგებს; ადგილი აქვს ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთი და იგივე საქონელი სხვადასხვა სავაჭროებში სხვადასხვა ფასებში იყიდება. კოოპერაცია დაინტერესებულია ზედმეტი ფასების დადებით. ეს „ნეპმანური სული" ძირშივე უნდა იქნეს აღკვეთილი. კოოპერაციამ დღემდე ვერ გახსნა მშენებლობაზე საჭირო რაოდენობის პურის წერტები. მუშები პურის რიგში დგომის გამო ხშირად იგვიანებენ სამუშაოზე. საჭიროა, ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლობის კოოპერაციამ ძირფესვიანად გარდაქმნას თავისი მუშაობა საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ოქტომბრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე.

მშენებლობაზე, განსაკუთრებით იქ, სადაც ქარხანა შენდება, მექანიზაციაქმნილია ზოგიერთი სამუშაოები. (მაგ., ცემენტის ზელა, სილის რეცხვა და სხვ.) ამ სამუშაოთა წარმატებით წარმოება დამოკიდებულია ელექტრო-სადგურის ხეირიან მუშაობაზე. მაგრამ სადგური ვერ აწვდის მშენებლობას საჭირო ელექტრო-ენერგიას. ეს გამოწვეულია სადგურის მომუშავეთა უვარგისობით. სადგურის გამგე **ვიკენტი ქუთათელაძე**, სასტიკად სდევნის ყველას, ვინც გაბედავს სადგურის მუშაობის ნაკლზე რამის თქმას. მან წითელ არმიაში წასული ამხ. აკაკი ჭყოიძე არ დაუშვა სამუშაოზე, რადგან ჭყოიძემ მრავალჯერ თვითკრიტიკის წესით ამხილა ელსადგურის და სამქროს სუსტი მუშაობა; ქუთათელაძემ მის მაგივრად სამუშაოზე მიიღო თავისი ნათესავი, რომელიც აქ ხულიგნობით არის განთქმული. ელექტრონის სადგურის მუშაობის შეფერხება ხშირად აფერხებს ბეტონის ჩასხმას, ასეთი მდგომარეობით გამოწვეულ გაცდენებისათვის მშენებლობაზე მუშებმა მიიღეს 48.000 მანეთი.

მშენებლობა საჭიროებს ელექტრო-ენერგიის მეტ რაოდენობას. ამისათვის ახლა იდგმება 600 ცხენის ძალიანი დიზელი; მისი დადგმა ძალზე ჭიანურდება; დიზელისთვის საჭირო ფუნდამენტი ძალზე სუსტია, იგი უკვე ირღვევა. ტრანსმისიის ბელტები ვერ დაიკავებს მანქანას გაშვების დროს. ამას ეხლავე უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. ახალი დიზელის დადგმასთან დაკავშირებით არ არის დაწყებული სამონტაჟო სამუშაოები.

მშენებლობაზე ყველა ბრიგადები არ არის გადასული სამეურნეო ანგარიშზე; სამეურნეო ანგარიშზე ბრიგადები მხოლოდ მექანიკურ სამქროშია გადასული.

მშენებლობის ამ დეფექტებს ზესტაფონის პარტიულმა ორგანიზაციამ ეხლავე უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება. ზესტაფონის ფერომარგანეცის ქარხნის მშენებლობა უნდა მოექცეს საქართველოს მშრომელთა ყურადღების ცენტრში; უნდა ავიღოთ ისეთი ტემპები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქარხნის მშენებლობის დამთავრებას საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მიერ მოცემულ ვადაში— ე. ი. 1932 წლის მარტისათვის.

აკ. ნიკოლეიშვილი.

კულტურული მშენებლობა

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია

დაუშვებელი ნელი ტემპებით მიმდინარეობს

მარტვილის რაიონში ებრაელთა შორის წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციას ყურადღება არ ექცევა

„გავაჩაღოთ მუშაობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის პროლეტარული საზოგადოებრიობის ფართო მობილიზაციის საფუძველზე და დაუზოგავი ბრძოლა ვაწარმოოთ კლასიურ მტერთან, რომელიც ცდილობს ჩაშალოს ბრძოლა წერა-კითხვის ცოდნისათვის, აგრეთვე მემარჯვენე ოპორტუნისტულ დამოკიდებულებასთან წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმისადმი, კულტურის ფრონტზე წვრილმანი საქმიანობის ნაშთებთან და ნაციონალური პოლიტიკის დამახინჯებასთან“

(ა.-კ. ცაკის დადგენილებიდან)

ბოლშევიკური ტემპები წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანაა.

სადირექტივო ორგანოების დადგენილების თანახმად საქართველოს შეკავშირებულ მოსახლეობაში 1931 წლის დამლევისათვის მთლიანად უნდა დამთავრდეს წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ძალების მთელი შესაძლებლობა ამ დარგში სამუშაოდ, ეს ამოცანა გავხადოთ ფართო საზოგადოებრივ მნიშვნელობის ამოცანად და მის შესრულებაში მობილიზაცია უყოთ პარტიულ-საბჭოთა, პროფესიონალურ, კომკავშირულ და სხვა სამეურნეო-კოოპერატიულ ორგანიზაციების ყურადღებას.

საქართველოს ზოგიერთ რაიონებში (ოზურგეთის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის, ხენაკის, ონის, ამბროლაურის და სხვ.) ძირითადად დამთავრებულია წერა-კითხვის უცოდინართა და მცირე მცოდნეთა მთლიანად ჩაბმა ლიკპუნქტებში. 1932 წლის პირველ იანვრამდე ეს რაიონები შესძლებენ გეგმის შესრულებას; მაგრამ ზოგიერთ რაიონებში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში ადგილი აქვს **ოპორტუნისტულ თვითდინებაზე დაყრდნობას** და სრულიად უყურადღებობას ამ საკითხისადმი (ზესტაფონი, გურჯაანი, მარტვილი და სხვ.).

ზოგიერთ რაიონებში **„წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია არ არის გაშლილი, როგორც მასიურ-პოლიტიკური კამპანია: ადგილი აქვს ოპორტუნისტულ დამოკიდებულებას წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმისადმი და უცოდინარობის ლიკვიდაციის, როგორც სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანის არა სათანადოთ შეფასებას მთელ რიგ რაიონულ და ქვედა საფეხურის ორგანოების, კომკავშირულ, პროფესიონალურ, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მხრივ, სახალხო განათლების განყოფილებათა. წ.-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საზოგადოებების და უჯრედების მხრივ. მათ შორის რესპუბლიკანური შტაბების მხრივ და სხვ.** (ამიერ-კავკასიის ცაკის დადგენილებიდან) უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ-ჯერობით ამ დადგენილების რეალიზაციისათვის და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დარგში თვითდინებაზე დაყრდნობის პრაქტიკის დაძლევისათვის მთელ რიგ რაიონებს კიდევ არ გადაუდგამთ გადამწყვეტი ნაბიჯები. არ ეთმობა საკმაო ყურადღება **„წერა-კითხვის უცოდინარობის სრულიად მოსპობას 1931 წლის დამლევისათვის: ინდუსტრიალურ მუშებსა, პროფკავშირების წევრებსა, კოლმეურნეებსა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებსა, მოჯამაგირეებსა, კომუნისტებსა, კომკავშირელებსა, წვევამდელებსა, საბჭ. წევრებსა დელეგატ ქალებს შორის“** და სხვ.

ყველა ეს გარემოება კი შედეგია იმ მდგომარეობის, რომ განათლების სახალხო კომისარიატმა და რაიონულმა ორგანოებმა ვერ აიღეს ბოლშევიკური ტემპები ამ მეტად მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებისათვის. ზოგიერთი რაიონები დაკმაყოფილდენ წერა-კითხვის უცოდინარობის მხოლოდ აღრიცხვით და პრაქტიკულად მათი ლიკპუნქტებში ჩაბმისათვის არაფერი გაუკეთებიათ. არ ექცევა აგრეთვე სათანადო ყურადღება წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციას ნაციონალურ-უმცირესობათა შორის. მაგ.: **მარტვილის რაიონის სოფ. ბანძაში ცხოვრობენ ებრაელები, რომლებიც კულტურულად ჩამორჩენილი არიან, მათში კიდევ ბუდობს რელიგიის გავლენა, თითქმის უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარებია, და სხვ. მაგრამ ადგილობრივი და რაიონულ ორგანიზაციებს ამ მდგომარეობისათვის არ მიუქცევიათ სათანადო ყურადღება.** ასეთი ოპორტუნისტული დამოკიდებულება ნაც. უმცირესობათა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის აღმოფხვრის საქმეში ძირშივე უნდა აღიკვეთოს. ამ ფაქტის ობიექტიური მიზეზებით ახსნა ყოვლად დაუშვებელია. ზოგიერთ რაიონებში აღრიცხულ წერა-კითხვის უცოდინარებიდან ლიკპუნქტებში მხოლოდ რამოდენიმე პროცენტია ჩაბმული. მაგ. გურჯაანის რაიონში აღრიცხულ 3000 წ. კ უცოდინარიდან ლიკპუნქტებში მხოლოდ 1.000-ია ჩაბმული: თავისთავად ცხადია, რომ ასეთი ტემპებით მუშაობით ჩვენ ვერ შევსძლებთ პარტიისა და ხელისუფლების მიერ წამოყენებულ მებრძოლ ამოცანის შესრულებას, შეკავშირებულ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ 1931 წლის დამლევისათვის. ზოგიერთი რაიონული ორგანოების ასეთი ოპორტუნისტული დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, საფრთხეს უმზადებს გეგმის მთლიანად შესრულებას.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ მიუხედავად სადირექტივო ორგანოების არა ერთ და ორი მითითებისა, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის გეგმა ზოგიერთ რაიონებში ჯერ კიდევ არ არის მიყვანილი ქვედა საფეხურის ორგანიზაციამდე, როგორიც არის სოფლის საბჭოები, ქალთა ხელდელეგატო პუნქტები და სხვა, რაც აფერხებს შემდგომი მუშაობის უფრო გაშლა-გაფართოებას.

ხშირად აგრეთვე ლიკპუნქტების მუშაობას წინ ეღობება მთელი რიგი დამაბრკოლებელი მიზეზები, როგორიც არის მასწავლებელთა კადრების უქონლობა, ბინის უქონლობა, სახელმძღვანელოებით და სასწავლო ნივთებით მოუმარაგებლობა და სხვა. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ რაიონული განათლების განყოფილებამ ვერ გამოიჩინეს სათანადო ხელმძღვანელობის გაწევის უნარი. (თბილისი) ჩვენს გაზეთში მრავლად იყო აღნიშნული ყველა ამის კონკრეტული ფაქტები, მაგრამ ჯერჯერობით მდგომარეობა კიდევ არ არის გამოსწორებული.

არის აგრეთვე ზოგიერთი ხელმძღვანელ მუშაკებში მავნე ტენდენცია იმის შესახებ, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია თითქოს ეს იყოს მხოლოდ განათლების ორგანოების საქმე და იგი არ უნდა უკავშირდებოდეს ჩვენი პარტიის მიმდინარე ამოცანებს. ცხადია ასეთ განწყობილებას არავითარი საერთო არ აქვს ჩვენი პარტიის და ხელისუფლების პოლიტიკასთან ამ დარგში. საჭირო არ არის წ.-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია არა დამოუკიდებლად იქნას დაწყებული რომელიმე ორგანიზაციის მიერ, არამედ იგი უნდა დაუკავშიროთ იმ სამეურნეო პოლიტიკურ ამოცანებს, რომელსაც ატარებს პარტია და ხელისუფლება და ამ საქმეში ჩავაბათ ყველა დაინტერესებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

საჭირო არის **„გავაძლიეროთ წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციის ტემპები იმდენად, რომ უზრუნველვყოთ 1931 წლის გეგმათა მთლიანად შესრულება, წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია წვევამდელთა შორის და ყველა ინდუსტრიალურ მუშების, ტრანსპორტის მუშების, კოლმეურნეობების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების მუშების, კომკავშირელების საბჭოს წევრების და ქალთა დელეგატების ჩაბმა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების ქსელში 1931 წლის პირველი იანვრისათვის“** (ამიერ-კავკასიის ცაკის დადგენილებიდან). უნდა გავაძლიეროთ ჩვენი მუშაობის ხარისხი და მთლიანად გამოვიყენოთ კულტურული ძალები ამ ამოცანის შესრულებისათვის; ძირშივე უნდა აღმოვფხვრათ ყოველგვარი ოპორტუნისტული დაბრკოლებები და თვით მიმდინარეობაზე დაყრდნობის პრაქტიკა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში, რითაც ჩვენ შევსძლებთ საკ. კ. პ. (ბ) ცკას იმ ისტორიულ დოკუმენტის მთლიანად შესრულებას, სადაც საკ. კ. პ. (ბ) ცკა წინადადებას იძლევა **„დაევალოს ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და ნაცკომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს პირველ რიგში უზრუნველყონ წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია და საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღება 1932 წელს საქართველოსა და სომხეთში და 1933 წელს აზერბეიჯანში“** (საკ. კ. პ. (ბ) ცკას 31 ოქტომბრის დადგენილებიდან).

ა. ლ—ი.

მეტი ყურადღება ებრაელთა შორის წ.-კ. უცოდინარობის აღმოფხვრას

მარტვილის რაიონში ამჟამად აღრიცხვაზე აყვანილი არის 315 წერა-კითხვის უცოდინარი. უნდა აღინიშნოს, რომ რაიონში წერა-კით. უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის მუშაობა სუსტად სწარმოებს.

რაიონის ზოგიერთ სოფლებში ცხოვრობენ ებრაელები, რომელთა შორის კულტურულ მუშაობის გაშლასა და წერა-კითხვ. უცოდინარობის ლიკვიდაციას ნაკლები ყურადღება ექცევა. ასე მაგ. სოფ. ბანძაში უმთავრესად ცხოვრობენ ებრაელები, რომლებიც კულტურულად ჩამორჩენილი არიან. დღემდე მათში მაგრად აქვს ფეხი გადგმული რელიგიას და სხვა ცრუმორწმუნეობას, მაგრამ რატომღაც ამ მდგომარეობას მარტვილის რაიონული ორგანოები და თვით ბანძის სოფლის საბჭო არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. სუსტია აგრეთვე კომკავშირული, პროფესიონალური და სამეურნეო - კოოპერატიული ორგანოების მონაწილეობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში.

საჭიროა ეხლავე გაიშალოს მუშაობა წერა-კითხვ. უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის და კულტურულ მუშაობის გაძლიერებისათვის ებრაელთა შორის. მარტვილის რაიონულმა სოცკულტგანყოფილებამ ამ საკითხს მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს.

აკ. ესიავა.

ოპორტუნისტული უყურადღებობის გამო

გურჯაანის რაიონში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს. რაიონში აღრიცხვაზეა აყვანილი წერა-კითხვის 3.000 უცოდინარი, რომელთაგან ლიკპუნქტებში ჩაბმულია მხოლოდ 1.000 კაცი. და დარჩენილი 2.000 წერა-კითხვის უცოდინარის სწავლება „გადატანილია“ 1932 წლისათვის. ყველა ეს შედეგია იმ გარემოების, რომ რაიონული ორგანიზაციები ამ მნიშვნელოვან საკითხისადმი აშკარა ოპორტუნისტულ უყურადღებობას იჩენენ. რაი განათლების განყოფილებას წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციის მიმდინარეობის ხელმძღვანელობის გასაწევად მართალია ჰყავს ინსტრუქტორები, მაგრამ ნამდვილად ისინი მივლინებაში წასვლისათვის მხოლოდ ფულს იღებენ და საქმით კი არაფერს არ აკეთებენ.

სუსტია აგრეთვე კომკავშირის ორგანიზაციის მონაწილეობა და წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში.

ზოგიერთ სოფლის საბჭოს თავმჯდომარეები წ. კ. უცოდინარობის ლიკვიდაციაზე ხელმძღვანელობის გაწევას სასხვათაშორისოდ უყურებენ. მაგ. ჯიმითის სოფლის საბჭო არავითარ ყურადღებას არ აქცევს თემში წერაკითხვის უცოდინართა მცირე მცოდნეთა ლიკპუნქტების ჩამოყალიბებას. ასეთივე უყურადღებობას იჩენენ ადგილობრივი კულტურული ძალები და სხვ.

ახლორი.

განათლების განყოფილება ჯიუტობს

წერა-კითხვის უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის სალიკვიდაციო მუშაობაში თბილისის საბჭოს განათლების განყოფილება სრულ უინიციატივობას და უყურადღებობას იჩენს.

სათანადო ორგანოების დადგენილებით „სარეწაო კავშირის“ განსახკომთან ხელშეკრულება ჰქონდა დადებული, რომ გადაერიცხა განსაზღვრული თანხა წ. კ. უცოდინარობის და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციის ფონდის გაძლიერებისათვის.—„სარეწაო კავშირმა“ მართალია თანხა გადასცა აღნიშნული ფონდისათვის, მაგრამ განსახკომს ეს თანხა ჯერაც არ მიუღია.

„სარეწაო კავშირის“ კულტსექტორი ამჟამად განიცდის სკოლების მასწავლებლების საგრძნობ ნაკლებობას, რის გამო ფერხდება, ლიკსკოლების მუშაობა კულტსექტორმა რამოდენიმეჯერ მიმართა თხოვნით თბილისის საბჭოს განათლების განყოფილებას მასწავლებელთა კადრების შესახებ, მაგრამ ამ უკანასკნელმა ასე განუცხადა სარეწაო კავშირის კულტსექტორის წარმომადგენელს: „მასწავლებლებს მოგცემთ იმ პირობით თუ გადმორიცხავთ თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების განკარგულებაში განსახკომზე გადასაცემ თანხას“ უნდა აღინიშნოს, რომ „ხაზს“ დღესაც ატარებს თბილისის საბჭოს განათლების განყოფილება, რასაც არავითარი გამართლება არ აქვს.

საჭიროა ასეთ ჯიუტურ მოქმედებებს ბოლო მოეღოს. თბილისის საბჭ. განათლების განყოფილებამ უნდა დააკმაყოფილოს მასწავლებელთა კადრებით ყველა ლიკსკოლები.

ვ. კოველი

დღეს, 29 ნოემბერს საღამოს 6 საათზე შესდგება

თბ. საბჭოს პრეზიდიუმის მორიგი სხდომა

პრეზიდიუმის წევრების, კანდიდატების, რაისაბჭოების თავმჯდომარეების და განყოფილებათა, სექციებისა და საწარმოთა ხელმძღვანელების დასწრება სავალდებულოა. ნ. 3211

ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის მე-2 პლენუმი

ა.-კ. რკინის გზებს ჯერ არ გარდაუქმნიათ მუშაობა

პარტიისა და ხელისუფლების დადგენილებათა განხორციელება ა.-კ. რკ. გზებზე დაუშვებელის ნელი ტემპით მიმდინარეობს

ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის მეორე პლენუმზე, რომელიც გაიხსნა თბილისში, რკინის გზის ტრანსპორტის მდგომარეობის შესახებ ამიერ-კავკასიაში მოხსენებით გამოვიდა ა.-კ. რკ. გზათა დირექტორის მოადგილე — ამხ. კალანდია. მან აღნიშნა, რომ ჯერჯერობით ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე კიდევ არაა განხორციელებული ყველა ის ღონისძიებები, რომლებიც დასახა პარტიამ და ხელისუფლებამ რკ. გზის ტრანსპორტის გასაჯანსაღებლათ.

რკინის გზის ტრანსპორტის განვითარების ტემპები ბევრად ჩამორჩება ა.-კ. სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპებს. ამიერ - კავკასიის რკ. გზის ტრანსპორტი ვერ ასწრებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, იგი კვლავ „ვიწრო ადგილს“ წარმოადგენს ჩვენი სახალხო მეურნეობის სისტემაში.

შემდეგ მოხსენებით გამოსულმა ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირის საგზაო კომიტეტის წარმომადგენელმა ამხ შამირიანმა და რკ. გზის ტრანსპორტის გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა განმახორციელებელი საგზაო ბრიგადების წარმომადგენელმა აღნიშნეს, რომ რკინის გზაზე ჯერ კიდევ სათანადოთ არ გაშლილა ბრძოლა ამხ. სტალინის 6 მითითების განსახორციელებლათ და ამხ. ანდრეევის ბრძანების შესასრულებლათ.

როგორც ამხ. სტალინის მითითებათა განხორციელებისათვის ისე ამხ. ანდრეევის ბრძანების შესრულებისათვის დაწყებული მუშაობა, როგორც ეს გამოირკვა პლენუმის პირველ სხდომაზე, ა.-კ. რკინისგზის ტრანსპორტზე დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს.

არ სჩანს არც სამეურნეო ორგანიზაციების, არც პარტიული ორგანიზაციების და არც პროფორგანიზაციების მტკიცე ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობა არაა გადახალისებული ახალი მოთხოვნილებებთან შეფარდებით.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ რკინისგზის ტრანსპორტის გაჯანსაღებისათვის ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობას და მოითხოვდნენ ხელმძღვანელობის გაძლიერებას, როგორც პარტიულ-პროფესიონალურ, ისე სამეურნეო ორგანიზაციების მხრივ.

ამიერ-კავკასიის რადიოფიკაცია 1932 წელს

კავშირგაბმულობის ა.-კ. სამმართველოს მშენებლობა რადიოფიკაციის დარგში 1932 წლისათვის დასახული აქვს ორი მიმართულებით —ახალი სატრანსლიაციო კვანძების მშენებლობისა და არსებული კვანძების გადაკეთების ხაზით, ამ უკანასკნელთათვის მეტი სიმძლავრის შესაქმნელად.

სულ განზრახულია ამიერ-კავკასიაში ახლად მოეწყოს 63 სატრანსლიაციო რადიოკვანძი იმ ვარაუდით, რომ მათ სამსახური გაუწიონ ყველა ახალშენებებს. ქარხნებს, ფაბრიკებს, სამუშაოებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებს, საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებს. სატრანსლიაციო რადიოკვანძი მოეწყობა აგრეთვე იმ ცენტრებში, სადაც ასეთი არ არის. რესპუბლიკების მიხედვით მშენებლობა შემდეგნაირად იქნება განაწილებული: აზერბეიჯანის სსრ-ში—24 კვანძი, სომხეთის სსრ-ში—13, საქართველოს სსრ-ში—26.

1932 წელს გადაკეთებული იქნება 72 მოქმედი სატრანსლიაციო კვანძი, აქედან აზერბეიჯანში—33, სომხეთში—5, საქართველოში—34.

ამჟამად ამიერ-კავკასიაში ითვლება 33.000 რადიო-სასმენი წერტი, აქედან აზერბეიჯანში—16.000, სომხეთში—8.000, საქართველოში—9.000. 1932 წლისათვის განზრახულია მოეწყოს ახალი 100.000 წერტი, აქედან ქალაქად—30.000, სოფლად—70.000, რესპუბლიკების მიხედვით, ეს რიცხვი შემდეგნაირად იქნება განაწილებული: აზერბეიჯანში—39.000 (11.000 ქალაქში, 28.000 სოფელში), სომხეთში—13.000 (4.000 ქალაქში, 9.000 სოფელში) და საქართველოში—48.000 (15.000 ქალაქად, 33.000 სოფლად).

1932 წელს დადგმული იქნება ამიერ-კავკასიაში 329 ახალი მძლავრი ხმამაღლა მოლაპარაკე ქუჩებში, აქედან აზერბეიჯანში—127, სომხეთში—49, საქართველოში—147,

ა.-კ. სფსრ-ში ამჟამად არსებული 86 რადიო-სტუდიის გარდა, განზრახულია 1932 წელს დამატებით მოეწყოს ახალი 63 სტუდია (24—აზერბეიჯანში, 13—სომხეთში, 26—საქართველოში), რომლებთანაც განზრახულია, ტრანსლიაციის გარდა, მოეწყოს ადგილობრივი მაუწყებელი.

რადგან ამჟამად ყველა რაიონი არ არის უზრუნველყოფილი ელექტროსადგურებით, 1932 წელს განზრახულია მოეწყოს 42 დამოუკიდებელი ენერგიის ბაზა, აქედან აზერბეიჯანში—19, სომხეთში—7 და საქართველოში—16.

კაპიტალის დაბანდების საერთო ჯამი 1932 წ. გეგმით ნავარაუდევია 6.776.000 მანეთის რაოდენობით, აქედან აზერბეიჯანში—2.723.000 მანეთი, სომხეთში—1.181.000 მანეთი და საქართველოში—2.872.000 მანეთი.

ამას გარდა, განზრახულია 1932 წელს საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნას 100 მოძრავი რადიო, აქედან 50—აზერბეიჯანში, 15—სომხეთში და 35—საქართველოში. (ადს).

დაუსწრებელი პარტსწავლება რადიოთი

ამჟამად ა.-კ. სფსრ-ში მოწყობილია 200 პარტიული აუდიტორია დაუსწრებელი პარტიული სწავლებისათვის რადიოს საშუალებით. 1932 წლისათვის განზრახულია ახლად მოეწყოს პარტაუდიტორიის ამდენივე რაოდენობა, აქედან აზერბეიჯანში—90, სომხეთში—40 და საქართველოში—70. (ადს).

თბილისი. დიდუბის მექანიკური ქარხნის მშენებლობა

ახალი დანიშვნები

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

ამხ. ნ. ი. უსტიაშვილის განთავისუფლების შესახებ ამიერ-კავკასიის სფსრ-ის უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის ასრულებისაგან

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

განთავისუფლებულ იქნას ამხ. ნ. ი. უსტიაშვილი ამიერ-კავკასიის სფსრ-ის უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის ასრულებისაგან მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
გ. სულთანოვი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

ამხ. გიორგი ივანეს ძე ჩხეიძის ამიერ-კავკასიის სფსრ-ის უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. გიორგი ივანეს ძე ჩხეიძე ამიერ-კავკასიის სფსრ-ის უზენაეს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
გ. სულთანოვი.

ქრონიკა

ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესიის გადადება

გადადებულ იქნა მე-6 მოწვევის ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესია, რომელიც 12 დეკემბრისათვის იყო მოწვეული. სესიის მოწვევის ვადა ცალკე იქნება გამოცხადებული (ადს).

ამხ. ფ. მახარაძე—ამიერ-კავკასიის ცაკის მორიგი თავმჯდომარე

ამხ. ფ. მახარაძე შეუდგა ამიერ-კავკასიის ცაკის მორიგი თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას.

ამხ. ანანიანი დაუბრუნდა სომხეთის ცაკის თავმჯდომარეობას (ადს).

ამხ. დ. ფანცულაიას დანიშვნა

საზღვარ-გარედ მივლინების გამო თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან განთავისუფლებულია ამხ. ვ. ავაქოვი. მის ნაცვლად ამ თანამდებობაზე დანიშნულია ამხ. დ. ფანცულაია.

ავტობუსების მიმოსვლა თბილისში

ტრამვაის ვაგონების ნაკლებობის გამო, ქალაქის მოსახლეობისთვის სამსახურის გასაწევად განზრახულია ავტობუსების მიმოსვლის შემოღება.

თავდაპირველად ავტობუსების მიმოსვლა შემოღებული იქნება ორი მარშრუტით—თავისუფლების მოედანი—სადგური და თავისუფლების მოედანი—შაუმიანის მოედანი. „სოიუზტრანს“-მა ამისათვის უნდა გამოჰყოს 12 ავტობუსი.

ავტობუსების მიმოსვლა დაიწყება დილის 7 საათიდან და გასტანს ღამის 10 საათამდე. სამგზავრო ტარიფად დაწესდება 50 კაპ.

ავტობუსების მიმოსვლა შემოღებულ უნდა იქნას ა. წ. 10 დეკემბრიდან (ადს).

ხელოვნების ქრონიკა

1-ლ დეკემბერს წითელი არმიის ქართული თეატრი ხსნის თავის მეორე სეზონს ჰაშეკის პიესა „შვეიკი“-თ, გადმოკეთებულია ბ. გორდეზიანის მიერ. დადგმა: გალლა რობაქიძის.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 59

საქ. სსსრ შრომის სახ. კომისარიატი

1931 წ. ნოემბრის 28-ს

საქართველოს სსრ სახ. კომისარიატებისა და ცენტრალურ დაწესებულება-ორგანიზაციების მუშაობის ექვსდღიან წყვეტილ კვირაზე გადაყვანის შესახებ

საქ. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს მიერ 1931 წ. ნოემბრის 27 თარიღით „საქ. სსრ სახ. კომისარიატის და ცენტრალურ დაწესებულებების მუშაობის ექვსდღიან წყვეტილ კვირაზე გადაყვანის შესახებ“ გამოცემულ დადგენილების თანახმად საქ. სსრ შრ. სახ. კომისარიატი ადგენს:

1. ექვსდღიან წყვეტილ კვირაზე გადასულ სახ. კომისარიატების და სხვა დაწესებულ-ორგანიზაციების პირველ გამოსასვლელ დღეთ დაწესდეს ა. წ. დეკემბრის 6-ს.

შენიშვნა: ა. წ. დეკემბრის 1-დან გაუქმებულ იქნეს ყოველდღიურ დასვენების დღეთა სკოლის მოქმედება;

2. პირველ მუხლში აღნიშნულ დაწესებულება და ორგანიზაციების სამუშაო დროის დასაწყისში ქ. თბილისში რჩება უცვლელად საქ. შრომ. სახ. კომისარიატის 1930 წლ. აგვისტოს 15 თარიღით „ქ. თბილისში მდებარე დაწესებულებებსა საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებში მეცადინეობის დაწყების დროის შესახებ“ გამოცემულ დადგენილების მიხედვით;

3. ყველა დაწესებულება-ორგანიზაციებში, რომელნიც გადადიან წყვეტილ ექვსდღიან კვირაზე მიმდინარე გადაუდებელ საკითხთა შეუფერხებლივ გადაწყვეტისათვის უნდა მოეწყოს აპარატის სათანადო ნაწილის და ხელმძღვანელ მუშაკთა მორიგეობა (სამორიგო ჯგუფები);

4. სამორიგო ჯგუფები უნდა შედგენილი იქნეს ხელმძღვანელ მუშაკის (კოლეგიის, პრეზიდიუმის, მმართველობის წევრის, სექტორის გამგის), სექტორების პ.-მგებელ აღმასრულებლების და აგრეთვე ტექნიკურ მუშაკთა საჭირო რაოდენობის შემადგენლობით.

შენიშვნა 1: მორიგეთ გასასვლელი დღე ეძლევა შემდგომი კვირის ერთ-ერთ დღეში.

შენიშვნა 2: აკრძალულია მორიგეობა ერთ და იგივე პირისა თვეში ერთ დღეზე მეტი.

საქ. შრ. სახ. კომისარი ოდილავაძე.

კოლეგიის წევრი სექტორის გამგე
კალანდაძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

29 ნოემბერს, 11 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის სექტორში ამხ. სიხარულიძესთან (ოთახი № 21) შესდგება თათბირი.

სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: კარპი („ზარია ვოსტოკა“), ტოროტაძე („კომუნისტი“), ჯაში („მუშა“), ასატიანი? („ახალგაზრდა კომუნისტი“), ჩხიკვიშვილი („კოლექტივიზაცია“), გაზ. „პროლეტარი“-ს და „ენი-კენდ“-ის გამომცემლობათა გამგეები, პოლიაკოვა (ფოსტა-ტელეგრაფი), სტრატიევი (ა.-კ. ბეჭდვითი კომიტეტი).

—:—

დღეს, ა. წ. 29 ნოემბერს, შუადღის 12 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის კადრების განყოფილებაში ამხ. ავეტისოვთან უნდა გამოცხადდეს ამხ. აპოლონ ჯაფარიძე.

—:—

დღეს, 12 საათზე, ს. კ. პ. (ბ) ც. კ. კულტპროპის პარტკაბინეტში ამხ. ენუქიძესთან აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ასპირანტები: ბალანჩივაძე სერგო, ფრანგიშვილი ვ. და გიგინეიშვილი ნ.

30 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობაში შესდგება სრულიად საქართველოს მარქსისტ-ისტორიკოსთა საზოგადოების წევრთა და კანდიდატთა კრება. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

—:—

ა. წ. 29 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე ევანგულოვის ქ., № 12, მოწვეულია სამედიცინო ინსტიტუტის კომუჯრედის კრება კომკავშირთან ერთად.

—:—

დღეს, 29 ნოემბერს, დილის 10 საათზ. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში ამხ. გორდელაძესთან შესდგება თათბირი ამხ. სტალინის წერილთან—„ბოლშევიზმის ისტორიის ზოგიერთი საკითხების შესახებ“—დაკავშირებით პრაქტიკულ ღონისძიებათა შესამუშავებლად, თათბირს უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ა. მდივანი (თბილისის კომიტეტი), შარია (მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი), ელენტი (ცენტრალურ კომიტეტის პარტისი), ხაჯაპურიძე (ა.-კ. კომუნივერსიტეტი), ვაშაყმაძე (პედ. ინსტიტუტი). ქ. ორაგველიძე (ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტი), კიკნაძე, გეგეშია? („კომუნისტი“) და ხუნდაძე (საქ. სახელგამი).

სახ. ოპერა

29 ნოემბ. 14 აბ. 4 წ.	30 ნოემბ. 18 აბ. 4 წ. ნ. ნ. ხერედას მონაწ	3 დეკემბ. აბონ. გარ. კ. მარჯანიშვილის 40 წ. სასც. მოღვაწ. აღსანიშნ. პრემიერა
წითელი ყაყაჩო	სევილ. დალაქი	ვილჰელმ ტელი

წარმ. იწყება სალ. სრულ 8 ს. 3 ზარის შემდეგ საყურებელ დარბაზში შესვლა არ შეიძლება. გამოცხადებულ წარმოდგენათა აბონემენტების მე-5 მორიგი შესატანი მიიღება ყოველდღე დღის 11½ ს-დან, ხოლო გამოცხადებულ წარმოდგენათა აბონემენტი? 6-დამ 8 ს. ნ. 3210

რუსთ. თეატრი ს. ახმეტელის ხელმძღვანელობით

29 ნოემბ. 8 აბ 3 წ.	30 ნოემბ 9 აბ. 1 წ
ანზორი	ანზორი

დასაწყისი სალ. 8 ს. ყველა წარმოდგენებზე ნაწილი ბილეთებისა დატოვებულია ერთეულად გასაყიდათ. ვისაც მე-3-ე მომსატანი არ ეძლება აბადდილი (აბონემენტის) წარმოდგენაზე არ დაიშვება. ბილეთები და აბონ. იყიდება თეატრის სალაროში დილ. 11 ს.—2 ს. და სალ. 6—9 ს-დე. ნ. 3209

სახ. დრამა კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

29 ნოემბ 8 აბ. 2 წარ

კოპლა ჩვენ ვცოცხლობთ

ვისაც მესამე გადასახადი არ აქვს შემოტანილი წარმოდგენაზე არ დაუშვებენ. ნ. 3205

სახ. ცირკი დასაწყ. 8-15 წ.

დღეს, 2 წარმოდგენა

დღისით დასაწყისი დღის 2 საათზე საღამოს 8 საათზე 15 წუთზე.

ბილეთები იყიდება. ნ. 3208

სახელმწიფო კინოები:

ხმოვანი კინო **ოქტომბერი** (ყ. აპოლო) სეან. 12,2,4,6-30,8-30,10-30.	მე 3 კვირაა გრძელდება **ახალი ცხოვრებისაკენ** ბილეთების წინასწარი გაყიდვა დღის 11 - 4½ ს-მდე
საღამოს კინო **სპარტაკი** სეან. დას. 6, 7-30, 9. 10-30	მხატვრული ფილმი **ანუშ** ა. თუმანიანის პოემის მიხედვით. რეჟისორი ამ. პერესტიანი. ოპერატორი კიუნი.
დღის კინო **სპარტაკი** სეან. და . 12, 1-30, 3 ს.	
რ. ლუქსემბურ. სახ (ყოფ. მინიონი) სეან დას. 6-30 8 9-30. 11.	ახალი ამერიკული კომედია **სრიზახტება** ა. ხილის და ჯორჯ ბანკროფტის მონაწ
კინო **დამკვრელი** (ყოფ. პალასი) სეან. დას. 6. 7-30, 9. 10-30.	კონრად ვეიდტ ახალ სურათში **მანა შეგვიძლია დავხუჭეთ**
კინო **დარბაზი** სეან.დას. 6, 7-30 9, 10-30.	უცხოეთი მხატვრული ფილმი **ცვედილი მამონები**

სახელმწ. დრამა კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვან.

განცხადება

1-ლ დეკემბრიდან თეატრთან არსდება **სტუდია-სახელოსნო**

თეატრისათვის ახალი კადრების მოსამზადებლად 2 წლიანი). განცხად. მიიღება 25 ნოემბრ თეატ. ადმინისტ. ვლ. ამაშუკელთან. გამოცდები დანიშნ. 1 დეკემბ. დაწვრ. ცნობები თეატ. კანტორაში „სტუდია-სახელოსნოს დირექტ უშანგი ჩხეიძე. ნ. 3178 6-4

სახელ. დრ.	კ. მარჯანიშვილის ხელმძღ.	ორშაბ., 2 დეკ.

კ. მარჯანიშვილის 40 წ. სასცენო მოღვაწ აღსანიშნ.

გაიმართება **საზეიმო საღამო**

I. ურიელ აკოსტა ძე 2 მოქ.

II. კოპლა ჩვენ ვცოცხლ. მე-3 მოქ.

III. ყვარყვარე თუთაბერი მე-2 მოქ.

ბილეთებზე ჩაწერა წინასწარ შეიძლება თეატრის კანტორაში. ყველა უფასო შესასვლელი ბილეთები გაუქმებულია.

დასაწყისი 8 საათზე. ნ. 3213

სახელ დრ. კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით.

29 ნოემბერი **კოპლა ჩვენ ვცოცხლობთ** მე-8 აბ. მე-2 წარ.

1 დეკემბერი **ანათეთ ფარსკვლავნო** მე-3 აბ. მე-3 წარ.

2 დეკემბერი კოტე მარჯანიშვილის 40 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავათ **საზეიმო საღამო**

3 დეკემბერი **ურიელ აკოსტა** 1-ლი აბ. მე-3 წარ.

5 დეკემბერი **კოპლა ჩვენ ვცოცხლობთ** მე-2 აბ. მე-3 წარ.

6 დეკემბერი **ანათეთ ფარსკვლავნო** მე-5 აბ. მე-3 წარ.

ს. ს. ს. რ. მუს. დრამ. ინსტიტუტი

იღებს მსურველებს

საოპერო სტუდიის გუნდში.

პირობების გაგება მუს დრამ ინსტიტუტის კანცელარიაში 10—4 საათამდე (გრიბოედოვის ქ № 8) მეცადინეობა დაიწყება 1-ლ დეკემბერს.

მუს. დრამ. ინსტ. დირექტორი: ა. ხოფერია. საქ. მმართველი: ვლ. მოსიძე. 9461

ა/წ. ნოემბრის 29 სალ. 7 ს.

საქართვ. მუზეუმის აუდიტორიაში

(ფურცელაძის ქ. № 1).

პროფ. ი. ლ ჟანდიერი გააკეთებს

მოხსენებას

(საქ. მიწსახკომის ყოფ. ზოოტექნიკური სადგურის მიერ შესრულებულ მუშაობათა შესახებ)

შემდეგ თემებზე:

1. რძის დაკონსერვება საკვებ თვისებების შენარჩუნებით და მისი გავლენა ორგანიზმის განვითარებაზე
2. ცხვრის დუმის ბიოლოგიური მნიშვნელობა და მეტიზაცია.
3. საკითხი სოფლის მეურნეობის ცხოველთა სელექციის მესახებ, ცხოველთა პროდუქტივობის ზრდისა და საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში ჯოგების ორგანიზაციის მიზნ.

მოწვეულია ტფილისის ყველა პარტიული, პროფესიონალური და საქართველოს და ა/კ. რესპუბლიკების სას. სამ. ორგანიზაც. და თბ გაზეთების წარმომადგენლები.

სოფ. მეურნ. სპეციალ —ბ ი უ რ ო და საქ. მიწსახკომ. საცდელ საგამოკვ.—სექტორი.

2—2 9422

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

შინაგან და ნერვიული, სნეულებანი ელექტროსინათლის სამკ. კაბინეთი პეტრიაშვილის ქუჩა (ყ. უდელ.) 79 № 11. იღებს საღამოს 7—8. ტელ. № 21—45.

25—9

ექიმი

ს. ი. ანდრეევა

დაბრუნდა

შინაგანი სნეულებ, სპეციალისტი ქირურგის და სახსრების სნეულება. ავადმყოფების მიღება 6—7 საათ. ელბაქიძის დაღ. 29, (ყ. ვერის ხიდთან).

25—3 9018

ს. ა. დიშელი

დაამთავრა პარიზის და ბერლინის ინსტიტუტები

სახის სილამაზის მოვლა

რადიკალურად სპობს სახის ყოველგვ. დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეჭებას, აქერცლას, თმის გაცვენას, ქერტლს და სხვ. ძნელაძის ქ. № 22.

13—6 5464

ყველა დაწესებულებებმა

რომლებიც მიმაგრებული არიან ცეკავშირის კულტსაქონლის დარგობრივი გაერთიანების „საქკულტსაქონელი“-ს წიგნის მაღაზიებზე—საწერი და მანქანაზე საბეჭდი ქაღალდების მომარაგების მხრივ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა წარმოადგინონ ა/წ. 8 დეკემბრისათვის ცნობები ქვემოდ მოთავსებულ ფორმის მიხედვით:

დაწესებულების დასახელება და შემცირებული მისამართი	აანგარიშო ხაწილის თაამშრ. რაოდ.	კანცელ მომუშ რაოდენ.	ოპერატ. მომუშ. რაოდენ.	საჭირო ქაღალდის რაოდენობა ერთ თვეში.
				საწერი მანქანის თხელი ქაღალდი

ცნობები უნდა იყვეს შედგენილი და წარმოდგენილი ორ ცალად, ნამდვილად საჭირო ქაღალდის რაოდენობის აღნიშვნით (თბილისი, ჟორესის ქუჩა № 7, მე-3 სართული ოთახი 42, ტელეფონი 27 - 60).

„საქკულტსაქონლი“-ს დირექცია უკანასკნელად იუწყება, რომ დაწესებულებები, რომლებიც არ წარმოადგენენ საჭირო ცნობებს თავის დროზე, 1932 წელში, ქაღალდს ვერ მიიღებენ.

9420 **დირექცია.**

ნოემბრის 29 სად. 8-ს

პედინსტიტუტის კლუბში

ამხ. გ. თამჭარაშვილი გააკეთებს

მოხსენებას

ლაბორატორიულ ბრიგადულ მეთოდის შესახებ

მოხსენების შემდეგ კამათი.

3206 **ინსტიტუტ დირექცია**

დაიწყო ხელის მოწერა

1932 წლისათვის.

ყველა იმ **გაზეთებსა და ჟურნალებზე** რომლებიც გამოდის საბჭ. კავშირში

დააჩქარეთ ხელის მოწერა

22 დეკემბრამდე

გახსოვდეთ, რომ თავის დროზე და გრძელვადიანი ხელისმოწერა უზრუნველჰყოფს გამოცემათა თავის დროზე მიღებას.

3—2 **საგაზეთო ბიურო.** ნ. 3177

მალე

ახალი მხატვრული ფილმი

კიკოს

დადგმა რეჟ. პ. ბარხუდარიანის

ნ. 3212

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილ., ვენერიული და კანის სნეულებანი სქესობრ სისუსტ. მკურნალობა. ავადმყოფთა მიღ. დილით 9—11 ს. სალ. 5—8 ს. ნინოშვილის ქ. (ყ. ალექსანდროვის) ქ. № 5.

25—8 8198

ექიმი

ა. ვ. მიქაბერიძე

პარიზში 1923 წ. დაამთ **„სილამაზის ინსტიტუტი“**

სახისა სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლ ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყ საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და სალ. 5—8-დე. შესასვლ. ძნელაძის შესახვევიდან.

25—18

მ. ა. ასვეროვი

სიფილისის, ვენერიული და საშარდე სასქესო სნეულებათა სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება —დილ 9—12 ს. და სალ. 6—9 ს. პლეხანოვის პროსპ. № 7. შესავალი კუთხიდან, ნაროყალას ქ. № 1). —25. 25—17

ექიმი

ნ. კონსტოროვიჩი

თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ძერჟინსკის ქ. № 9. (ყ. პეტრე დიდის ქ.) თმის, ფერის მშამელას, ჭორფლის, მეჭეჭის ნაოჭის და სხვ. მკურნალობა. ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატების და საშუალებების გამოყენება. მიღ. 11 დე

25—6 8179

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული. საშარდე-სასქესო ორგანოების, სიფილ.და კანის ავადმყოფ დილ. 9—1 ს, სად. 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ივ როპა“ (ყ. „ნოე“-ს) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვ. № 8

25—18

ექიმი

კ. თ. ტყემელაშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება (სიფ. ვენერიულ კანის და შარდის სასქესო ორგ. სნეულებანი). ბელგიის ქ. № 1 დილ. 8½—9 სალ. 7—8.

825 77886 25—7

ბარბარე და ანანია გრიგოლიები იუწყებიან, რომ მათთვის დაუვიწყარ

სოლომონ კონსტანტე ძე მიქელაძის

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი ქ. სამტრედიაში 30 ნოემბ. ნ. 3207

მეუღლე ნინა (გულიმჯან) მიქელაძისა თავის აღზრდილებით: პავლე დუნდუა და თაცია გრიგოლია იუწყებიან, რომ მათთვის დაუვიწყარ

სოლომონ კონსტ.-ძე მიქელაძის

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი 30 ნოემბერს, 2 საათზე ქ. სამტრედიაში. ნ. 3207

ქეთო, კოლია და ირაკლი ღამბაშიძეები მწუხარებით დასტირიან პატარა

თინიკო აკაკის-ას. ჯიბლაძეს

9447

ქსენია ერმილეს ასული სარდაროვისა მეუღლე ვანიჩკათი და შვილი თინიკოთი ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავებს, რომ მათ დაეკარგა ძვირფასი ბიძაშვილი

თინიკო აკაკის-ას. ჯიბლაძე. 9442

გულდამწვარი მშობლები: სანდრო და ოლია ჯანიაშვილები, ბებია მამო, ბიძები: შალვა ცოლშვილით, აკაკი და სანდრო, დეიდები: ნადია და ლოლია კალანდაძეები იუწყებიან

პატარა ირას (ირაკლის)

უდროოდ დაკარგვას. 9418

სადგურ ქ. ნის მშრ. მოსამსახურეები ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ სადგურის თანამშრომლის სანდრო ჯანიაშვილის ერთად ერთი ნუგეშის

პატარა ირას (ირაკლის)

უდროოდ გარდაცვალების გამო. 9465

ალექსანდრე კალანდაძე უსაზღვრო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას საამაყო დისწულის, სიცოცხლით სავსე

პატარა ირას (ირაკლის)

უდროოდ დაკარგვას. გამოვენება დღეს რკ. გზის საავადმყოფოდან 4 საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე. 9418

მეუღლე ტასო. შვილები: ვლადიმერი, ხუხუტო თამარი, რძალი პეპელა იუწყებიან, რომ ახალსენაკში უეცრად გარდაიცვალა დაუვიწყ

დავით ანტონის-ძე ტოგონიძე

სამოქ. პანაშვიდი 30 ნოემბერს, 6 საათზე მოსკოვის № 9 დაკრძალვა 1 დეკემბერს 4 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე. 9450

თბ. პედაგოგიური სადგურის თანამშრომლები, ამავე სკოლის მოწაფეები და მშობელთა საბჭო ღრმა თანაგრძნობას უცხადებენ თავის თანამშრომელს ამხ. თათუშა ტოგონიძეს მამის

დავით ტოგონიძის

გარდაცვალების გამო. 9457

ექიმი მიხეილ ჩეკელაშვილი, სოფიო ასათიანისა შვილებით და ლიპა და გიორგი ყვავაძეები შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარ

დათიკო ანტონის ძე ტოგონიძის

უდროოდ გარდაცვალებას. 9474

გაუბედურებული მშობლები: ელენა და აკაკი ჯიბლაძეები შვილით როსტომით იუწყებიან, რომ მათ დაჰკარგეს დაუვიწყარი შვილი

თ ი ნ ი კ ო

გამოსვენება 29 ნოემბერს, 4 საათზე ლენინგრადის 9. ველის სასაფლაოზე. 9471

დამწუხრებული მეუღლე ანდრია დედით და შვილით აცნობებს საზოგადოებას, რომ დღეს, 5 საათზე, კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

ნინო ილიას-ასული ბეგიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 9443

დამწუხრებულნი დები: დარო ძეშველიშვილი და ვარვარა ჩუტლაშვილი ქმარშვილებით, ძმები: გიორკი, ვასო ხარიტონაშვილები იუწყებიან, რომ დღეს, 5 საათზე დანიშნულია კუკიის სასაფლაოზე სამოქ. პანაშვიდი

ნინო ბეგიაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. 9459

თავზარდაცემული მეუღლე ოლღა, შვილები: გივი, კოტიკო, თამარა, გუგული, ქეტუშა და სიძე პროკოფი ცინცაძე განუსაზღვრელი მწუხარებით იუწყებიან

ბიქტორ მამუჩარის-ძე თარგამაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 29 ნოემბერს, დ საჯავახოში. 9460

ქეთო, შუშანა, ქსენია ოლა, სერაფიონი, ილარიონ, გიორგი ივანეს ძე, ლავრენტი მიხაკოსძე, იონა, ჰიჰიკო, ჰაჰულია, ომიკო, ვალოდია თარგამაძეები და ქოჩო კალოიანი იუწყებიან ძვირფასი მამობრის

ბიქტორ მამუჩარის-ძე თარგამაძის

გარდაცვალებას. 9462

პატიმართა დამხმარე კომიტეტი მწუხარებით იუწყება კომიტეტის ყოფ. აზიის განყოფილების მმართველის მოადგილის ამხ.

მიხეილ ლევანის ძე ჩიჩუას

უდროოდ გარდაცვალებას ქალ. სამარყანდში.

მგლოვიარე მეუღლე ნადია, შვილები: თამარი, ნოდარი, აკაკი. ნინო კუკური, ძმა სიმონი ცოლშვილით, და მარიამი, რძალი მარიამი შვილებით ჩიქოვანები იუწყებიან

ალექსანდრე ყამარანის ძე ჩიქოვანის

გარდაცვალებას დაკრძალვა ს. დერჩში 9458

გულდამწვარი ძმა კოლია, და ნინა ბავშვები იუწყებიან მათთვის საყვარელ და ძვირფას ძმის

კირილე ვასილის-ძე ბარათელის

უდროოდ დაკარგვას. 9419

ბაღდადის რაიკოოპკავშირის თან მშრომლები: მ. რუაძე, ც. ფურცელაძე, ლ. თორიძე ლაძე, ე. ფურცელაძე, პ. გორგაძე, მ. გოგოძე, ს. ჯაფარიძე, გ. მინაძე, ა. ენუქიძე. ლ შოშიტაშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ თანამშრომელ კოლეგის ჩიკვინიძის დის

ნინა ჩიკვინიძე-მოსეშვილის

დაკარგვის გამო. 9472

გულდათუთქულნი უახლოესი მეგობრები: კოლია, მალიკო და დათიკო უკლებები დავსტირით

სონია სამსონის-ასულ შარვაძის

ცხედარს. დაკრძალვა ქუთაისში. 9471

გაზეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობის სტამბა

მთავლიტის რწმუნებული ა 918